

მსუ

№1 (36)

ლიტერატურული ჟურნალი



მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე მსაქმე

2018

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახლში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www. nplg. gov. ge](http://www.nplg.gov.ge) —
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუ-
ნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა
ნარეკლიშვილი**, მერის პირველი მოადგილე
ბატონი **გიორგი თუშიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი №1 (36), 2018



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

სიტყვა პოეტსა და ერისკაცზე

2. **ზაალ ზოტკოვალი.** შენ, საქართველოს
ჭირისუფალო...

მხატვრული ლიტერატურა

- 5. **ფარნა რაინა.** კატრენები
- 23. **გივი ჩიღვინაძე.** ცისკენ მიმავალი ბილიკი.
მოთხრობა
- 26. **ზვიად ნეფარიძე.** ლექსები
- 32. **როლანდ გიორგაძე.** ის ქალი. მოთხრობა
- 35. **მაყვალა ზურაბაშვილი.** ლექსები
- 36. **მაკა ბელაშვილი.** ლექსები
- 40. **მაია დიაკონიძე.** მეტროში. მინიატურა
- 41. **ნუნუ ძამუკაშვილი.** საბავშვო ლექსები

დოკუმენტური პროზა

47. **ცირა აფციაური.** რაც ხელისგულზე არ
იკითხება

პოეტის ერთი ლექსი

48. **მალხაზ მაჭავარიანი.** ყოვლის შემოქმედს

თარგმანი

49. **ჯულია დონალდსონი.** პრინცესა მირორ-
ბელი და მფრინავი ცხენი

განსხვავებული თვალსაზრისი

57. **ნინო ტარყაშვილი.** ლექვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადია?

საგაზაფხულო განწყობისთვის

- 58. **ბადრი სულაძე.** ორი ლექსი
- 58. **მაია მიქაია.** ნუში. ლექსი


წერილები

- 59. **ნანა ჩჩუღიშვილი.** ვაჟა-ფშაველას
ლირიკული პოეზიის ირგვლივ
- 62. **ნათია მჭედლიშვილი.** ამირანიანის „სამება“
- 61, 64. **კულტურული ცხოვრების ქრონიკა**

გარეკანის პირველ გვერდზე
ზვიად მაჭავაძეშვილის ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილოში“





ზაალ ზოტკოველი



შენ, საქართველოს ჭირისუფალო...

ასეთი კაცები ცოტადა შემორჩა საქართველოს... პოეტია!

ისეთი პოეტია, ცოტას რომ წერს და უფრო ცოტას აქვეყნებს, ვერავინ დააბრალებს ხელხვაიანობას.

როცა მასზე ვფიქრობ, ხშირად კონფუციუსის, მსოფლიოს უბრძნეს ადამიანთაგან ერთ-ერთი უპირველესის, გამონათქვამი მახსენდება:

„ბევრი სროლა არ ნიშნავს, რომ მსროლელი ხარ, ასევე ბევრი ლაპარაკი არ ნიშნავს ორატორობას“.

ჰოდა, ამ შეგონებას თუ ჩაფურცავდებით, იმასაც კი დავასკვნით, რომ არც ტომეულების დახვავებაა იმის მაუნყებელი, რომ ღვთიური მადლით გასხივოსნებული მგოსანი ხარ. ხშირად პირიქითაც ხდება — იმ ტომებში დახვავებული „მარგალიტები“ გემოვნებას უქვეითებს მკითხველს და არც კეთილსურნელებით გამოირჩევა.

ის პოეტი კი, რომელზეც ეს წერილი იწერება, მართლაც ცოტას წერს. მისი მკითხველი კი გულწრფელად წუხს, რატომ ბევრი არ დანერაო. ესაა მისი ბედნიერებაც და არსებობის გამართლებაც.

ნახეთ, როგორ აფასებენ მის შემოქმედებას:

„სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით გაჯერებული მისი პოეზია სულ სხვა ელფერს ატარებს. მისი ტკივილი და სიხარული სხვისი ტკივილი და სიხარულიცაა. ეს გრძნობა ისეთი სიღრმით და გულწრფელობით ეძლევა მკითხველს, რომ ადამიანი ამ განცდის თანაზიარი მაშინვე ხდება“.

ამ სტრიქონების ავტორი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. ვინ-ვინ და ქრისტიანთაგან ჯვარცმული ქვეყნის სულიერი მწყემსი ასე ჰაინჰარად არ არიგებს საქებარ სიტყვებს და ამიტომაც ასმაგად საგულისხმოა და დამაფიქრებელი ზემოთმოყვანილი ციტატა, რომელიც ზუსტად, ზედმინევნით ზუსტად განსაზღვრავს იმ პოეტის შემოქმედებით კრედოს, რომელსაც თემურ ჩალაბაშვილი ჰქვია.

თემურ ჩალაბაშვილი.

პოეტი, ალიკვალი რომ გახლავთ მისი სათაყვანებელი, საუკუნოვან უღრანებში ნაგვემი და ნატანჯი სამშობლოსი, გულისფიცარზე რომ აქვს ამოტვიფრული ჯადოსნური სიტყვები — სამშობლოსათვის ცოტა გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე, რისი შემძლეც ხარ. ისიც ბოლომდე იხარჯება და თითოეული ნაოჭი, თითოეული ღარი მის პატიოსან შუბლზე ამის დასტურია. ამიტომაცაა, რომ ასე უხდება ტანჯულ მამულს მის ბედიბალზე ლომივით მოღრიალე, რომლისთვისაც საქართველო ხან დიდგორია და ხან კრწანისი, ებრალება საქართველო — სხვათა ჭირისუფალი, ხიზანთათვის ლუკმაპურის გამყოფი

და სიტბოს გამზიარებელი. კავკასიონის გოროზი მთაგრეხილი ეამაყება, მამის მხრებით გადაზომილი კავკასიონი, სინანულის ცრემლში განბანილი და ნალოლიავები. დასტირის ლიბომორღვეული ქართლის ციხის ქონგურებს და მუდმივად სხვა საქართველო ელანდება, ხახულისა და ოშკის, ბანასა და შატბერდის ღვთიური მადლით გასხივოსნებული საქართველო. ხილვებსა თუ ზმანებებში საქართველოსთვის წამებული ქართველების წმინდა ლანდებს ელაციცება, თვალნათლივ ხედავს, თუ როგორ მიუყვება ზეცისაკენ მიმავალ ბილიკებს ქეთევან დედოფალი, რა საშინლად ვარვარებენ შანთები ცისკრის ლოცვით დაფარულ მკერდზე; მერე უეცრად ფიქრი შუშანიკის სენაკში გადატყორცნის, იმ დედოფლის ვინრო სენაკში, რომელმაც ბრჭყვიალა სამკაულებივით დათმო გავემებული ქმარიცა და სასახლისეული სიამენიც.

გარეთ ქარია, ხორშაკნი ჰქრიან, ევლება სენაკს ნათლისღებანი.

ო, დედოფალო, სხეული გტკივა თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!

კითხულობ ამ სტრიქონებს და გეჩვენება, რომ ისინი უკვე მოსმენილი გაქვს, რომ ისინი „შუშანიკის წამებაში“ ამოგიკითხავს, რომ სწორედ ასე მიმართავდა სარწმუნოებისთვის გვემულ დედოფალს იაკობ ხუცესი...

ქართულ ეკლესიას, მართლმადიდებლურ წმინდა ეკლესიას უძღვნის პოეტი თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს „ჩემო საქართველოვ, მართლმადიდებელო“, რომელიც შემდგომ უმშვენიერეს სიმღერად თუ საგალობლად იქცა და რწმენითა და იმედით ალავსებს ქართველობას. ჭეშმარიტი ქრისტიანის შექმნილია ისეთი დიდებული ლექსიც, როგორიცაა „სანთელი“. შენ საქართველოს ჭირისუფალო, ბედნიერი ხარ, წვა შეგიძლიაო — ეფერება პანანინა თაფლის სანთელს და თავადაც სანთელივით იღვენთება მამულის საკურთხეველზე. ერთადერთი ვაჟიშვილიც მამულისთვის ემეტება, ყოველგვარი წინაპირობისა და გარიგების გარეშე:

ისე მოგერგოს პაპის სახელი, როგორც მეომარს ბეგთარ-ხალათი, აჰა, სამშობლოვ, შვილი ერთგული, დაადგი შენი მძიმე უღელი.

კარგად ესმის, რომ როცა საქართველოს პატრიარქს ესხმიან თავს, ეს, უპირველესად, მის საესავ მინაწყალზე თავდასხმაა იმ ზნედაცემული არაკაცებისა, რომლებსაც სხვათა საჯიჯგნად უნდათ ჩვენი ტანჯული მამული. ამ უთანასწორო ომში უბრალო, სუფთა, ღმერთთან და ერთან



პირნათელი ქართველების იმედი აქვს პოეტს. ერთ მომცრო ლექსში (თუმცა დიდი ლექსები სადღა აქვს) სწორედ ასეთი ქართველის პორტრეტს ხატავს, ჯუგაანელი ქიტესას სახეს, რომელიც ალიკვალივით ჩამოჰგავს თავის წინაპრებს, აი ისეთებს. უსახელო უფლისციხელი რომ იყო, სწორედ იმათ, აქამომდე რომ მოიყვანეს ეს ედემსიმისგავსებული ქვეყანა.

საქართველოსთვის ცოცხლობს თემურ ჩალაბაშვილი და ცდილობს, როცა დრო მოვა, პირნათელიწარდგეს არსთაგამრიგის წინაშე, კარგად იცის, რომ სიცოცხლე ზოგჯერ ერთი ცრემლია, რომ სირცხვილი სიკვდილზე ნაკლები ბოროტება არ არის და, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ერთხელ დაბადებული ადამიანი რამდენჯერმე კვდება...

მოგონებებით და მოგონებებში ცხოვრობს, ძველ ხილვებს ებლაუჭება, სიბერიდან ბავშვობაში გაპარვა სურს, გარდასულ სიზმრებს მისტირის.

შენ ოცნების მზე ხარ დაკარგული,
ეს წყეული გული სად არ გდევდა,
დამეუფლე, როგორც გაზაფხული,
შემოდგომის მშვენიერო სევდავ...

ძნელია, ძალზე ძნელი იმის აღქმა და გააზრება, რომ ამ სევდისა და მონატრებისგან გათანგულმა გასწვდით ერთგულების ჯაჭვი და სანუგეშოდ მხოლოდ სიტყვებიღა შერჩეს, სასომხიდილი სიტყვები. დამარცხება რომ დამარცხებაა, იმისიც არ ეშინია, რადგან

მე დავმარცხდები, მერე რა მოხდა,
მარცხი ალალი კაცის ხვედრია,
მკერდს ყველა ლექსი კვნესით აღმოხდეს,
ჩემს ურა კვიცებს ვერ გახედნიან.

იმის ეიმედება, რომ ჭირისუფლად, თუნდ ერთადერთ ჭირისუფლად საკუთარი ლექსები ეყოლება, მართალი, პატიოსანი, გულის სისხლში, გულის სისხლით განზანთილი და გასპეტაკებული ლექსები; კიდევ ალაზნის ველიდან ამონვერილი თაკარა მზე, ზეცის ლურჯ ტატნობზე მეფურად დაბრძანებული, არამქვეყნიურ სიდიადეს რომ ჰმატებს იქაურობას... თავადაც მზისკენ მიიღტვის, მასთან მიახლება სწადია, თან თავის ბედსა თუ ბედისწერას ევედრება, ისე ნუ ამამალლებ, მტერი ვეღარ მოვიგერიოო...


საკუთარი ცხოვრება ძალისას აგონებს, ისიც ძალღვივით ფხიზლობს და ერთგულობს პატრონს — ივერთა მიწას, ისიც იცის, თუ რატომ უყეფს მთვარეს ასე გაავებით და გავემებით. ალბათ, იმიტომ, რომ ძალღური ხვედრი სტანჯავს და მოსვენებას არ აძლევს.

ქუჩაში მოკლეს ბებერი ძალი,
ბებერი ძალი დასაჯეს მკაცრად,
ხდებოდა სული სიცოცხლით დასჯილს,
ტიროდა ცრემლი, სიკვდილის განცდა.

ქუჩაში მოკლეს ბებერი ძალი —
თუ ერთგულება დასაჯეს კაცთა?!

თემურ ჩალაბაშვილი პოეტია, რაც უპირობოდ გულისხმობს იმას, რომ იგი სილამაზისა და სიყვარულის ტრუბადურია, მწველი, ხშირად დამნაცვრელი სიყვარულის ტრუბადური. მისი ღირსიკული გმირი ხომ მართლაც კუზივით დაატარებს მონატრების მწარე განცდას, ელოდება, განუწყვეტილი ელოდება, ვის ან რას, თავადაც ვერ გაურკვევია, სულ ეჩვენება, რომ დასრულდა სიყვარულის ძველი ზღაპარი, კარგად იცის, რომ სილამაზე, აფროდიტესი არ იყოს, ზოგჯერ ურჩხულისგან გამოიძერნება ხოლმე და მაინც მის

მსახურად თუ ქემიკად რჩება. წერს სიყვარულზე, ბედისწერაზე, როცა კაცს ნამდვილი ცრემლი ენატრება, ქალს კი — ნანატრი გული. უსიყვარულობა კმარაო, — ხმამალა გაჰკვივის, რადგანაც იცის, დიდხანს რომ არ მოვეფეროთ, მზესაც კი მოაკლდება სითბო და ეღვარება. თავის ძველ, მწველ სიყვარულს მისტირის და მზადაა წარსულზე დაინეროს ჯვარი მისი პატივისცემის ნიშნად. საყვარელი არსება ქაშუეთიდან გამოპარულ ფრესკას აგონებს, ანგელოსის მონანავე ფრთასავით ნაზსა და მომწუხსველს, შეჰყურებს ლურჯი აპრილის ფერში მოციმციმეს და ტანში საოცარი ჟრუანტელი უფლის...



გაგითავისე, მიყვარდი, მწამდი,
ჩემი ოცნება შენს აჩრდილს სდევდა,
შენ იყავ ჩემი უთქმელი დარდი,
მე ვიყავ შენი ამაყი სევდა.
და, როგორც ხდება, გაგვყარა ბედმა,
გაცრეცილ სიზმრებს შემოვრჩით მარტო,
ასეთ სიყვარულს რა ჰქვია ნეტავ,
ცალ-ცალკე ვართ და ერთმანეთს ვნატრობთ...
ეს დიდი ვნებითა და ძალმოსილებით სავსე ლექსი ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებდა, როგორც ქართველებს გადარჩენილი უმშვენიერესი სიყვარულის აპოლოგია.

თუმცა არსებობს ერთი ქალბატონი, რომელსაც დიდი ხნის წინ ჩვილი ბავშვივით შეაჩენა თავისი შლეგი სიყვარული, რომელსაც ყოველდღიურად უბერავს სულს, როგორც ამქვეყნად მისი არსებობის გარანტსა და მეციხოვნეს. ეს მეციხოვნე გამუდმებით არ ასვენებს, განსაკუთრებით შუალამისას, როდესაც მეგობრებთან საძმო გაბმულ მოლხენისას რეკავს „საბედისწერო“ მობილური და შემფოთებული ჰკითხულობს მის ასავალ-დასავალს. პოეტი კი

თან ვბრაზობ,
თანაც ოცნებით ვთბები —
თან სიჭაბუკის
მესხმება ფრთები,
დიდხანს ბუზღუნი,
„ნერვების წყვეტა“,
ოღონდ მესმოდეს —
გეტა ვარ, გეტა!

ეს საოცარი ლექსი ერთგვარი კოდექსია ყველა „თავზეხელაღებული“ რაინდისათვის, თუ როგორ უნდა ატარებდე ყველგან და ყოველთვის საყვარელი არსების ხატებას, ვინაც მთელი ცხოვრება მოგიძღვნა და ფიანდაზად გაგიფინა, ვინაც დიდ და აღმატებულ სიყვარულს გაზიარა, ვინაც შენი მეხთატეხების მეხამრიდად იქცა...





ვისაც ასეთი სიყვარული შეუძლია, წარმოდგენელია სხვათა ჭირისუფალი და ქომაგი არ იყოს. ხელები, რომლებიც ეხმარებიან, უფრო წმინდანი არიან ბაგეებზე, რომლებიც ლოცვას აღავლენენ – წერდა სპარსთა სისხლის მსმელი შაჰი კიროს დიდი და შეიძლება თამამად ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში თუ ვინმეს ესადაგება ეს ფრაზა, უპირველესი თემურ ჩალაბაშვილია, რომლისთვისაც სხვათა ჭირის გაზიარება სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენს, სხვაზე რომ არა ითქვას რა, მხოლოდ იმის აღნიშვნა იკმარებდა, თუ რა თანაგრძნობით, სულის კვიცილით სავსე სტრიქონები უძღვნა კოლეგას, რომელსაც ბედისწერამ დიდი განსაცდელი მოუვლინა:

და გიჩოქებენ
ჩემი ლექსები
და ხარებივით
აბლავლდებიან.

ასე გადის დრო, გადის ათწლეულები მამულის სამსახურში. პოეტი კი დგას მაღალ მწვერვალზე ამეტყველებული ეკლესიასავით, რათა ყველამ დაინახოს მისი სულის — ამ უმშვენიერესი თეთრი მოცხარის სიკეთენი და თუნდაც მისხალი მიეცხოს მათი, იმ სულისა, სიკვდილმისჯილი პატიმარივით რომ იმზირება მისი სხეულიდან და ყველას გვაფრთხილებს, თუ სხვა საშველი არაა, თუ იწვი,

ისე უნდა დაინვა, რომ სხვას გზა გაუნათო. ასე ნელ-ნელა ნანილდება პოეტის სიცოცხლე სტრიქონ-სტრიქონად, რომელიც ცხოვრებამ ბევრ სიბრძნეს აზიარა და ბევრის დანახვა ასწავლა, თუნდაც იმისა, რომ მეხი მუხებს ეტანება და არა ბალახბულახს. ამიტომაც მორჩილად იტანს მოშურნეთა ქირქილსა და ავენაობას. თავად კი წვიმები უყვარს, რადგან ისინი კათარსისის საშუალებად მიაჩნია, იცის, რომ სიცოცხლე მაშინ მთავრდება, როცა ცრემლი აღარ დაეკიდება ღანვებზე, როცა მის სულისთქმას სევდა აღარ მოქარგავს ზღაპრულ ფერებად, როცა საფეთქლებს აღმოდებული სისხლი აღარ მიაწყდება, როცა იმის დანახვა აღარ შეეძლება, თუ როგორ თვლემს უცხო ქარებით ნაგვემი სამყარო.

დააბიჯებს დედამინაზე გაზაფხულის თქემებით შეშლილი პოეტი, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია ხმამაღლა შეუძახოს ბედისწერას:

ასეა ნუთისოფელი,
დრო მიდის, ნუთი მაკლდება,
სიკვდილიც მოვა ოხერი,
მოვა და შემომაკვდება!

თავის დროზე გურამ ასათიანი, ქართული კრიტიკული აზროვნების აღიარებული მეტრი წერდა:

„ქართული ლიტერატურა დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე უაღრესად თვითმყოფადი ლიტერატურაა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მან რაიმე გარეშე ზემოქმედების გავლენით თავისი ნაციონალური სპეციფიკა დაკარგოს. ამაში გვარწმუნებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მწერლობის ისტორია, რომელიც ხშირად ყოფილა ამგვარ განსაცდელში, მაგრამ არასდროს გაათქვეფილა და თავისი საკუთარი იერი დღემდე შეინარჩუნა“.

ამ სტრიქონების სისწორეში, მათ უტყუარობაში თემურ ჩალაბაშვილის პოეზიაც გვარწმუნებს, პოეზია შემოქმედისა, რომელიც ღირსებითა და პატიოსნებითაა სავსე, რომელიც თავადაც სამშობლოს წააგავს, დაჩეხილსა და დამცრობილ სამშობლოს.

თემურ ჩალაბაშვილი იმ დიდი საძმოს წევრია, რომელიც არავის არ დაანებებს საჯიჯგნად არც მშობლიურ მწერლობას და არც მის სათაყვანებელ სამშობლოს. სწორედ მისთანანის წყალობით შეინარჩუნებს ქართული მწერლობა ეროვნულ სახესა და თვითმყოფადობას.

ასეთი ერისკაცები ცოტალა შემორჩა საქართველოს.



მხატვარი ზვიად მექვაბიშვილი





ფარნა რაინა

კატრენები



სიწოვხლოე...

თუ, —
სიყვარულით
და... სიკეთით —
სუნთქავ და...
ცხოვრობ,
უფლის მადლია —
სულშიც,
გულშიც, —
მზედ შენაფენი...
სიყვარული და...
სიკეთეა —
სიცოცხლე, —
მხოლოდ,
არარაობა არის:
მარტო,
სხვა, — ყველაფერი...

18. II. 2018

ადამიანი...

ხომ, ხდება? —
ზოგჯერ,
ჩვენი არსით —
ეშმაკებს
ვართობთ...
ჩვენი:
ზეობით,
ძალით,
ვნებით —
მზეს სხივებს
დავხდით...
ადამიანი მნამს მე...
და... მნამს:
ღირსებით, —
მარტო,
არ-რით —
საუნჯით,
სკამ-სავარძლით...
და...
არ-რით —
ტახტით...

21. II. 2018

ათასჯერ...

საბრძანებელზე
რომ ვზეობდე —
ღიადი
ზევისის,
რომ ვფლობდე —
მთელი დედამიწის
საუნჯეს, —
განძთა,
რომ... გაიშალოს —
ჰორიზონტი, —
უსაზღვრო,
ზე-სვლის,
ათასჯერ მიჯობს:
შენთან ყოფნის —
ნეტარი,
განცდა...

30. XII. 2017

საქართველო
მტკივა!!!..

ღირსეულთა
ვიციტ კილვა,
მერე:
ასი კი — ვა...
ფიქრი მტკივა
სიტყვა მტკივა
და...
მზეგული
მტკივა...
მაგრამ... უფრო,
ასჯერ,
უფრო,
საქართველო
მტკივა!!!..

19. XII. 2017



**არ უყვარს, ვისაჯ –
სიკეთე, –
სხვათა...**

თუ, გნებავთ,
ჰკითხეთ:
ასსა და...
ათასს, —
პასუხი, ყველას,
ექნება —
ერთი:
არ უყვარს, ვისაჯ —
სიკეთე, —
სხვათა,
არა თქვას,
რომ სწამს
და... უყვარს —
ღმერთი...

2. V. 2017

**მე, თუ —
მკითხავენ...**

რატომ გვჭირს —
სულშიც,
გულშიც იარა? —
ფულის მონავ და...
კვაჭო,
კვაჭილო...
მე, თუ —
მკითხავენ,
ფული კი არა,
სინდისი არის —
უფრო,
საჭირო...

12. XII. 2017

**ემშაკები
ვერ იტანენ —
ღმერთებს...**

ფიქრით ვცხოვრობ...
და... ფიქრი მაქვს —
სახლად...
მინდა ვიყო:
დიდი სიბრძნის
მერთვლე...
ასე იყო...
ასე არის —
ახლაც:
ემშაკები
ვერ იტანენ —
ღმერთებს...

12. XII. 2017

**ჩემი
კრეფო...**

მინდა, რომ —
ამ გულს
ცეცხლი შევეუნთო, —
სიკეთით —
თუკი,
ვინმემ,
გამასწრო...
სხვას მივუტეებ...
და... სხვას შევეუნდობ...
მაგრამ...
საკუთარ,
თავს კი —
არასდროს...

**კარიერიზმის
წოფი...**

არცა —
ფეოლას* დარი...
და...
არცა —
დინო ძოფის...**
სიკვდილის
ტოლი არის:
კარიერიზმის
ცოფი...

*, **, — საქმე, სახელი და დიდება...
(ბრაზილიისა და იტალიის
ფეხბურთელთა ნაკრებების — ყოფილი
— მსოფლიოში სახელგანთქმული
მწვრთნელები).

**რა სათქმელია —
ჩემი ტკივილი?!..**

თუმცა, —
მკერდ მინგრევს
გულის კივილი,
თითქოს, მოკვეცეს —
სხივების
ფრთა მზეს...
რა სათქმელია —
ჩემი ტკივილი?!
როცა —
ქვეყანა გვექცევა, —
თავზე?!..

11. II. 2012

**მნამს —
მხოლოდ,
მაშინ...**

ვინ არ ვართ
მომსწრე? —
„ა“-ურიეს, —
რამდენჯერ,



„ჰ“-აში?!..
ჭემპარიტება —
დღისით,
მზისით,
რამდენჯერ,
აქრეს?!..
კანონიცა და
სამართალიც —
მნამს,
მხოლოდ,
მაშინ, —
ალარ აძვრენდნენ
ნემსის ყუნწში:
სპილოს და
აქლემს...

19. II. 2017

უნდა ვიყოფეთ...

ხან, —
ვერ ვისტუმრებთ:
სიცოცხლის და...
სიკეთის ვალებს,
დასაბამიდან, —
მტერ-მოყვარე
რამდენს შეშლია?!..
უნდა ვიცოდეთ:
ზოგჯერ,
ეშმა —
აგვიბამს თვალებს, —
მტერიც... მოყვარეც,
უპირველეს,
თვითონ, — ჩვენშია...

24. I. 2018

ახალი — სამყარო...

სამყარო იქცა:
თეატრად,
დახლად, —
ვისთვის —
ნაღმა და...
უკუღმა მქროლი?!..
და... ამ თეატრში,
მგელსა აქვს —
ახლა,
მამააბრამის
ბატკანის როლი...

8. XII. 2017

ისევ, — პარადოქსი...

ზოგი, —
ცხოვრებას მიითლის —
ყველად, —
ფუყე თავით და...
მეფის —
იერით...

მაძღარს
მაძღარი ჰგონია —
ყველა,
ხოლო,
მშიერს კი —
ყველა, —
მშიერი...

2. II. 2018

დარად — დედის და... დარად — მამულის...

უდედ-მამულოდ,
დღე ვის აქვს —
დარად?..
ვარ —
ორივეზე,
ცრემლით
ნამული...
მამული მიყვარს:
მე —
დედის
დარად...
და... დედა მიყვარს:
დარად —
მამულის...

9. XII. 2017

რა საჭიროა?!..

ტახტიც და
ჩინიც
რომ დაიდგი —
კამეჩის რქებად
და... გსურს —
ვუბეროთ, —
რაიც ძალგვიძს:
საყვირებს,
ბუკებს...
რა საჭიროა:
ზღაპრების და...
არაფრის ქება?!..
როდესაც —
საქმე ლაპარაკობს, —
ყველაზე,
უკეთ?..

14. X. 2017

მერ — ლექსად ვფნებ...!

ვარ —
იმ მზის შვილი
და... იმ —
მინიდან,
სიმღერით დნება
სად — იადონი...
მეც —



ლექსად ვდნები,
ლექსით
ვინვი და...
მანთებს:
საქმენი —
სადიადონი...

17. IX. 2017

სიბრძნეთა სიბრძნე...

სიბრძნეთა
სიბრძნე არის:
ჩუქჩის,
ტუნგუსის,
ინკის, —
ვინც —
დამთესია ქარის,
მუდამ, —
ქარიშხალს
იმკის...

19. IX. 2017

სუცოელი — სუცო ელის...

პლატონობას რომ
სულ ელის,
სოკრატეს —
გვერდი
უარა...
„მე
რატომ ვარო
სულელი? —
მიხვდებიანო?
თუ, არა?!..“

18. IX. 2017

სადამდე და... როდემდე???!..*

*ოთარ ხუციშვილის უბრწყინვალესი წერილის:
„ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდას“-ს ექოდ...
(„საქართველოს რესპუბლიკა“ #194, 2017 წ.)*

სატანა — სადამდე,
როდემდე მოგვევდეს?! —
დრო —
სანამ ზეობდეს:
ხორცთა და...
სულთ კრეფის?! —
სადამდე?!..
სადამდე?!..
როდემდე?!..
როდემდე?!..
ტახტზეც და...

სკამებზეც —
მამალი ფუტკრები?!..

24. IX. 2017

*„საქართველოში — ადამიანთა
მოტყუება, ღალატი და მათი ბედით
თამაში, ლამის არის ნორმად
დამკვიდრდეს“ („ლიტ. საქართველო“
#33, 2017 წ.)

სიკეთის — სიბრძნით, სიყვარულით, სანთლით და... მზის სმლით...

ძალმომრეობას —
კვლავ,
რამდენი
მუნდირი ვერ თმობს,
და... კვლავ,
იღვრება:
სულის — განძი
და...
სულის — სისხლი...
აიაროზე*
მეტ ღირსებას
დატოვებს ვესტმო,** —
სიკეთის —
სიბრძნით,
სიყვარულით
სანთლით და...
მზის სმლით...

28. IX. 2017

*პატარა ქალაქი — კუნძულ
კორსიკაზე, სადაც ნაპოლეონ
ბონაპარტი დაიბადა.
**რაინაულების საგვარეულო
სოფელი, სადაც მე დავიბადე.

ვინ აირჩია?!..

როგორ გვიშველის:
ახლა,
დავით,
თამარი,
შოთა?!..
სული რომ გვძვრება
და... დრო დადგა —
ქვე — თხრის და...
ქვე — რყვის?!..
ახლა, რომ ვტირით, —
ვაით,
ვუით,
ვღელავთ და...
ვშფოთავთ,
ვინ აირჩია
პარლამენტში —
დამქცევნი, —
ქვეყნის?!..

5. X. 2017



ახალი ეპოქა...

ახალ ეპოქას —
ტკივილებიც
ახალი
ახლავს,
პოლიტიკაა:
ტაცებისა,
ხვეჭის და...
კუჭის...
იესოსავით
ცხოვრობს ვინაც, —
სიმართლით,
ახლა,
უჭირს — სუყველას, —
მზის ქვეშეთში,
და... ეგზომ,
უჭირს...

6. X. 2017

ნუთუ?!..

ვის ხელში არის —
ვისი ბედი
და...
ვისი მინდი?!..
სიცოცხლეს —
ლამის,
ფასი არ აქვს, —
უბრალო
ქაცვის...
არავინ იცის:
ცხოვრების გზა
საითკენ მიდის,
ნუთუ, —
ცა-მზის ქვეშ,
დაილია —
უბრძნესი
კაცი?!..

23. IX. 2017

ზოგი...

უაზრო... შარით,
ვინ —
საქმეს აშლის,
ეკალი
სხვას სთხოვს,
რომ იყოს —
ხვითო...
ზოგი, —
სხვას
ჭკუას ასწავლის, —
მაშინ,
როდესაც —
ჭკუა არა აქვს, —
თვითონ...

21. IX. 2017

სისულელეს კი... არ აქვს — საზღვარი...

ცეცხლი ედება
რაიც გვაქვს,
იმ ძნელს,
რეკავს ცხოვრების —
ახლა,
სხვა ზარი, —
დეადვა ზღვარი, —
აზრსა და
სიბრძნეს,
სისულელეს კი...
არ აქვს —
საზღვარი...

16. IX. 2017

სიყვარული...

სიყვარულია —
სარეცელი, —
ზოგისთვის,
მხოლოდ...
ვისთვის —
უსაზღვრო
და...
უვრცესი სულის
ტაიგა...
ვინ, —
ქვეყნად,
მხოლოდ,
ხორციელი ვნებისთვის
ცხოვრობს,
ვინ, —
სიყვარულით,
უდიადეს გვირგვინს
დაიდგამს...

10. XI. 2017

გაქრობას ნიშნავს...

გაქრობას ნიშნავს:
მეტის
ატანა,
ხალხს ხდიან —
სულს და...
მერე... ნენავენ...
ერს ამარხვინებს:
ფული, —
სატანა —
პოლიტმეძავებს,
ტელემეძავებს...

9. II. 2012





მზე, – მომავლისა განსჯის – ყველაფერს...

ლაგდება, მიწყევ —
ავ-კარგის
ძვრავი,
თავთავის ადგილს
მისცემს —
ყველა ფერს...
ვიყავით,
ვართ და...
ვიქნებით, —
რაიც,
მზე, — მომავლისა,
განსჯის
ყველაფერს...

9. XI. 2017

სიმართლეს ვამბობ...

„მე“-ს
ვერ-რით გავცდით, —
ვერ ავმალდით,
დავეცით —
რამდე?!..
სიმართლეს ვამბობ,
მამა-პაპათ სულის
ცხოვნებამ...
რა, —
რა ვისწავლეთ?! —
წარსულიდან?..
და... ახლაც, —
რამდენს,
გამოქვაბულის აზროვნებით
გვინდა —
ცხოვრება...

8. XI. 2017

მთავარზე — უფრო, უფრო მთავარი...

ხომ არის, —
ზოგჯერ,
ჩვენ, თვითონვე,
ვიჩინთ იარას,
თითქოს, —
საშველიც
ალარა ჩანს,
მაგრამ... თან, არი...
მე, თუ, მკითხავენ, —
უნინარეს,
მტერზე კი არა,
საკუთარ თავზე
გამარჯვება
არის მთავარი...

5. XI. 2017

სიყვარულის ძეგლი...

დიდი გახლავთ —
სიყვარული, —
მეჩვენება
განა დიდად?..
ხმები მესმის:
ეგვიპტიდან,
ჩინეთიდან,
კანადიდან,
ძეგლს
ის იდგამს —
სიყვარულის,
ვინც
სიკეთე
განადიდა...

3. IX. 2017

მსურს...

მამულისათვის —
ვინც:
სიცოცხლე დახარჯა,
ვლოცავ...
ვინც:
მისხალ-მისხალ,
ალაგებდა, —
მიშლილს და...
მოშლილს...
პირქვე დამხობილ
საქართველოს
ვუყურებ, როცა —
მსურს დავდნე:
ახალ,
დიდგორის და...
შამქორის
ომში...

4. IX. 2017

ღარდი ვარ, — მარტო...

მწუხარე განცდის
დავცალე —
თასი,
ფიქრის მექა და
მედინა
მალტობს...
ამ გულში მღერის
ღრუბლების
დასი,
დავდივარ —
მარტო,
ღარდი ვარ, —
მარტო...

6. IX. 2017



ყოველთვის...

გულო, —
ათასჯერ,
ფიქრით დაჭრილო,
სულ რომ...
დარდით ხარ —
გადავსებული,
ყოველთვის —
განსჯა
არის საჭირო, —
არსებულის და...
არარსებულის...

P.S.

განჭვრეტა უნდა, —
მუდამ,
შემდეგის:
რას,
რა მოყვება:
ბოლო...
შედეგი...

16. XII. 2017

ზოგჯერ...

არსით, —
შვილია ყველა:
ვინ —
მინისა და...
ვინ — ცის?..
მინდა, თუ, არა,
როცა —
დასაფიქრებლად
ვიცლი...
ზოგჯერ, —
არცოდნა მიჯობს,
ვწუხვარ,
როდესაც —
ვიცი...

19. XII. 2017

ვინ?!..

ვინ —
სამართალი:
დასცა,
დათარსა...
ვინ —
ღმერთსაც არ თვლის
მინაზე —
ღმერთად...
ვინ —
ერთს ასტყორცნის —
ცამდე,
ათასად...
ათასს —
ამცრობს და...
აკნინებს —
ერთად...

20. XII. 2017

ერთი კი — არა, ათასი: რატომ?!..

მსოფლიოს
გასაგონად...

თუ, ვიცი:
ხალხის —
ვალიც... უფლებაც,
სიმართლეს
რატომ ვადინოთ
მტვერი?!..
დემოკრატიაც,
თავისუფლებაც —
რატომ ნიშნავდეს
გაქრობას
ერის?!..
რატომ????!!..

20. XII. 2017

იყოფეს უნდა: ყველამ და... ყველამ...

იცოდეს უნდა:
ყველამ და...
ყველამ, —
დრო — ნანატრია,
თუ,
შიშის
მგვრელი,
არ-რით ჩაისვან
უბეში —
გველი
და... არ დანიშნონ
ცხვრის მწყემსად —
მგელი...

24. XII. 2007

რატომ?!..

ვინც —
ტახტზე დაჯდა,
ყველა
ფუფალობს,*
ვერ მორჩა:
შუღლი, —
საქმე სამტრონი...
რატომ მგონია, —
ნეტავ,
უფალო?! —
ამ ცას,
ამ მინას
არ ჰყავს —
პატრონი?!..

8. IX. 2017

*(ძვ) ბავშვის ენაზე — უფლობს,
ღმერთობს...



არ უნდა შეგრცხვეს:
შენი —
წარსულის...

დრომ —
ემმას ცხენზე
არ უნდა
შეგსვას,
თუ, გნამს —
უფლის და...
თუკი —
გნამს სულის...
რომ გადახედავ:
გზას, —
გავლილს,
შენსას,
არ უნდა შეგრცხვეს:
შენი —
წარსულის...

4. XII. 2017

ჩვენი სიბრმავე...

ვის —
წკეპლა ეკუთვნის, —
სირცხვილის,
ვის — სარი...
რაც ხდება, —
სიმართლეს ვიტყოდი —
ერთს:
ჩვენი სიბრმავე, —
ხანდახან,
ის არი —
ჩვენს თვალწინ, —
ვერ ვამჩნევთ,
ვერ ვხედავთ —
ღმერთს...

24. XI. 2017

უმთავრესი...

უაზროდ, —
ულვთოდ,
ბრძენთა ბრძენი
არ გახსნის —
წამწამს, —
გაარჩევს:
სპილოს,
ჭიანჭველას,
რწყილსა და
აქლემს...
ლაპარაკისთვის —
ლაპარაკი
მეფისაც
არ მწამს...
უმთავრესია:
წრფელი —
სიტყვა...
და... წრფელი —
საქმე...

7. XII. 2017

იქნებ, —
ამიხსნათ?..

თავისუფლები
ხომ, ვართ,
ახლა? —
სინათლის სვეტად
თავს დაგვტრიალებს:
ევროსაბჭო,
გაერო,
ნატო...
იქნებ, —
ამიხსნათ? —
ვერ გავიგე, —
რა ხდება, —
ნეტავ?! —
ნეტარ-ცხოვრებით, —
იმ, საზიზღარ,
წარსულს რომ —
ვნატრობთ?!..

8. XII. 2017

ჩემი —
ჩემად,
დავიგულო...

ნატვრა

სავარდევ და...
სავენახევ, —
ბალნარო და...
თაიგულო,
ჩემი —
ჩემად,
დამენახე,
ჩემი —
სრულად
დავიგულო...

6. XII. 2017

სჯობს...

რომ არ იხობო —
ქვეყნის
ალამდე,
საძრომს,
სახვეჭს და...
სახრავს, რომ —
ვერ თმობ,
რომ... არ —
გაქრე და...
რომ... არ —
დალამდე,
სჯობს:
შენი საქმით,
მზესავით,
ენტო...

17. XI. 2017



სიმართლე...

სიმართლე — მზეა,
 მზით
 ცრემლი შრება,
 ვისთვის —
 ცეცხლია,
 ქვაც და... ქაცვებიც...
 სიმართლე არის:
 კაცისთვის —
 შვება,
 არაკაცისთვის —
 თავზარდამცემი...

29. XI. 2017

ვინ?!.. ვისია?!..

დრო — გამეფდა, —
 ლომის
 დათვის ტორება,
 ვინ?! —
 ვისია:
 მონები, თუ —
 მსტოვრები?!..
 ორ ნაწილად
 გაიმიჯნა
 ცხოვრება, —
 ორ ნაწილად:
 ღმერთების და —
 ღორების...

7. IX. 2017

ჯეშმარიტების — ფიალეტიკა, ან, — პირიქით, ფიალეტიკის — ჯეშმარიტება...

*მსოფლიოს
 გასაგონად...*

იესოს როლის
 თამაში —
 კმარა!, —
 ტრიალებს რისხვის:
 ცეცხლი და...
 ალი...
 ცხოვრება:
 ერთის,
 ორის კი —
 არა,
 ცხოვრება ხალხის
 მოითხოვს —
 სტალინს...

ნეტავ, რამდენჯერ?!.. ნეტავ, სადამდე?!..

თქვით, — მოითმენდნენ?!..
 ნეტავ, სად, ამდენს?!..
 რაიც —
 ამ მიწის
 სვე იქუფრება...
 ნეტავ, რამდენჯერ?!..
 ნეტავ, სადამდე?! —
 შემოგზავნილი
 ხელისუფლება?!..

23. XII. 2010

ძნელია...

დრო ვერ გასრულდა:
 გულებზე
 კანკრის,
 ვინლა კითხულობს:
 ვაჟას და
 რუსთველს?!..
 ხომ, ვიცით, —
 სტვენა რაც არის —
 კაცის?..
 ძნელია, როცა —
 მთავრობა
 უსტვენს...

11. XI. 2011

რად არ ვთქვათ?!..

*მკვდარზე, ან, კარგს იტყვიან,
 ან არაფერს...*

თუნდ, იყოს —
 მონა,
 და... თუნდაც —
 ჰაჯი,
 ვინც და...
 რაც იყო,
 რად არ ვთქვათ
 ისე?!..
 სულგამძვრალ
 ქაჯზე
 რად არ ვთქვათ —
 ქაჯი?! —
 სიმართლეს, ვინაც —
 უგრეხდა
 კისერს...

7. XI. 2017

თავისთვის — კატა ვეფხვია...

ქარით — მიწის და...
 ქარით — ცის:
 ფოთოლი
 ინყებს ზე-ფრთხილს...
 ვის? —



რატომ უკვირს? —
არ ვიცი,
თაგვისთვის —
კატა ვეფხვია...

19. IX. 2017

შვებაა, — ბევრით, სიკვდილი, — უფრო...

ზე — ვითარ იფრენს
არწივი — უფროდ?...
აქვთ, ეგზომ დარდი, —
ტკივილით
მდიდრებს...
შვებაა, — ბევრით,
სიკვდილი, —
უფრო,
უსიყვარულოდ —
სიცოცხლე, —
ვიდრე...

11. X. 2017

ვიცოდეთ უნდა...

ვიცოდეთ
უნდა:
პურს — არსობის,
ვინ — აცხოვს?...
ვინ — ფქვავს?...
ხეს — სიყვარულის სიდიადის,
ქვეყნად,
ვინ რგავდა?...
სულის ლაჟვარდი
და...
სულის მზე
ვის სწამს და...
ვინ თქვას:
სიცოცხლე —
სიბრძნის,
სიყვარულის,
ღირსების გარდა?!..

9. XII. 2017

ნუთუ?!..

ბედნიერების, —
ხალხის სიკეთის,
ველარ გაიხსნა:
კარი — ერისთვის...
თეთრიც და...
შავიც —
ჰყვავის სიმკვეთრით,
ზეობს:
ყაჩაღი,
კარიერისტი...

P.S.

კვლავ, —
ველოდებით:
ათ და... ოც ვნებას, —
ნუთუ, —
ოცნება
დარჩა ოცნებად?!..

17. II. 2018

დალუპულია — ქვეყანა, როცა...

ვინ,
ვისზე,
ვისგან —
რას აღარ
კროცავს,*
ბრმოვას
ყრუობას
შეხვედებით —
რა ხშირს?!..
დალუპულია —
ქვეყანა, როცა...
ველარ არჩევენ:
მჭადსა და
ნახშირს...

12. I. 2018

*(კახ. დიალექტი) უაზროდ,
გაუგებრად, უთავბოლოდ,
აბდაუბდად ლაპარაკობს.

უსიყვარულოდ — უარესია...

სიყვარულს —
ყველა,
ვერ ხსნის, —
რა არი?...
გულს —
ცეცხლის ალი
თუ, არ ესია...
თუ, —
სიყვარული —
ზოგჯერ,
ბრმა არი,
უსიყვარულოდ —
უარესია...

1. XII. 2015

თუ, — გასრულოდება? — ნეტავი?..

ვინ ზეობს —
მინის
მკვნეტავი?!..
და...
ვის აქვს —
ბრალი, —
ამაში?..



თუ, —
გასრულდება, —
ნეტავი? —
დემოკრატიის
თამაში?!..

9. VI. 2017

სიბრძნე — ულევი...

ეს არის:
დიდი სიბრძნე, —
ულევი, —
მზედ,
უფლის გზებით
ვინაც იარა...
უნდა დაიპყრო:
გულით —
გულები,
მინა,
ტახტი და...
განძი კი არა...

3. XII. 2017

უძნელესია...

დასაბამიდან, —
ვინ,
ვის ბედს —
ართავს?!..
ვის აქვს ხელთ
ვისი ნავის
აფრები?!..
უძნელესია:
იმ ქვეყნის
მართვა,
ხალხს აღარ სჯერა,
როცა —
ზღაპრების...

9. IX. 2017

მხოლოდ, — შენით...

მინდა —
გულს სევდა
შენით
ავყარო, —
სიყვარულია
ამის თავდებად...
შენით იწყება —
ჩემთვის
სამყარო...
და... ისევ,
მხოლოდ,
შენით მთავრდება...

10. IX. 2017

ბრძენი და... სულელი...

რაიც მოდიან —
დასაბამით,
ადამის ძენი,
ცხოვრება —
ზოგჯერ,
მაისია,
ზოგჯერ კი —
მარტობს...
თუ, საჭიროა, —
სიკეთის მზით,
აზრს იცვლის
ბრძენი,
აზრს არ შეიცვლის, —
სიკეთისთვის,
სულელი, —
მარტო...

6. XII. 2017

სიყვარული...

სიყვარულია —
სარეცელი, —
ზოგისთვის,
მხოლოდ...
ვისთვის —
უსაზღვრო
და...
უვრცესი სულის
ტაიგა...
ვინ —
ქვეყნად,
მხოლოდ,
ხორციელი ვნებისთვის
ცხოვრობს,
ვინ —
სიყვარულით,
უღიადეს გვირგვინს
დაიდგამს...

25. XI. 2017

ნეტავ...

ნეტავ, როდემდე —
უცხო
თვალთვალი?!..
სანამ ვუყუროთ:
ქაჯთა —
ას ჯირით?!..
აღარ დავსაჯოთ, —
ნეტავ,
მართალი...
და...
დამნაშავე
ვნახოთ —
დასჯილი...

31. XII. 2017



ხვალ...

რატომ ვიმღვრევი?..
 რატომ ვინვი?..
 რად?..
 რატომ ვჩივი?..
 ალბათ,
 ეს ტონი,
 საკადრისი
 არც არის —
 მკაცრი?..
 თავს რომ გვანონებს:
 ბატის ფრთით და...
 პრემიით,
 ჩინით,
 ხვალ, —
 ამ კალმოსნის
 ნამკითხველი —
 მაჩვენეთ, —
 კაცი...

9. XII. 2015

არავინ, — არ თქვას...

სიმართლეს,
 სინდისს
 ვერ-რით ერევა:
 ცხოვრების —
 მგელი,
 ფოცხვერი,
 ჯიქი...
 არავინ, —
 არ თქვას
 ბედნიერება —
 სიმართლისა და...
 სინდისის
 იქით...

3. XII. 2017

ნუთუ?!..

ტრიალებს —
 ოდით,
 ათასი ტროა,
 გვლუპავდა... მუდამ,
 ხათრი, — ძიების...
 XXI —
 კვლავ,
 ნუთუ,
 დროა:
 პლებეების და
 პატრიციების?!..

22. II. 2018

სიტყვა...

სიტყვა —
 ოქროა,
 მარგალიტიც,
 ზოგჯერ კი —
 სეტყვაც...
 ხან —
 ნაზი არის, —
 იასავით,
 ხან —
 ბასრი...
 მკაცრი...
 სიტყვა ფასობდა
 წინაპართა,
 ხან —
 ხმალად ერტყათ,
 სიტყვის გამტეხი, —
 ასჯერ ვიტყვი:
 არ არის —
 კაცი...

31. XII. 2017

თუ...

ძირს თუ, მოვისვრით —
 ნდობას, —
 ჭილობად,
 და...
 ფიქრიც ფიქრებს
 ურვით მიება,
 ნდობა იქცევა —
 უკვე,
 ჭრილობად
 და... სიყვარული —
 შურისძიებად...

2. I. 2018

ანგელოსია — ყინწვისის...

მზით ინვის
 დროის —
 ქუშეთი,
 რჩება — დიდება, —
 იმ წვისი...
 ასე მგონია:
 თუშეთი —
 ანგელოსია, —
 ყინწვისის...

1. I. 2018



**რემინისცენრია
ილიას ნაცვრის,*
ანუ –
გამოიღვიძებ
როდის?!..**

ისევ რომ —
გვაქართველო,
საზღვარი არ აქვს
ლოდინს...
მძინარე —
საქართველო,
გამოიღვიძებ —
როდის?!..

7. VII. 2007

* „ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ — ძილი,
ძილი,
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..

**როგორც, – პეტეფი –
გაფრენილ
ყანჩას...**

უსაზღვრო ფიქრი
და... სევდა
მახლავს, —
ნარსულში
რალაც, დიადი,
დამრჩა...
და... სიჭაბუკეს
მივტირი
ახლა,
როგორც, პეტეფი —
გაფრენილ
ყანჩას...

6. I. 2018

რამდენჯერ?!..

ხან, — გვაცლიან:
ძალას... იერს...
და...
სიტყვაც ვერ
დავძარიტ...
ეხ,
რამდენჯერ,
დაანგრიეს —
არტემიდეს
ტაძარი...

20. II. 2018

**ასე ბრძანა
ყადი...**

ასე ბრძანა, —
ამას წინათ,
მზეს ხატავდა
სანამ, ყადი,
ახლაც —
მზეზე მეტად,
ბრწყინავს —
ძველისძველი
სამარყანდი...

11. XII. 2017

როდის?!..

როდის იქნება —
სწორად,
განსჯილი? —
სიმართლეს ჰქონდეს —
ძალა მთებური...
რომ:
დამნაშავე ვნახოთ —
დასჯილი,
ხოლო,
მართალი —
გამართლებული...

6. I. 2018

**რა მათქმის?..
და...
რა მიკვირს?..**

ამ ცხოვრების
ომში ვიყავ
და...
ჭრილობებს
ვითვლი...
რა მათქმის?..
და...
რა მიკვირს? —
წუთისოფლის
მგზავრს? —
ნამდვილია, —
არ გეგონოთ:
ლეგენდა, თუ —
მითი,
ზოგჯერ, —
ბრმები
თვალხილულებს
ასწავლიან —
გზას...

31. XII. 2017



**პლანეტა –
კლოუნადა?!..**

იხვეჭენ —
ლორულ, — ნადავლს,
განა, —
ვიცილებთ
ჭირს კი?!..
პლანეტა —
კლოუნადა?!..
პლანეტა —
ნუთუ,
ცირკი?!..

11. XII. 2017

**ლმერთო,
რა კარგად
გამოჩნდა...**

ვინ —
გაორგულდა,
გაოჩნდა...
ვინ —
ვარდად გვნამდა,
ინარა...
ლმერთო,
რა კარგად
გამოჩნდა:
ვინ — ქართველია,
ვინ — არა...

9. I. 2018

**როჯა —
თილისმად,
მოჯვივა ოქრო...**

ქართველი ქალის სახიერებას, —
ზებრწყინვალეს, მზით სავსესა და...
დიდებულ — მჭევრმეტყველს
მაყვალა მიქელაძეს

ნათდება, წამსვე,
გული, —
კრიალა...
და... სათქმელს —
რატომ
დავადებ ბოქლომს?!..
მაგ, — მზეპირიდან,
სიტყვა*
კი არა, —
ნამდვილ თილისმად,
მოცვივა ოქრო...

12. I. 2018

* „სიტყვა სულის სახეა“.
პუბლიუსი
„სიტყვაზე ძლიერი არაფერია“.
მენანდრე
„ალაპარაკდი, რომ დაგინახო“.
სოკრატე

**გამოვსხივდები, —
გამოვმზევდები...**

ვინვი —
ლექსების
გარმონზე, — ნთებით,
სიბრძნის,
სიქველის —
განთიადებით...
გამოვსხივდები,
გამოვმზევდები,
გამოვბრწყინდები,
გავდიადდები...

28. I. 2019

**ჭემპარიტება —
მარადი,
სრული...**

ჭემპარიტება:
მარადი,
სრული,
ოდიდან,
დღემდე,
ხვალაც და...
ახლაც —
ადამიანის სიმაღლე, —
სულის,
მხოლოდ და...
მხოლოდ,
სიკეთე გახლავთ...

30. I. 2018

**რატომ?!..
ათასჯერ,
რატომ?!..**

*ჩვენს
კანონმდებლებს**

მსურს —
პარლამენტი მაგონებდეს
დიდგორის
ბრძოლებს...
და... ვლოცავ:
ვინაც —
ქვეყნის წინსვლის
გზებს ეძებს, —
უკვალს...
მაგრამ...
უმაქნის,
ან, — უმზაკვრეს
დეპუტატ
მძორებს —
რატომ?!..
რა ღვანლით?!..
და...
რა ხიბლით?!..
არ ვინვევთ —
უკან?!..

P.S.
არც — ფირდოუსი,*



არც — საადი,**
და... არც ვარ —
ჯამი,***
უბრალოდ, —
ქვეყნის,
ხალხის ტკივილს
მზეზე ვდებ, —
ამით...

16. I. 2018

*, **, ***, X, XI და XV საუკუნეების
გენიალური სპარსელი პოეტები.

არა მნამს...

ფუჭია ჭვრეტა —
უმისნო, —
დამიდასტურებს
გერგეტიც...
არა მნამს
სიტყვაც —
უმიზნო, —
უნდო,
უაზრო,
ქერქეტი...

6. I. 2018

ღმერთი უნდა იყო და... დადიოდე — მინაზე...

ასე —
მმოდღვრავს
იკორთა,
ლამეს
ასე —
მინვავს მზე:
ღმერთი
უნდა იყო და...
დადიოდე —
მინაზე...

როგორ ვუსმინო?!..

არწივად ხედავს —
ყვავს და...
ბუს, — ვინო?..
ხედ კი —
ჩალას და...
არა — ბაობაბს?!..
როგორც — სოკრატეს,
როგორ ვუსმინო, —
ენაგატლეკილ —
არარაობას?!..

3. II. 2018

გაყიდულო, საქართველო...

ძმათამკვლელი
ომი მოშლის —
შენს სავაზეთს,
ბრმათა რთველო,
გავიფანტეთ —
მსოფლიოში, —
სად ვალამოთ?!..
სად ვათენოთ?! —
განენილო,
განირულო,
გაყიდულო, —
საქართველო...

1. III. 2018

მტრებს რატომ ვეძებთ — მხოლოდ, გარედან?!..

ულმობლად
მიქრის —
დროის კარეტა,
მამულს... კვლავ:
სვავიც,
ყორანიც ძიძგნის...
მტრებს
რატომ ვეძებთ —
მხოლოდ,
გარედან?!..
ათასჯერ მეტი,
როცა გვყავს, —
შიგნით?!..

19. I. 2018

ღამერწმუნებით, — აღბათ, ამაში...

ჭეშმარიტების
და ზნეობის —
ისმის
გმინვები,
ღამერწმუნებით,
რასაც ვამბობ, —
აღბათ,
ამაში...
დემოკრატია არის,
ახლა:
ლანძღვის,
გინების, —
გამოგონილი პარტიების:
ცირკით,
თამაშით...

18. II. 2012



რატომ?!..

ხალხის არჩეულ — ხალხის
მსახურთ, ანუ —
ფიცი მწამს, მაგრამ... მაკვირვებს —
ბოლო.

ერთი, რომ იყოს:
საქმეც და —
სიტყვაც, —
ფიცი მწამს,
მაგრამ...
თუ, სიტყვას —
არ ხრი,
თუ, —
ხალხი გიყვარს...
და... მართლა —
გიყვარს,
რატომ
არ ცხოვრობ:
ცხოვრებით —
ხალხის?!..
რატომ?!..

22. I. 2018

ნუთუ?!..

გარეთ... და... შიგნით,
ყველა —
ამკლები?!..
ამ განცდის ცეცხლი
რა ბნედით ვწერო?!..
რომ... არ ვთქვა —
მეტი...
და... არც —
ნაკლები,
ნუთუ, —
დგას ჟამი —
საბედისწერო?!..

P.S.

ისევ — ლალატი?!..
ისევ — ავითა?! —
ყველა
ჩვენ მოგვდგა:
ბრმაც და... ურჩებიც?!..
ნუთუ, —
გავუძლებთ?!..
ნუთუ, —
ავიტანთ?!..
ნუთუ, —
ყველაფერს,
გადავურჩებით?!..

4. II. 2018

ახალი დრო...

სავარძელშია:
ისტი,
მისტი,
სხვისტი და...
ქურდიც, —

მზე აღარ უნდათ,
დაღრუბლეს და...
ცა — იმად, ქუფრობს...
თეატრში —
ახლა,
რომ შეუგდოთ —
ძვირფასი
ქუდი,
ხელისუფლების
სპექტაკლები იზიდავთ, —
უფრო...

13. XII. 2002

ნუთუ, — ვერ ვხვდებით?!..

რატომ ჩამოვრჩით?!..
რატომ გვიჭირს?!..
რატომ ვფერხდებით?!..
ფეხით
ვინ სდგება:
ვის გზას,
ვის აზრს,
მიზანს,
ვის ქცევას?..
ნუთუ, —
არ ვიცით?!..
ნუთუ, —
ვერ ვგრძნობთ?!..
ნუთუ, —
ვერ ვხვდებით?!
სიმართლე —
მინყვი,
ვისით იწვის...
და... მტვრად
იქცევა...

8. XII. 2017

სიმართლე გითხრათ...

დევიც გავძვრებით
ნემსის ყუნწში,
თუ, უფლის —
მზე გვფენს...
თუ, საჭიროა —
ჯოჯოხეთის
წლებსაც
ავიტანთ...
სიმართლე გითხრათ,
იყოს — თუნდაც,
მეფეთა
მეფე,
უნდა იწყებდეს —
წესრიგს, —
ყველა,
თავის
თავიდან...

26. I. 2018



ვარდების – სპექტაკლი...*

სიცრუის ზეიმი
როდია ადვილი?!..
ჭეშმარიტება
ცეცხლში რომ
ვარდების...
რევოლუცია
გვეგონა, —
ნამდვილი,
მაგრამ...
სპექტაკლი
დაგვიდგეს, —
ვარდების...

21. I. 2018

*ამ სპექტაკლს ორი იუდა ავტორი
ჰყავდა: ჩამბარებელი და მიმღები...
ორივე — სხვისგან მართული,
ბედკრული, საქართველოს
შვილები არიან...

რა უსხივესი – მზეგული გშვენის...

ნათელა დეკანოზიშვილს

რა, უსხივესი —
მზეგული გშვენის,
მაგ სხივით —
სევდას
და... ტკივილს
მიქრობ...
გადაივიწყე —
თავიც კი, — შენი...
ყოველ წამს —
მხოლოდ,
ჩემზე, რომ
ფიქრობ...

უსიყვარულოდ, — არავინ, არ მნამს...

ვინაც მნამს:
ყველას,
სულს და გულს
ვუშლი,
უსიყვარულოდ, —
არ გავხსნი
წამნამს...
მზე
არ უნთია —
ვისაც კი, —
გულში,
რა ვქნა, —
არავინ,
არავინ —
არ მნამს...

24. I. 2018

ქვეყანავ, — მოყვრის დაჭრილო...

ფიქრო, —
ზეცამდე აჭრილო,
სევდა გასხია —
გირჩებად...
ქვეყანავ, —
მოყვრის დაჭრილო,
ტკივილი
ალარ
გირჩება...

13. I. 2018

თქვენ შეაფასეთ...

თქვენ შეაფასეთ —
სულის მზე, —
არსთა,
ვინც —
კარგად არჩევს
საქმის
ყველა ფერს...
ვინც —
არ შეუნდობს
იოტ ნაკლს
სხვას და...
თავისთავს —
რაც კი ნებავს,
ყველაფერს...

12. I. 2018

დიდი სიბრძნე...

რაც გვაქვს —
სათქმელი,
დიდი სიბრძნე, —
ყოველთვის,
ის არს:
ჭეშმარიტებას
არ დაედვას —
ლახვარ — ხუნდებად...
სიფრთხილე უნდა:
სიტყვასა და...
გასროლილ —
ისარს,
რადგანაც ვიცით,
უკან —
ერთიც
ალარ ბრუნდება...

და... ღმერთი იყო: ღუმილით, — თვისით...

იქ,
ჯერ,
მის მეტი,
ვერვინ ხსნიდა:
სანუთროს
იგავს,





ამაღლებული მაგონებდა —
მწვერვალებს, —
მთისას...
ო... სხვათა იყო:
ჭეჭა,
ელვა...
და... დუმდა იგი...
და... დუმდა იგი...
ლმერთი იყო:
დუმით, —
თვისით...

ღიაღზე, კიდეც — უფრო, ღიაღი...

Multum in parmo*

სჯობია ითქვას:
ცოტათი — ბევრი,** —
შემძვრელი —
მინის,
ზღვათა და...
ცათა...
ამზეო:
სიტყვის...
და...
სიბრძნის კევრი, —
თქვა — ერთი,
მაგრამ...
სჯობნიდეს —
ათასს...

5. II. 2018

*(ლათ.) მულტუმ ინ პარვო, — ბევრია
— ცოტაში; დიდი შინაარსი — მოკლედ
ნათქვამში...

**„ნეტავ, შემეძლოს, რასაც ვფიქრობ
და... რისი დანერაც მსურს, ყველაფერი
ქინძისთავზე მომათავსებინა“...

უილიამ ფოლკნერი

თუ, რამ, მწამს...

ღირსებამ, ოდით,
ჯვარცმით იარა,
მტერზე უმტრესი
ესია, —
ირგვლივ...
თუ, რამ,
მწამს, —
ქვეყნად,
მეფის კი არა,
დაიდგამს ვინაც —
ღირსების
გვირგვინს...

7. I. 2018



ასგზის ვლოჯავ!!!..

ვინც —
მოსხივდა
უფლის აფრით,
ვინც —
ამ გულში
ზის...
ასგზის ვლოჯავ —
14 აპრილს, —
შვა, ვინც:
მსგავსი —
მზის...

ალარ არის — საქართველო?!..

გაიფანტა ქართველობა, —
ირგვლივ, მთლიან —
პლანეტაზე,
მშიერს,
ტიტველს
ვინ შეხვდება?!..
სად ალამოს?!..
სად ათენოს?!..
ისევ, —
ბევრი ტოვებს:
კერას,
ამ ცას,
მინას,
ამ, — ნეტარ მზეს,
დაიცალა,
სადლა არის?!..
ალარ არის —
საქართველო?!..

P.S.

დარდთან,
დროსთან,
დავრჩით მარტო,
ერთ ტირანს ცვლის —
სხვა ტირანი...
ამ ყოფაში —
სიკვდილს ვნატრობთ,
სიცოცხლე გვაქვს —
სატირალი...

გაზაფხული...

მოკისკისდა:
მზე-ნანატრი, —
მინავლული,
გაზაფხულის:
ეს, —
სიცოცხლის —
გზა, — უხვანჯო...
ენძელად და
იად მოდის —
გაზაფხული...
სიყვარულის
გაზაფხულსაც —
გაუმარჯოს!!!..



გიორგი ჩილვინაია

გიორგი ჩილვინაიას მოთხრობა „ცისკენ მიმავალი ბილიკი“ 2017 წლის დეკემბერში გახდა რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ნომინანტი.

ცისკენ მიმავალი ბილიკი

მშვიდი სილამაზით მოვიდა მთებში შემოდგომა. ნითელ-ყვითელი ფერებით მოირთო ტყეები. დილის მზის სხივებს აყოლილი ნიავი ჩამოქრის ფერდობებიდან სოფელში, გზებსა და ბილიკებზე დაფარფატებს, ხმობაშეპარულ ყანებს აშრიანებს და ისევ ქედებისაკენ ნასული ტყიან ფერდობებს შეერევა ხეთა ჩურჩულადა და ფოთოლთა ცვენად...

დილით ადრე გაიღვიძეს ძმებმა, მაგრამ დაენანათ თბილი ლოგინების მიტოვება და როცა წამოდგნენ, უკვე კარგად მომზიანებულიყო სოფელი. ეზოში გაიარ-გამოიარეს: ერთმა გზისაკენ გაიხედა, მეორემ — მეზობლისკენ. მერე ისე, რომ ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ, უმცროსი სახლში შებრუნდა, ხოლო უფროსმა ეზოში კენწეროგადატეხილ მსხალზე აყუდებული რამდენიმე შეშის ნაპობი შეათვალიერა, იქვე დაგდებული ცული აიღო, მერე სახლისაკენ შებრუნდა და ღია კარში ძმას მიადახა:

— გეყოფა ძილი, გამოდი ახლა გარეთ!..

ცოტა ხანში უმცროსმა კარში გამოყო თავი და უფროსს გაკვირვებით გამოხედა:

— ნეტავი რამ გიკბინა? ძილი თორემ, შენ ჩემზე ადრე ადექი და მთელი დღის საქმე გააკეთე უკვე.

— რა უნდა გამეკეთებინა?

— შენმა მზემ, აყვავებული გვაქვს ოჯახი, კი არაფერი გჭირდება!..

— მარტო მე მჭირდება? ცოლი უნდა მოვიყვანო, გაიძახი და ხელის განძრევა არ გინდა.

— შენ ხომ წლებზე იდგამ ფეხს! — უკვე ეზოში გამოსულმა უმცროსმა ძმამ ცხვირწინ დაუტრიალა საჩვენებელი თითი, — ცოლის მოყვანა შენ უფრო გეკუთვნის, მაგრამ არ დააყენე საშველი და მე ველარ მოგიცდი.

— შენ ნუ კითხულობ ჩემს საქმეს! — შედარებით წყნარად უთხრა უფროსმა, ცული გვერდზე დადო და აყუდებული შეშის ნაპობებს მიეყრდნო.

— ჰოდა, შენც ნუ კითხულობ ჩემსას, — იქვე კუნძზე ჩამოჯდა უმცროსი, ხალათის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, თითებში აწვალა, მაგრამ მოწვევა გადაიფიქრა და ისევ ჯიბეში ჩაიბრუნა.

ერთხანს უბრადა იყვნენ, მერე უფროსი მობრუნდა და თქვა:

— ტყეში ნავიდეთ დღეს, შეშა დავამზადოთ.

უფროსმა ქვემოდან ამოხედა, ერთხანს გაყურდა, მერე ფეხები გაშალა, დაამთქნარა და უპასუხა:

— აგრე გეთქვა, შე კაცო, რას შემჭამე ამ დილაადრიან.

— რალა ადრეა, მალე შუადღე მოვა, ადექი, ადექი!..

უმცროსი ძმა წამოიზლაზნა, სახლისკენ გაიხედა:

— არ გვეჭამა რამე?

— გშია?

— ჯერ არა, მაგრამ ტყეში რომ მოგვპოვდება?

— ჰოდა, ნავილოთ და იქ ვჭამოთ. შედი სახლში, მოძებნე რამე და ჩაალაგე, მე ნაჯახებს გავლესავ.

უმცროსი დამორჩილდა და სახლისაკენ წავიდა.

მშობლები და უმცროსი და-ძმები ქალაქში ცხოვრობდნენ. ამ ორს, უფროსებს კი სოფლის სახლ-კარისა და ყანა-ვენახის მოვლა გადაეწყვიტათ და აქ დამკვიდრებულიყვნენ. მშობლებიც ჩამოდიოდნენ ხოლმე ქალაქიდან, ზაფხულს კი მთელი ოჯახი სოფელში ატარებდა.

ხმელ ფოთლებს მიაშრიანებენ ტყის ბილიკზე. ხეთა ტოტებიდან მზის სხივები იჭვრიტება. წინ უფროსი ძმა მიდის მხარზე ცულგადებული, უკან უმცროსი მიჰყვება ზურგჩანთით, ხელში მასაც ნაჯახი უჭირავს. მცირე აღმართი აათავეს და უფრო ვრცელი ტყით დაფარული მიდამო გადაეშალათ თვალწინ. ჩამოსხდნენ ცოტა ხანს, გაჰყურებენ მზედაფენილ, აფერადებულ ტყიან ქედებს. ფიქრებით ამ ტყეების თავზე დახეტილობენ თითქოს და შორს მოატარებენ მზერას, სადაც ცას ერწყმიან მაღალი მთები და უსასრულოდ გრძელდება დაბინდული სილურჯე.

— ლამაზია, არა? — მიხედა უმცროსმა ძმამ.

— აბა, კაცო, ნავიდეთ, ნავიდეთ, — უპასუხა უფროსმა.

ადგნენ, ისევ განაგრძეს გზა, იარეს ერთხანს. მერე პატარა მდელს დასაწყისში, ბექობის ძირას გამომდინარ წყაროსთან შეჩერდნენ. უფროსმა ცული მინდორზე დააგდო, ქვაზე ჩამოჯდა და წყაროს დახედა. უმცროსმა ზურგჩანთა მოიხსნა, იქიდან მათარა ამოაძვრინა, წყლით შეავსო და ძმას მიანოდა.

— ჩაცეცხლე!

— უმცროსმა უნდა დალიოს ჯერ, ნავთი დალიე შენ. დაისვენე ცოტა ხანს.

— მნახა ბავშვი, — ჩაილაპარაკა უმცროსმა და მათარა მიიყუდა პირზე. ნებად დალია, დარჩენილი წყალი გადაღვარა, ისევ შეავსო და ძმას გვერდით დაუდო. მერე წყაროს შეუშვირა პეშვი, ცივი წყალი ჯერ პირზე შეისხა, მერე მკერდზე გადაივლო.

— უჰ, რა ცივია ეს დალოცვილი! — ფრუტუნით თქვა.

— კიდევ შეისხი, კიდევ, იქნებ გამოიღვიძო, — მოხედა უფროსმა ძმამ.

— ყვავმა ყვავს დაჩხავლაო... ვითომ ჩემზე ფხი-





ზელი იყო, ცუდ ფეხზე ხარ ამდგარი დღეს, იმიტომ არ ისვენებ, — სახეზე ხალათის კალთა მოისვა უმცროსმა, ტყეს გახედა.

უფროსმა წყალი დალია, მათარა ძმას მიაწოდა:

— აავსე და წავიდეთ, — წამოდგა, ნაჯახი აიღო.

კარგა ხნის შემდეგ შუაგულ ტყეში, წიფლებით დაფარულ ვაკეზე გაჩერდა უმცროსი ძმა.

— სადღა მივალთ? ავარჩიოთ ახლა ერთი ხე და მოვჭრათ.

— ცოტა ზევით ავსულიყავით, იქ უფრო კარგი ხეებია.

— ამათ რას უწუნებ?

უფროსს არაფერი უთქვამს, განზე გაიხედა, ხეები შეათვალიერა, გაიარ-გამოიარა. ბოლოს ერთ დიდ წიფელთან შეჩერდა და ირგვლივ შემოუარა.

— როგორია? — ხისათვის თვალი არ მოუცილებია, ისე ჰკითხა ძმას, — სწორია, წვრილი ტოტები აქვს, კარგი დასაპობი უნდა იყოს, — მერე ცული შემოჰკრა ხეს, ნაფოტი გააგდებინა. უმცროსმა ნაფოტი აიღო, გადატეხა, დააკვირდა. მერე ძმას მიუბრუნდა.

— აქეთ, ჩემკენ უნდა წავაქციოთ, თორემ იქით ხეს დაეჯახება, საწვალბეელი გაგვიხდება.

— ჰო, მანდედან მეტი ვუჭრათ, — დაეთანხმა უფროსი ძმა.

უმცროსმა ზურგჩანთა მოიხსნა, მოშორებით სხვა ხის ტოტზე ჩამოჰკიდა, ხალათიც გაიძრო, იქვე მიაგდო, ნაჯახით ხელში მოსაჭრელ ხესთან მივიდა, ძირიდან კენწერომდე შეათვალიერა და გაყურდა.

— ცოდოა, — ჩუმად, თავისთვის ჩაილაპარაკა, ერთხანს გაჩერდა, მერე პირფვარი გადაიწერა, ნაჯახი მოიმარჯვა და ხეს ღონივრად შემოჰკრა. მეორე მხრიდან უფროსი ძმა წამოეშველა. ირგვლივ ნაფოტებმა დაიწყო ცვენა. გულიანად მუშაობდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ხის კენწერო შეინძრა. ძმებმა ჭრას თავი დაანებეს და განზე გადგნენ. ხემ ჯერ ნელა, ზანტად გადაიწია, მერე უფრო ჩქარა წავიდა მინისკენ და მისი კენწეროს ადგილას სუფთა, ლურჯი ცა გამოჩნდა. ხე კი გრუხუნით დაენარცხა მინას, თითქოს ამოიგმინა დაცემისას, მეზობელ ხეებსაც ჩამოაღწია რამდენიმე ტოტი და ყვითელი ფოთლების კორიანტელი დააყენა. ხის გადაჭრილ ძირს მზის სხივი დაეფინა.

ძმები ერთხანს შემცბარი უყურებდნენ ნაქცეულ წიფელს. მერე მის ძირთან მისულმა უფროსმა ძმამ უმცროსს გამოხედა და თქვა:

— ნახე, ღრუ ჰქონია.

— ჰო, დაბერებულა უკვე, მოდი, მოდი, გავსხეპოთ და დავჭრათ ბარემ.

სადილობა როცა დააპირეს, საქმე თითქმის დამთავრებული ჰქონდათ. ხის ტოტები ცალ-ცალკე დასხებილი და ურმის ზომაზე დაჭრილი იქვე, სხვა ხეზე იყო მიყუდებული. ხის ტანიც დაეჭრათ ზომაზე, ნაწილი დაეპოთ უკვე, ნაპობები ისევ ძირს ეყარა, მხოლოდ ერთი მოზრდილი მორი ჰქონდათ დასაპობი.

— წამოიღე საგზალი, წყალთან ჩავიდეთ, — თქვა უფროსმა ძმამ და მოშორებით მდებარე პატარა ხევისაკენ გაემართა. მიმავალი ერთხანს შედგა, ნამუშევარს თვალი მოავლო და უკან ადევნებულ ძმას ჰკითხა:

— რას იტყვი, გვეყოფა ამ ზამთარს?

— ორი მაგდენი კიდევ გვინდა! — უკანმიუხედავად მიუგო უმცროსმა.

ხეში ჩავიდნენ. მთიდან მომდინარე მოზრდილ ნაკადულთან. უმცროსმა ხელები გადაიბანა და იქვე

ფოთლებდაცვენის, დაჩრდილულ თეთრ ქვებზე გაშალა სუფრა. ამოიღო ჩანთიდან ორი პური, მოხარული კვერცხები, ღორის ნაჭერი, ყველი, რამდენიმე გვერდებშეჭყლეტილი პომიდორი, ორი დიდი ვაშლი და ერთი ბოთლი ღვინო. მერე იქვე სუფრასთან ჩამოჯდა და ნაკადულის პირას ჩამუხლულ ძმას გასძახა:

— მობრძანდით, ბატონო!..

უფროსი ძმა მივიდა, სანოვავეს ყურადღებით დახედა, წყლით სავსე მათარა იქვე დადგა და ჩამოჯდა.

მადიანად შეექცნენ. უმცროსმა ღვინიან ბოთლს გადახედა.

— არ დავასხა?

— დაასხი, რას მეკითხები? — უპასუხა პირგამოტენილმა ძმამ.

უმცროსმა დაასხა და მიაწოდა.

— დაგელია შენ.

— არა, ბატონო, ეგეც წყალი კი არ არის.

— მორჩი ბატონოს ძახილს, — ჭიქა ჩამოართვა უფროსმა, — ჩვენს ნაშრომს გაუმარჯოს, კეთილად მოგვეხმაროს.

— ღმერთმა გისმინოს.

მოკლე სადღეგრძელოებით შეჰყვნენ, ლაპარაკის საღერღელიც აეშალათ.

— რას შვრები, როდის აპირებ საცოლის მშობლებთან წასვლას? — თვალი აარიდა და ისე ჰკითხა უფროსმა.

— მომავალ კვირას. შენც წამოხვალ, ჩვენებიც ჩამოვლენ ქალაქიდან, — წყნარად თქვა უმცროსმა, — ისე, თუ მოიფიქრებ რაიმეს და ჯერ შენ მოიყვან, მოცდაც შემიძლია.

— მიხედე, მიხედე საქმეს, მე ნუ მიცდი.

უმცროს ძმას მეზობელ სოფელში, მისი თქმით, შეყვარებული ჰყავდა. ძმისთვის არ უთქვამს, სად, როდის და როგორ მოასწრო იმ გოგონას შეყვარება, მაგრამ ერთხელ კი გადაწყვეტით გამოუცხადა, ასეა საქმე და თუ შენ ჯერ ცოლის მოყვანას არ აპირებ, მე მეტს ველარ მოვიცდიო. უფროსს გულის სიღრმეში ცოტა წყენამ გაჰკრა, მაგრამ ძმისადმი შური არ გასჩენია, მაშინვე დაეთანხმა და თანადგომას დაჰპირდა.

სადილობას მორჩნენ, ნარჩენები ჩანთაში ჩაალაგეს. ცოტა ხანს ისხდნენ. მერე უფროსი ძმა წამოდგა.

— ავდგეთ, მოვრჩეთ საქმეს.

— მოიცა, რა გეჩქარება, ჯერ ადრეა, — თქვა უმცროსმა, ბეჭობზე მოხერხებულად მიწვა, — ახლა ერთი საათით თვალის მოტყუებას არაფერი სჯობია.

— ძილის მეტი არაფერი გახსოვს, — გაჯავრდა უფროსი, — ადექი, ადექი!

— ამ ლამაზ ტყეში ყოველდღე ხომ ვერ ამოვალ? მომასვენე ცოტა ხანს! — თქვა უმცროსმა ძმამ და არც უფიქრია განძრევა.

— მოსასვენებლად მიდიან ტყეში? ვის გადაეყვარე ამას! — ჩაიბუზღუნა უფროსმა, ნაკადულთან მივიდა, ნაღვინევ ბოთლს წყალი გამოავლო, აავსო და ტყიან ფერდობს შეუყვია.

უმცროსი ძმა გულაღმა გადანვა ხმელ ფოთლებზე, ხეთა კენწეროების მიღმა ალაგ-ალაგ გამოჩენილ მზიან ცაზე მოატარა მზერა. უკვე დასავლეთისკენ გადახრილი მზის სხივი მიელამუნა სახეზე. ერთხანს ცას უტყერდა, მერე სხივდაფენილი თვალეზი მილულა და ჯერ მზის დასავალთან, მაღალი ქედის ძირას მდებარე პატარა სოფელი წარმოუდგა თვალწინ, მერე იქ მომლოდინე მისი იმედი — ლამაზი, ანცი ქალიშვილი. წარმოსახვით იმ სოფლისაკენ მიმავალ



ბილიკს გაჰყვა, მერე თითქოს მზის სხივზე შეაბიჯა, ის გაიხადა ბილიკად და მიჰყვა სანატრელი არსებისაკენ... გოგონა გახარებული, შემცბარი ღიმილით შეეგება, თვალები დახარა და დაელოდა მის მიახლოებას.

ნიავემა შეარხია ხის ტოტები, ხმელი ფოთოლი უმცროს ძმას სახეზე დაეცა და ნეტარ ხილვას მოსწევიტა. თვალები გაახილა. მზიანი ცა მოათვალა, ერთხანს გაუყურდა ფიქრებს, მერე ნელა წამოდგა, ხმელი ფოთლები ჩამოიფერთხა და ძმისკენ გაემართა. ხევიდან რომ ავიდა, უფროსს უკვე ბოლო მორიც დაეპო და ახლა გაბნეულ ნაპობებს აყუდებდა ხეზე. უმცროს ძმას ცოტა შერცხვა, მაგრამ მაინც ღიმილით დახედა მის წამუშევარს.

— ყოჩაღ, გიმარჯვინია, — შეაქო ძმა და ერთ ნაპობს დასწვდა.

— გაუშვი ხელი, მე მოვამთავრებ, — ისევ გაუბრაზდა ძმა.

უმცროსი ერთხანს ნირწამხდარი იდგა, მერე იქვე მიგდებულ ჩანთას და თავის ნაჯახს მისწვდა, აიღო და ძმას მიუბრუნდა:

— ნავალ, აბა, მე, დროზე მივალ სახლში და ვახშამზე ვიზრუნებ.

— ნადი, ნადი, აქ რაღა საქმეა.

უმცროსი ხმელი ფოთლებით დაფენილ ბილიკს დაადგა. მერე წამით შებრუნდა და ძმას ღიმილით მიადახა:

— არაფერმა შეგაშინოს, ბიჭო!

— ნადი, სანამ გესროდე რამეს! — დაემუქრა უფროსი.

უმცროს ძმას აღარაფერი უთქვამს, გზა განაგრძო.

ტყეში დარჩენილი საქმეს მალე მორჩა. მზე მთის კიდეს ეფარებოდა უკვე. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი წამუშევარს და მხარზე ცულგადებული სოფლისაკენ წავიდა. ჯერ ბილიკ-ბილიკ იარა ტყეში, მერე საურმე გზას დაადგა. გზისპირებზე და ტყისპირა მდელოებზე ალაგ-ალაგ მწიფე ნაყოფით დახუნძლული პანტის ხეები იდგა. ერთ-ერთი ხიდან ტოტის მოტეხვის ხმა შემოესმა. გაჩერდა, მიაყურა და დამცინავად ჩაიქირქილა, ახლა პანტაზე ასულა ეს ჩემი ურჩი ძმაო და თვითონაც იქით გაემართა, მეც გავისველებ პირსო.

— სახლში მივდივარო და შენ კი სად ასულხარ? — შემრიგებლურად შესძახა ხეზე მყოფს უფროსმა ძმამ, მალლა აიხედა, მაგრამ ხშირ ტოტებში ვერავინ დაინახა, — დაარხიე, დაარხიე და დაბლა ჩამოყარე, ნუ ამომიყვან მანდ.

ხეზე მყოფს ხმა არ გაუცია, მაგრამ ტოტი შეირხა და რამდენიმე პანტა ჩამოვარდა. უფროსმა ძმამ მწიფე მსხლები აკრიფა, გაასუფთავა, იქვე ჩამოჯდა და ჩაკბიჩა. ცოტა ხანში შემოელია და ისევ ასძახა მალლა:

— ჩამოყარე კიდევ, გაარხიე კარგად. ხმას რატომ არა მცემ, გაბუტული ხარ? გაარხიე და ჩამოდი, ნავიდეთ სახლში!

ხეზე მყოფს ხმა არც ახლა ამოუღია. უფროსმა ძმამ ხის ქვეშ კიდევ მოათვალა მწიფე ნაყოფი. ამ დროს ზემოდან რაღაც ხმა მოესმა.

— რატომ არ არხე, ბიჭო! — დაიძახა ისევ, მალლა აიხედა და შიშით წამოიყვინა — პანტიდან ვეებერთელა დათვი მოფორთხავდა დაბლა და თან მისკენ იხედებოდა. მერე გადმოხტა და თხილის ბურქებისაკენ გაქცეულმა ლანა-ლუნი აუყენა ტოტებს. მაგრამ ეს უფროს ძმას უკვე აღარ დაუნახავს, შემინებული გადმოველო ჩირგვებს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. დათვი კი მეორე მხარეს მიიპარებოდა ტყეში. უფროს ძმას უკან მოხედვის ეშინოდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა სოფლისკენ. კარგა ხანს ირბინა და მალე უმცროს ძმას წამოენია. მან გაკვირვებით შემოხედა:

— სად მირბინარ, რა მოხდა?!

უფროსი ძმა, როგორც იქნა, შედგა.

— რა იყო, რა მოგივიდა? — მიუახლოვდა ძმა, თავიდან ფეხებამდე შეათვალა, ღიმილმა გადაურბინა საახეზე.

— უჰ, შენი! — შეუღრინა უფროსმა ძმამ, ხელში ჩაკბეჩილი პანტა შეჰყინოდა, ცული იქ დაეტოვებინა. ჩამოჯდა, ტყიდან მომავალ გზას მოავლო თვალი და თავზე დამდგარ ძმას ახედა.

— რა იყო? — უკვე რაღაცას ხვდებოდა უმცროსი და იცინოდა.

— რა იყო და დათვი შემხვდა, — უფროსი ძმა ნელა მოუყვა უმცროსს, რაც შეემთხვა, — შენი ბრალია ყველაფერი, — შეუბღვირა ძმას, — მეგონა, შენ იყავი პანტაზე.

— რა ჩემი ბრალია? — გულიანად იცინოდა უმცროსი, — როგორ იყო, როგორ? — ყველა წვრილმანი აინტერესებდა.

მერე უკან, ტყისაკენ აუყვნენ გზას. წინ უმცროსი მიდიოდა. პანტის ხესთან მივიდნენ, შიშით დატოვებული ცული აიღეს.

— რა იყო, რას დაუხეთქეთ გულები ერთმანეთს შენ და იმ დათვმა? ორივეს გეყოფოდათ ეს პანტა. რა კარგად ასხია, კაცო! — თქვა უმცროსმა, რამდენიმე ცალი ნაყოფი აიღო და გემო გაუსინჯა. მალე შინისაკენ წამოვიდნენ.

სოფელში ნუ იტყვიო, სთხოვა უფროსმა ძმამ უმცროსს, მაგრამ უმცროსმა ჩამოსვლისთანავე ჩამოფქვა ყველაფერი მეზობლებთან, ერთი კვირის შემდეგ კი საცოლე და მისი ახლობლებიც აცინა ამ ამბავზე...

სოფლის გზას ორი მოხუცი კაცი მიუყვება. ძმების სახლთან ერთი მათგანი შედგება, ეზოში გადაიხედავს და თანამგზავრს ღიმილით ეუბნება:


— გაიგე, რა მოსვლიათ ტყეში?

— აბა, კაცო, — ქირქილებს მეორე, — რავა მათ უნდა დაემართოთ ყველაფერი, რას ფიქრობენ, არ მოჰყავთ ცოლები?

— აპირებენ, აპირებენ...

თბილი სხივები ემშვიდობება ხეთა კენწეროებს. ხმელი ფოთლები ფარფატიტ სცვივა ძირს. მზის დასავალთან ოქროსფრად ელავენ სხივდაფენილი ღრუბლები და შემოდგომის გრილი საღამო დგება სოფელში.





ზვიად ნიშვირია

26



ზვიად ნიშვირიძე დაიბადა 1978 წლის 13 იანვარს, რუსთავში. ზვიადი ლექსების გარდა წერს ნოველებს, პიესებს, სცენარებს. 2007 წელს რუსთავში ჩატარებულ ერთი ლექსის კონკურსზე — „მუზა“ დაიკავა პირველი ადგილი. ასევე პირველი ადგილი მიენიჭა ჭყვიშში — 2012 და 2013 წლებში ჩატარებულ გალაკტიონოვის ფესტივალზე, ნომინაციაში „გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი.“

გამოცემული აქვს ლექსების 6 კრებული. თარგმნა და 2017 წელს წიგნად გამოსცა შექსპირის სონეტების სრული კრებული.

2012 წლიდან მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქუთაისში.

ისეთი ენა მაქვს

ისეთი ენა მაქვს, ისეთი მინა მაქვს, ისეთი ზეცა და მთები,
ისეთი წარსული, როცა მაგონდება, მათი სიყვარულით ვკრთები.

ციხე-კოშკებიდან გუმბათი დამყურებს, ფიქრობს უძველესი ციხე,
ისე მიზიარებს, რამდენი უნახავს, რომ სულის ბორკილებს მიხვეს.

მიდამო მანვდიდა ხვამლივით ხვავრიელ, იდუმალ, საოცარ ფერებს
და ანგელოზები მაცხოვრის დალოცვილ ფსალმუნებს ყოველდღე წერენ.

ისეთი სოფელი, ისეთი ქალაქი, ძვალთაშესალაგი პაპის,
ისეთი მდინარე, გიჟი, მოცინარე, ისეთი ქათქათა ქაფით,

ღია დარაბების მეშლება სურათი, სუნთქვა წვიმისფერი მოდის,
კლდეთა ქარაფების ნაფიქრალ მოლოდინს არა აქვს სიმძიმე ლოდის,

ისეთი ქვეყანა, ისეთი ფესვები, ისეთი სისხლსავსე სივრცე,
ისეთი ველები, რომ ველარ ველევი და მინდა, სიცოცხლე მივცე!

ღმერთო...

ღმერთო, ყოველდღე მასმენინე შენდამი წირვა,
ღმერთო, მომეცი ძალა, გავძლო სხეულში, ყრუში,
ღმერთო, გონება გაუნათე, ვინც მე მაჭირვა,
ღმერთო, მიწყალე მე ცოდვილი, მკვლელი და მრუში.
ღმერთო, განმბანე შენი მონა მადლის წყაროთი,
ღმერთო, იქროლე მუდამ ჩემში, როგორც გრიგალი,
ღმერთო, მახსოვდე მინდა მუდამ და მიხაროდე,
ღმერთო, მამყოფე ჩემს დემონთან შეურიგალი.
ღმერთო, ცოდვები მომიტევე, მახსოვდე რადგან,
ღმერთო, იდიდე დედამიწის ყველა კუთხეში,
ღმერთო, მადლობა, რწმენის ფესვებს ჩემში რომ ღრმად რგავ,
ღმერთო, განმიგდე ფიქრი შავი, ყრუ და უხეში.

არ დამივიწყო, არ დამტოვო, რათა ვხედავდე
ჩემს ცოდვებს ისე, რომ არ ჩავყვე ჯოჯოხეთამდე.



სადღეგრძელო

იმათი შევსვათ, ყოველ ნაბიჯზე ვისაც ნამდვილად ჰქვია ქართველი,
ვინც ცდილობს არა სხვათა მეფობას, არამედ, იყოს თავის მმართველი,

ვინც ქრისტეს მოსვლას მუდამ და ყველგან, წყალშიც და ცეცხლის ალშიც ელოდა,
ვინც არის მსმელი დაუძინებელ მტერთა მოქცევის სადღეგრძელოთა,

ვინც კაცი იყო და კაცად დარჩა, ვისი ამაგიც მუდამ ვიცოდით,
ვისაც ბრმად სჯერა სიყვარულის და ბრმად სჯერა სულის მარადისობის,

ვისაც ვერ ცვლიან ვერც კარიერა და ვერც მევერცხლე ხორცის ბრძანება,
ვისაც ოჯახში და სამოთხეში შესვლა არასდროს აეკრძალება,

ვის გვერდით ყოფნა და მეგობრობა ყოველთვის სუფთა გულით გვწადა,
ცოტათი მაინც ვინც გავს ექვთიმეს, მღვდელ თევდორეს და ცოტნე დადიანს,

ვისაც უბრწყინავს თვალები, როცა ყველგან მშვიდობის მოდის მეფობა,
ვისაც მოყვასის გულში სიკვდილის აღზევებისას გული ეპობა,

ვინც ბრმად შეწირავს სიცოცხლეს, რათა სხვისი გადარჩეს... იარონ სხვებმა!
ვისაც ლოცვებით, სიტყვით და საქმით ყოველთვის უწევს ეშმაკთან შებმა,

ანი და ჰოე ვისაც უჭირავს ლაპარაკისას ოქროს თასებით,
ვინც შეძლო ზეცის მწვერვალზე ასვლა მეობით ღმერთთან გაბაასებით!

ბავშვების სიმღერა

ჩვენ იქ გაფრნდით, სადაც ირგვლივ მტრედისფერი ტაძარია,
ჩვენი ფრთები ლურჯ ზეცაში გაფრენისთვის მზად არიან.

ღმერთმა ბავშვებს უმშვიდესი ანგელოზის მოგვცა სახე,
ჩვენ ის ვნახეთ, ვერ იხილავს რასაც დიდი — ღმერთი ვნახეთ,

არ გვსურს გაზრდა, ანგელოზის სახეს ვკარგავთ მაშინ რადგან,
მაგრამ მაინც გავიზრდებით, მაგრამ მაინც წავალთ მათგან,

ჩვენი ჯვარიც მძიმე არის, რადგან გვექვია პატარები,
მზე გვსურს, დედა მარიამის ხელისგულზე ნატარები,

მაშინ იქნებ მუდამ ირგვლივ მართვეებმა იფრთიანონ,
რომ ყოველთვის უფლისათვის ვიგალობოთ, ქრისტეიანო!

გუდამაყარი

გაფიცებ ხვალის გათენებას, მოვკვდები როცა,
მკერდზე მოკვდავი ყვავილები თუ დამაყარო,
თითქოს შენს სოფლებს, მთებს და ხევებს ღმერთმა აკოცა,
ისეთი მაღლი მოდის შენგან, გუდამაყარო.
მოკვდავ ყვავილებს სხვა ხეობა თუ დამაყრიდა,
შენ კი გულივით ფეთქავ ჩემში და სულ ინთები...
მე უსაზღვრობას მპირდებიან გუდამაყრიდან
მთის ბილიკებზე გამავალი ლაბირინთები.



ვიდექი მოლზე მონუსხული. ჩუმად ვისმენდი:
მღეროდა ბავშვი მარიამი ჟასმინით ხელში,
დუმდა ყოველი და უკრავდა მთელი ცის ბენდი.

ვიდექი მოლზე მონუსხული. ჩუმად ვისმენდი,
არარაობა იყო ყველა აპლოდისმენტი,
დაპატარავდა მატერიის რქოსანი ელჩი.

ვიდექი მოლზე მონუსხული. ჩუმად ვისმენდი:
მღეროდა ბავშვი მარიამი ჟასმინით ხელში.

მე აღარ მაქვს მოსვენება... აღარც ძილი,
დავანანალებ ქურჩა-ქურჩა ძაღლივით,
მე ვარ ერთი მათხოვარი დაძონძილი,
უსახური ცხოვრებისგან დაღლილი.

„დამეხმარეთ!“ გამვლელს ვაპყრობ მძიმედ ხელებს,
„მინყალობეთ!“ ვინვდი ხელებს კანკალით,
ავადმყოფ გულს მუდამ სევდა მიმეტყველებს
და ვლოცულობ, როგორც ღვთის მაჭანკალი.

ჩემს ხელებში ზიზღნარევი ხურდა ცვივა,
დაცემული არ ვუნდივარ არავის...
ცრემლებს ცოლად მიათხოვებს ღანვებს წვიმა
და ბინად მაქვს ჩუმი გლოვის კარავი.

მაგრამ ყრუა ეს ქვეყანა... ყრუა თითქოს...
რას შევასმენ სასახლეში განაბულს?
თქვენს ნყალობას განა კუჭი, გული ითხოვს,
მე სიყვარულს ვითხოვ თქვენგან, განა ფულს?

მდიდრის სახეს მხოლოდ ზიზღი ადევს მწარე,
მიყურებენ, როგორც ცხედარს, მატლიანს...
„ნუთუ არ გსურთ სამოთხეში?! დამეხმარეთ!
ეს ტკივილი თქვენი მოსანათლია!“

ორკესტრები

ვიარე. ვიპოვე მხოლოდ ადევნება,
ლოდი აღმართების და ტყავი შაგრენის.
დახტიან ცრემლები მღვრიე შადრევნებად
და მარად მტოვებენ ძაღლივით აღრენილს.

მკერდში ვულკანია! ყელში – ორკესტრები,
ირგვლივ იავნანა, ღამე კი – მდუმარი,
ვიცი, ჩემს დაკრძალვას ცოცხლად მოვესწრები,
ჩემი გასვენების ვიქნები სტუმარი!...

ჭალა კი შრიალებს. იქ, მთვარის მდევარი
მოჩანს ჯვარი, თოხი, საყდარი, კერია,
მწვანე ვენახები, თეთრი სატევარი
– ამაზე ქართული აღარაფერია!

ისევ ძველ სასმისებს შესვამენ გლეხები,
ისევ განათდება არაგვის ხეობა,
ხსოვნაში ძველ გმირებს ლოცვით შევეხები,
რომ ვიგრძნო ქართული სისხლი და მეობა!

სამასი, სამასი! ქართლი და ელადა,
ისევ თერმოპილე, კრწანისი, ცხედრები,
სუფრაზე დევგმირებს ჩაუდგამთ ხელადა,
უფსკრულში ლოღავენ სატანის მხედრები.

სადაც კავკასიის პიტალო მთებია,
სადაც ემმაკის და ღმერთის დუელია,
სადაც კელაპტრებიც თრთოლვით ინთებიან,
ნურასდროს მუხლმოყრას ჩვენგან ნუ ელიან!

წრემლის სასახლეში

ვხედავ ქურჩის გუბეს, ღრმას და უგიგანტესს,
იგი ტბას ჰგავს, იგი ჩანს და იგი არ ჩანს,
მინდა, სადაც გზას მივიკვლევ, შუქი ჩანდეს,
თორემ უკვე ამ ცხოვრების ვკარგავ მარჯვანს...

ვმართავ უცხო პალიტრების აუქციონს;
თეთრი, შავი, ლურჯი, მწვანე და ყვითელი,
ყალბ იმედებს რადგან გვერდი აუქციოს
ღმერთმა, ვისაც შენში ერთი ნახვით ელი.

არსად დასდევს ბუზს არასდროს შევარდენი,
მხოლოდ სვავს თუ შეუძლია, ჭამოს ლეში.
ჩემში მოდი, ჩემში ღმერთო, მე ვარ შენი,
მაპოვნინე თავი ცრემლის სასახლეში.

თვლებს ვხუჭავ სხვანაირი სიამეთი,
მოდის დილა, გადის ღამე რუხი ლავის,
ირგვლივ ქრება ყორნისფერი ყიამეთი,
პოვნა მინდა მზის, აქამდე უხილავის.

სხვანაირად მითენდება და უცხოთა
მტკივა ძველი ტკივილებიც უკვე ერთობ...
მკერდში ფეთქვა გულს სიმღერამ დაუნყო და
შენც ჩემთან ხარ, აუხსნელო მუდამ ღმერთო!

BRAVO

სულო ვერ დაჩაგრულო, ქართულ კლდეში ნარგავო,
კოსმიურო „ჩაკრულო“, ნერგო დაუჩაგრავო,

BRAVO ჩემო ირაო, ცას აკრულო კამარავ,
ზღვაში ჩაუძირავო საქართველო პატარავ,

ქართულ ჯვარზე გაკრულო, გმირო გაუგმირავო,
BRAVO ჩემო „ჩაკრულო“, კოსმიურო ირაო!



მინდა, დავბრმავდე!

მინდა, დავბრმავდე! უკვე ვერ ვიტან იმის დანახვას, სად მიდის სისხლის ზღვა და ვერ ვარკვევ, მთლად უსისხლოა ვის ათრობს, ანდა, პირიქით, ვის ღლის?!

ვერ ვიტან ჩემი ხალხის სიბრმავეს, წყდებიან სულის შავი ძაფები, ვერ ვხედავ ჩემს თავს ცოცხალთა შორის, მინდა ღრიალი და ვიძაბები!

არ მინდა, ვნახო ციხის კედლები, სადაც ხოცავენ ცოცხლად ტუსაღებს, ხანძრებს, მკვლევლებს და ავარიებს, რაც სულით ვაჭრებს ნანარმს უსაღებს,

ბავშვების მიერ აჩეხილ ბავშვებს, ძმის ძმათა ნდობით მორგებულ ნიღაბს, მინდა, დავბრმავდე, ვიდრე გავარკვევ, ვის ვინ სად მოჰყავს, ვის ვინ სად მიჰყავს,

ცარიელ სოფლებს და სიდუხჭირით ავსებულ ქალაქს, სადაც ძალივით მშიერ ქალაქელს ხშირად შეხვდებით, როცა მიდიხართ სახლში დაღლილი,

ის მაიმედებს ხშირად, როდესაც ვფიქრობ, ყოველი ისე გაივლის, რომ საქართველო აღდგება მტვრიდან და ხედებს ვნახავთ ზეცის აივნის!

ზმანების მიღმა

რალაც გამოჩნდა გაფრენილი ზმანების მიღმა, სადღაც მღვიმეში დამიტოვა ოცნების ჩიხმა.

მამუნჯებს, რასაც მოკვდავთათვის ეწოდა სევდა, ვეძებდი მზეს და ვერ ვიპოვე, ღამე მეძებდა

და მპოულობდა; ჩემს თვალეებში გამეფდა შავი, ვუსმენ გალობას იმქვეყნიურს და გულში ვბღავი,

როგორ მომბეზრდა ირგვლივ ხმები! ყრუ მინდა, ვიყო, უძლები მინის პატიმარი, მე ვარ უციხო,

სასაკლაოზე დაჩოქილი ვმეგობრობ კრავთან, ცაში არწივი მუსიკალურ კამარებს კრავდა,

ო, რა რთულია ჩემი სუნთქვა ფურცლებში, ღრმაში... როდესაც გავჩნდი, ბედისწერას დავცინე მაშინ.

არ ვმონებ ეშმაკს, რაც არ უნდა ამავსოს ვერცხლით, მაგრამ რაც უნდა ნახოთ ჩემში, ვერაფერს შეცვლით!

მკიცხეთ, დამცინეთ, განმერიდეთ: მე ვარ იუდა და ღმერთის ტახტთან მიფოფხებას ვცდილობ ჯიუტად.

ყორნის ეფექტი

ყორნის ეფექტი ჰქონდა ღამეს. ქროდა მაგია გრიგალის ნაცვლად და წყვდიადი სანთელს ელოდა იქ, სადაც სუფრა ქვის გულების სარკოფაგია და სისინებდა გველგესლების უდარდებლობა.

შავ-თეთრ განთიადს გემო შერჩა მაშინ მყავე ბლის, მკვლელი კივილი ჩაისმოდა სულში ტურათა, ვეძებდით ხელებს ფიროსმანის დამსაფლავებლის, იმ ფიროსმანის, ვინც კიბის ქვეშ მიაყურადა,

როგორ ადიოდ-ჩადიოდნენ მასზე სნობები... თურმე გენიოსს სამარისთვის ცოცხლად იმეტებს ბრბო, როცა მხატვარს ვერც წასვლისას ვემშვიდობებით და მიუგნებელ სამარეში ვატანთ იმედებს.



ერი მიირთმევს გახრწნილ სარჩოს! აქარაშოტებს
ნიავეს ევროპა! ბრუნდებიან გველი და საველე,
ქართველი უკან დაბრუნდება აღარასოდეს,
რადგან სოდომის სუნი ეცა თურმე დასავლეთს!

ფხიზლად! ადექით სარეცლიდან! რა დროს ძიძია,
რა დროს დალუპვა, რა დროს მტერი! ონისე, შეხტი
მახვილით ლაშქრის შუაგულში, იქ ხომ იციან:
ქართველები ვართ!... ლამეს ჰქონდა ყორნის ეფექტი.

ევას მონოლოგი

გველმა არ მითხრა, ცნობადის ხეს ვაშლი თუ ება,
იქნებ, კაცს ეთქვა, რომ ვნახავდით ღმერთის უებარ

სიტყვას, ჩვენც თუ კი ვიცხოვრებდით სიტყვაში ღმერთის.
იმ ცოდვის შემდეგ ველარ ვხარობთ ვერც მე და ვერც ის,

ვისი ძვლისგანაც შევიქმენი და ვინც ყოველთვის
იმ ტკივილებით უნდა ვმოზო, ვნებას რომ ერთვის.

ათასი წლობით მაყვედრიან მას შემდეგ: „ქალო,
შენ მხოლოდ ბავშვი უნდა შობო და მუდამ თვალო

იმავე კაცის სურვილები, შენ რომ აგემე
ვაშლის სიმწარე“... დავიკვნიტო უნდა ბაგე მე,

შვილის ყოველი გაჩენისას ვიტანჯო უნდა,
სიკვდილის შემდეგ, მე რალა ვქნა, თუ არ დაბრუნდა

სიმშვიდე ბალის, უანგარო სიმწვანე მისი?
მიუხედავად სასჯელისა, ყოველთვის ვიცი:

რომ ჭრილობებზე მოთმინების მკვლელ ეკლებს ვისევე
და ბალში ადგილს ქმარ-შვილისთვის დავთმოზდი ისევე.

გველთა ჭაობი

მე დავილაღე! არ მინდა ყოფნა, სადაც სიმართლეს დაბლა ათრევენ,
სადაც სიცრუეს ამ ცხოვრებაში მწვერვალზე ჰქონდა ბინა ადრევე,

არ მსურს, ვცხოვრობდე, არ მსურს ვსუნთქავდე თევზის მუცელში, როგორც იონა,
ვხედავდე, სადაც ჩემს უღიმღამო თვალებს წყვილი ეალიონა,

შავი სისხლია ახლა სხეულში და ეხეთქება აღრენილ ძარღვებს,
ახლა სიცოცხლე ეხვევა სიკვდილს, ახლა სიკვდილი სიცოცხლეს არღვევს,

რა საწყენია... ვგრძნობ და დავდივარ, ცეცხლი ვარ მხოლოდ, არც ქვა, არც ხე ვარ,
თავს ველარ დავხრი მინაზე ახლა, ახლა მინდება ცაში არწყევა,

მე გავიზარდე... ვინ მომიყვება ახლა ძილის წინ ბავშვობის ზღაპრებს?
ქაოსში ვხედავ სიმშვიდის მწვერვალს და სიმშვიდეში ვხედავ სიმძაფრეს,

ახლა უნდება ბაყაყს ხარობა, ახლა გასკდება ტყავი შაგრენის,
ემორჩილება სიმშვიდე ეშმაკს, ცოფიანივით მუდამ აღრენილს,

ვამსხვრევ ვარდისფერს, ვხედავ ქვეყანას, როგორც მაიმუნს დამპალ პალმაზე,
შავო, ჯოჯოხეთს მიექარიშხლე, თეთრო, ჩვენს სულს მიეალმასე!

მინდა გავშორდე გველთა ჭაობებს და შევეხიზნო მკვდართა ბანაკებს,
წუთისოფელს ხომ ახლა სიცრუე, ჯიბის სისქე და სისხლი განაგებს,



მე მაგონდება; როცა ვხედავდი, თვალახვეული თურმე ვიყავი,
სიკვდილი არის მარადი მხოლოდ, მხოლოდ ის არის გაურიყავი,

ვცოცხლობ და მინდა ლეჭვა სიკვდილის, ვკვდები და თურმე ხსოვნას ვუნდები,
ვწევარ და დავქრი, როგორც ნიავი, დავდივარ – მადევს რკინის ხუნდები,

ძველ ტილოებზე ტირის მადონა, ახლებზე – ძველი მეძავებია,
კმარა ცხოვრება! ახლა სიცოცხლეს წვიმის წვეთებიც მედავებთან!

იქნებ, მოვიდეს ხანა

ლადოს სიტყვები სალი, გალაკტიონის რითმა,
იმედს მიტოვებს ხვალის – რტო მომიტანოს გვრიტმა.

მუხა-მუხრანის ძარღვებს ჟამი ვერაფერს უზამს,
ვერც ახალი დრო არღვევს, ვერ ართმევს რკინის მუღამს.

დრო უმონყალოდ ერჩის ვაჟას ფოლადის ენას,
მაგრამ ვერც დრო და ვერც ის ფაქტი წაგვართმევს რწმენას,

რომ გაგვიყიდეს დავით გურამიშვილი მონად,
როცა ფარავდა შავით თეთრს ლუციფერის წონა.

იქნებ, მოვიდეს ხანა რუსთაველური მჭევრის,
ეგება, ავდგეთ, სანამ აგვიტირდება ქვევრი...

ჯვრის მიმოქცევა ჩადო ღმერთმა ქართველთა მეში,
გვებრძვის იუდას ჯადო, მეფობს დროდადრო ლეში.

იბრძვის კვერთხისთვის დასი ჰალსტუხიანი თხების...
ეცემა სიტყვის ფასი, მჟავე სიცრუით ვძლებით.


გვენგრევა ძველი ჭერი, ძველი ანდერძი დაგმეს...
მე არასოდეს ვმღერი: სამღერლად არ მაქვს საქმე.

ზზობა

მსუბუქი ფრთების ქნევით შემოდიოდა ბზობის
დღე და იწვედა ზევით მზე, უმძაფრესი გრძნობით.

იერუსალიმს აღწევს მალე სიტყვები უფლის!...
ცრემლი რომ ალბობს ღანვებს, მაშინ ნათდება შუბლიც.

ის ხალხი უფენს რტოებს სწორედ იმ უფალ ქრისტეს,
რომელსაც მალე ტოვებს და შემდეგ ქვებით მისდევს.





როლანდ გიორგაძე



ის ქალი

მალვიძარამ ორთქლმავლის საყვირით შეჰკვივლა ბინდში გახვეულ ოთახს და მერე ზანზალაკივით აწკარუნდა, რაც სრულიად საკმარისი გახდა, რომ ჩვილი ბავშვივით ნეტარად მძინარე კოტეს თვალები დაეჭყიტა. თავი წამოსწია ნახევრად გამოფხიზლებულმა და მალვიძარას გახედა — ოხ, შენო, თავზე ბალიში დაიმხო და შეეცადა, შეწყვეტილი ძილი განეგრძო. მალვიძარა კი გულის გამანვრილებლად ზრიალებდა. მიხვდა, რომ ძილს ველარ გააგრძელებდა, წამოვარდა სანოლიდან და საათს მისწვდა. ერთი გაფიქრება მისი მოსროლაც კი გადაწყვიტა, რა დროს გამალვიძა ამ ურჩხულმა, სიზმარი მაინც დამესრულებინა, რა საზიზღრად ტიკტიკებს, დამცინის მგონი კიდეცო. გადაგდება არ გამოდიოდა, ბაბუისეული უძველესი საათი იყო, ოჯახის რელიკვია. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ხელში მოფართხალე მექანიზმი ბალიშის ქვეშ ამოძო. მერე ისევ ლოგინზე გაიშოტა. რა უბედურებაა ამ დილაადრიან ადგომა, ბიჭო, ჯარისკაცი ხომ არ ვარ, გაგიგია, კაცო, რვის ნახევარზე სამუშაოს დაწყება? რვაზე მაინც იყოს. ისე რვაც ადრეა, სამუშაო უნდა იწყებოდეს ცხრა საათზე და აღარც არავინ დააგვიანებს. ნაოცნებებულმა გემრიელად გაიზმორა, ენერგიულად დაამთქნარა და ლოგინზე წამოჯდა. რომელიღაც სამედიცინო მუშაკის დამოძღვრა გაახსენდა, გაღვიძებისას სხეულის დაჭიმვა მეტად სასარგებლო რამ არისო. როგორ მოძრავლდნენ ბრძენი მოძღვრები. კოტე ფეხზე წამოდგა და აივანს მიაშურა. გაზაფხულის ჟამი დამდგარიყო, ეზოებს სიმწვანე მოსდებოდა, იასამნის ბუჩქს კვირტები დასკდომაზე ჰქონდა, აგერ მერცხალიც ჩამობრძანებულა. კეთილი იყოს შენი მობრძანება, კუდმაკრატელა მგოსანო. აღმოსავლეთიდან ბატონკაცურად იმზირებოდა გავარვარებული მწველი დისკო. დარიან ამინდს პირდებოდა დღე. გრილმა დილამ საბოლოოდ გამოაფხიზლა ახალგაზრდა, ძილნაკლული სხეული, თვითონაც არ იცოდა, რისგან გახალისებული, სასაცილოდ შეხტა, შეკუნტრუშდა და ლილინით აბაზანას მიაშურა. ლილინი და მოძახილები ათიოდე წუთი გრძელდებოდა, რომელსაც აკომპანემენტს ცხელი წყლის ჭავლი აძლევდა. წყლის ხმაური და მოძახილი ერთბაშად შეწყდა, აბანოს ხალათში გახვეული გამოვარდა აბაზანიდან, თან გზადაგზა თმას იმშრალედა. დღეს ჩემი დაგვიანება გამორიცხულია, შემჭამს ის ქალი. სწრაფად მოიწესრიგა თავი. ის იყო ჩაიდან უნდა შემოედგა ცეცხლზე, ბაბუის ნათქვამი გაახსენდა, თუ ლოცვის თქმას ვერ ახერხებ, დილით თავის მოწესრიგების

შემდეგ მუხლი მოიყარე და სამადლობელი უფლისა ბრძანეო. ორი ხატი ჰქონდა მომცრო ოთახში — მაცხოვრისა და ღვთისმშობლის. მუხლი მოიყარა და ბაბუის დანაბარები შეასრულა, თან ფიქრობდა, ნუხანდელი ღამის შემდეგ რა პირით უნდა ვესაუბრო ღმერთსო. სულიერებისთვის ჯერ კიდეც ვერ მოიცალა, სინდისის ჩურჩული შორს გააჩოჩა, გონების მიღმა დასაკარგავში. ამ საქმისთვის ჯერ ნამეტანი ახალგაზრდა ვარ, მერეც მოვასწრებო და ჩაიდანს ეცა. ფინჯანი ყავა, ცოტაოდენი ყველი პურთან ერთად და საუზმე მზად იყო. ეზოში გამოსულმა მანქანა შეათვალიერა, ჩაჯდა და სამსახურისკენ გასწია. თან ფიქრობდა, თუ რამემ არ დამაბრკოლა, ალბათ, არ დავაგვიანებო. ნახევარსაათიანი გზა იყო სავალი, თუ რამე არ შეაყოვნებდა. ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მალე უნდა გასულიყო. მანქანა შხუილით მიქროდა, ერთი სიამოვნებაა გამართული მანქანით სიარული. შეეცადა, გასული ღამე გაეხსენებინა. ბევრი აღარაფერი შერჩენოდა გონებას. სიგარეტით თუ კიდეც სხვა რამით გაბულული დარბაზი, რალაც უცნაური სასმელი დააღვივნეს, ნისლებში დაცურავდნენ მოზორიანე ლანდები, ცეკვავდა და ცეკვავდა გაუთავებელი მუსიკის ქვეშ. მერე გოგოებიც გამოჩნდნენ. ბაბუის გაფრთხილება გაახსენდა, შეემვი ამ გაუთავებელ ღამის თავგადასავლებს, ფუტკარივით ნუ დაბზუიო, მერე დაამატებდა — ფუტკარს, შვილო, თაფლი მაინც მოაქვს, შენ რამე სნეულებას არ გადაეყარო, თავი არ დაიღუპო და ოჯახი არ გაამწარო, გეყოფა, დაოკდი, დროა, ოჯახზე იფიქრო, ხომ იცი, ეს საქმე არც ნაადრევი ვარგა და არც ძალიან დაგვიანებულყო. მაცადე ბაბუ, ამ წუთისოფლით დატკობაო, პასუხობდა. შვილო, მე გამიფრთხილებიხარ, სიტკობო სიმწარედ არ გექცესო. ბაბუ, ცოტახანს მადროვე, აუცილებლად გამოვსწორდებო, ეტყოდა ლილინით. უზომოდ უყვარდა ბაბუა, მისი დამცველი, დამრიგებელი და მესაიდუმლე. ბოლოს წვერი მოუშვა, საოცრად უხდებოდა თეთრი წვერ-ულვაში და გრძელი თმა ახოვან მოხუცს. ფრესკებზე გამოხატულ წმინდანს ჰგავდა. კოტეც მოეხვეოდა ხოლმე და ფთილასავით ფაფუკ წვერებში ჩარგავდა თავს.

შორს შეჯგუფებული მანქანები შენიშნა და გზაზე გადაიტანა ყურადღება. ხიდზე ისევ საშინელი საცობი იყო. აუჰ, ეს მინდოდა ახლა მე! ვერ ავცდები დაგვიანებას, რა გაუძლებს კიდეც საყვედურებს, რით ველარ მოათავეს ამ ხიდის რემონტი. დაიწყებენ საქმეს და დასასრული აღარ უჩანს. შეყოვნებამ და გაბმულმა სიგნალებმა ნერვები მოუშალა.



გამკვირვებია ამ ხალხის, თითქოს შემედლოს, ჩემს ნინ ტაატით მიმავალ ასიოდე მანქანას გადავახტე. ასეთი მოთმინების მქონე ხალხი რაიმე სერიოზულს მიაღწევს? ხიდის დასაწყისში იდგა, მოთმინებით უნდა დალოდებოდა გზის გახსნას. ფიქრებმაც აიშვეს — რას გადამიკვიდა ის ქალი, სულ კართან როგორ დგას. კი, ბატონო, ვაგვიანებ ხანდახან, მაგრამ ჩემს საქმეს ხომ არ ვლაღატობ, ხომ კარგად ვასრულებ? ნეტა პროფესია სწორად ავირჩიე? არის კი ეს ჩემი საქმე? ფინანსური საქმიანობა, აღრიცხვა, შემონახვა, კონტროლი, ეკონომიკური მიმართულების განსაზღვრა და ათასი სხვა რამ. მოსაწყენი ციფრები, მშრალი, არარომანტიკული პროფესიაა. შე დალოცვილო, ვინ გეხვეწებოდა, შენ არ აირჩიე? ისე, კი ჭოჭმანობდი, ეკონომიკა თუ ფილოლოგია. არც ახლა არის გვიან, მაგრამ შენ ხომ ბიზნესმენობას აპირებდი, ამიტომაც აირჩიე ეს პროფესია. მოიარე ევროპა და ამერიკა. შენი ღვანლით, ყველას დაუხმარებლად. ღამეებს ათენებდი შრომაში და ბევრი ვერ დაიკვებხნის შენს ასაკში ამდენის მიღწევას. თავდაპირველად ნიუ-იორკმა გააოცა. პატარა ნერტილივით გრძნობდა თავს ცათამბჯენების ტყვეობაში, მაგრამ მერე ადამიანის გონებრივმა შესაძლებლობებმა უფრო მოიყვანა ალტაცებაში, ვიდრე შუშისა და რკინა-ბეტონის მონსტრებმა. თავისით კი არ ამოსულან სოკოსავით, ადამიანის ინტელექტმა და მარჯვე ხელებმა შექმნეს. ბოსტონშიც იყო, მოენონა, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ქალაქი ჰარვარდი, სადაც ყოველი მეორე პროფესორი ან აკადემიკოსია. ინატრა, ასეთი როდესმე იქნებ ჩვენთანაც აშენდესო. რაც მთავარია, ყველაზე მეტად ხალხმა, მათმა უბრალოებამ მოხიბლა. გაცამტვერდა მითი მათი სიცივის შესახებ. პირიქით, ძალიან თბილები, უშუალონი, ყურადღებიანი არიან. თუ გზა აგერია, მიგასწავლის, გამოგყვება კიდეც. ხალხი რომელთაც არაფერი უკვირთ. მხოლოდ ერთხელ ნახა მათი გაკვირვებული, გაოცებული სახეები და გულწრფელი ოვაციები, როდესაც ერთ პატარა კლუბში ქართული ფოლკლორული ჯგუფის გამოსვლას დაესწრნენ. ეამაყებოდა, რაღაცით მაინც ხომ გავაკვირვებთ ამერიკელებიო. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა მოიარა. ყველაზე დიდხანს პრალაში შეყოვნდა — ორი წელი. პრალა ძალიან მოსწონდა, თავისი არქაული სტილით, სიძველისადმი პატივისცემით, მოკირწყლული ქვაფენილიანი ქუჩებით, კომფორტული ტრამვაით და სისუფთავით. უკვირდა, როგორ გადაურჩა მეორე მსოფლიო ომის ნგრევას, ვარშავა ხომ მიწასთან გაასწორეს. მოგონებიდან გაბმულმა სიგანლმა გამოიყვანა. გვერდით მანქანამ ჩამოუქროლა და ღია ფანჯრიდან თავგამოყოფილმა განწინილთმიანმა მისმა ტოლა ბიჭმა შესძახა, ხომ არ ჩაგეძინა, ძმაოო. შეფუცხუნებულმა აქსელერატორს ფეხი ბოლომდე დააჭირა და მანქანა ბლუილით მოსწყვიტა ადგილიდან. ფიქრებიდან გამორკვეულმა ხიდი ორიოდე წუთში გადაირბინა და აღმართს აუყვა. იმ ქალს თუ არაფერი მოვუხერხე, მომიწევს სამსახურიდან წამოსვლა. არადა რა მომხიბვლელი ქალია. ასაკით უფროსია, მაგრამ მის სილამაზეს ყავლი არ გასვლია და როგორც ეტყობა, არც გაუვა კიდეც დიდხანს. პრალაში მუშაობა გაახსენდა, აი, ის იყო საჩემო სამსახური, როცა გინდოდა მიხვიდოდი, შეასრულებდი შენთვის განკუთვნილი დროის მიხედვით სავალდებულო სამუშაოს და

თავისუფალი იყავი. მაგრამ ბაბუამ არ მოისვენა — მაგათ თავიანთი განათლებული ხალხიც ეყოფა, შენი განათლება შენს ხალხსა და ქვეყანას მოახმარეო. აჰა, მოახმარე... როგორც იქნა, აღმართი გათავდა. გავაკებულზე მანქანა შხუილით მიქროდა, თითქოს მიფრინავდა. მოსახვეში სიჩქარის შემზღუდავი ნიშანი ეკიდა — ორმოცი კილომეტრი საათში, კამერები სნაიპერის თოფივით იმზირებოდნენ. ორმოცი კილომეტრი დაცინვაა, ძმაო, ეს ხომ ქალაქგარე ტერიტორიაა. ფულის გასაკეთებელი მაგარი საშუალებაა. ბიჭო, სხვა ვერაფერი მოუხერხეს გათავხედებულ მძღოლებს. ავარია ავარიზება, რომლებსაც უდანაშაულო ადამიანები ეწირებია. სიჩქარე შეანელა და მორიგ აღმართს აუყვა. მარჯვნივ გორაზე კოპნია პატარა ეკლესია ჩანდა, მარცხნივ — მოკამკამე ხელოვნური ტბა. ამ გორაკის მერე დაღმართია, მერე ისევ გავაკდება და მალე სამსახურსაც მიაღწევს. სიჩქარის შემზღუდავ მოიხსნა და მანქანა ისევ კისრისტეხით გააქროლა. ხუთი წუთი სწორ გზაზე მიქროდა. ისევ მოსახვევი, აღმართი და უსახელო გორაკსაც წვერზე მოექცა. ნინ ხელისგულივით ჩანდა ლარივით სწორი გზატკეცილი, რომლის ბოლოში რატომღაც უამრავ ავტომანქანას მოეყარა თავი. ეს კოტეს გეგმებს ფუშავდა. მან მანქანა მწკრივის ბოლოს გაჩერებულ ავტომობილს მიუყენა. სიბრაზისაგან გამწარებულს ვერ გაეგო, ეტირა თუ ეცინა. გზის მარჯვენა მხარეს ტყე-ბუჩქნარი მოსდებოდა. მარცხნივ ასევე ბუჩქნარი გამეჩხერებული წიწვოვანით, ქვემოთ კი მოშორებით ლურჯი წყლის მასა განოლილიყო. ჭაში ჩავარდნილი კაცის იგავი გაახსენდა, სხვა გზა არ იყო, უნდა დალოდებოდა. პატარა ხანს მანქანაში იჯდა. რადიო ჩართო, ეგებ გული გადავაყოლოო. შინაგანი მღელვარება არ ასვენებდა. ფუ, ჩემს იღბალს რა ვუთხარიო. შეეგუა იმ აზრს, რომ ეს მისი ბოლო სამუშაო დღე იქნებოდა. მერე ისევ დამშვიდდა. მოდაში შემოსული ანდაზა გაახსენდა, „რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებსო“. დასვენებას მაინც ვერ ვახერხებდი, ახლა კი, დრო თავზე საყრელი მექნებაო. მდგომარეობას შეგუებული მანქანიდან გადმოვიდა და მათსავე მწკრივს გაუყვა. ჰაერი მიწისა და ყვავილების სუნით გაჯერებულიყო და სასიამოვნოდ უღიტინებდა ცხვირში. საოცარი რამ არის მანქანა, მისი მოძრაობის მიხედვით ადვილად დაადგენ პატრონის ხასიათს — მოუთმენელია, თავხედი, ხულიგანი თუ დინჯი. აქაც მძღოლების ნაწილი იგინებოდა, ილანძლებოდა — ეტყობოდა, რომ საჭოროდ და ენის მოსაქაველად დრო საკმაოზე მეტი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, პოლიტიკაზეც საუბრობდნენ, პოლიტიკის გარეშე ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა?! მცირენაწილი კიდინჯადმასლაათობდა და მშვიდად ელოდებოდა გზის გახსნას. კოტე გზას მიუყვებოდა, იქნებ შეფერხების მიზეზი დავადგინოო. მანქანები ერთმანეთში იყო არეული და ურთიერთსანინალმდეგო მხარეს გადასული. პატრულის გარეშე ამ ქაოსს ვერავინ მოაწესრიგებდა. ის კი ჯერ არსად ჩანდა. კოტე კვლავ მიდიოდა, ხან ერთ მანქანასთან შეყოვნებოდა და ხან მეორესთან, იქნებ რამე გავარკვიოო. მისდაუნებურად ყურში მოგვივიდა, თითქოს უმნიშვნელო, არჩილმაც შენი მხარე დაიჭირა, ჩვენც შევყევით. ისე პოლიტიკაზე საუბარი ნამეტანი უმადური საქმეა. მოყვარენიც კი მტრად უქცევია. შეძლებისდაგვარად ვერიდები, ხომ იცი, ღვინოც აგამჩატებს ხოლმე. ისე, ზოგადად,





ადამიანმა ყველას აზრს უნდა სცეს პატივი, გაიზიარებ თუ არა, ეს სხვა საქმეა. ამბობენ, ადამიანი კი არ უნდა შეგძულდეს, არამედ მასში დაბუდებული უკეთურება, ბოროტება. კაცი ჭურჭელივითაა. ჭურჭელი როგორი ძვირფასიც უნდა იყოს, თუ მას უნმინდურებით გაავსებ, არც გაიხედავ მისკენ. ასეა ადამიანიც, თუკი გაათავისუფლებ ამ უნმინდურობისაგან, უკეთურობისაგან, ბოროტებისაგან და მასში სიკეთეს ჩასთესავ, შენი უსაყვარლესი მეგობარი გახდება. რა ვქნათ, კაცო, თუ ზოგს ვაშლი მოსწონს და ზოგს ატამი. ერთმანეთს ხომ არ უნდა დავერიოთ, მაინცდამაინც ატამი რატომ არ მოგწონსო. განსხვავებულმა აზრებმა ჩვენს კეთილ ურთიერთობას ხელი არ უნდა შეუშალოს. ასე ვფიქრობ მე, — თუ კაცი ხარ, სიმთვრალეში რომ რაღაცას ნაიბჟუტურებს კაცი, იმას აქცევ ყურადღებას? შენ მაგაზე არ ინერვიულო, სრულებითაც არ ვარ ნაწყენი.

კოტემ ფეხს აუჩქარა, უზრდელობა გამოდიოდა მეტი შეყოვნება. ბაბუა ამოუტივტივდა ისევ თავში — პოლიტიკისკენ არც გაიხედო, არათუ მეგობრები, არამედ ოჯახებიც კი დაუნგრევიაო. ეჰ, ბაბუ, ბაბუ. მანქანების კოლონას ბოლო არ უჩანდა, ნეტავ რა მოხდა მაინც! ორიოდ მანქანის იქით თითქმის მისი ტოლა ბიჭები შენიშნა — ერთ მათგანს თხელი ქურთუკი ეცვა, კაპიუშონიანი, ორს კი ეგრეთწოდებული ბეისბოლკები. გზის პირას გამავალ გაზსადენის მიღზე ჩამომხსნადრიყვენ, კამათობდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ და საკუთარ დედებს ყველა ბრუნვაში აბრუნებდნენ. კოტე მიუახლოვდა და მიესალმა.

— ბიჭებო, ხომ არ იცით, რა ხდება?

— ზუსტად არ ვიცი, — უპასუხა კაპიუშონიანმა, — მგონი ვიღაცას მანქანა მოუცურდა და შუა გზაზე გაიხიდა. მერე იქიდან და აქედან მანქანები მიანყდნენ და ჩახერგეს გზა, ხომ იცი, ჩვენი მოუთმენლობის ამბავი? ყველას გვეჩქარება. ხედავ, რა რია-რია და ყაყანია, პატრული მაინც მოვიდეს დროზე...

მიუყვებოდა გზას კოტე და უნებლიე მსმენელი ხდებოდა სხვადასხვა ფრაზებისა.

— მოდი და გააგებინე ახლა ჩემს უფროსს, რა დღეშიცა ვარ, მაგარი არგუმენტები აქვთ, რატომ სხვა გზით არ წამოხვედი, რატომ არ შემოუარე, ხომ არ დამესიზმრებოდა, ასეთი რამ თუ მოხდებოდა?

ჩემს დღეშია ეს კაცი, გაიფიქრა კოტემ, სხვა კი ამბობდა, მთელი დღე დამანანნალებენ, ცოტას დავისვენებ, ნავიძინებ მაინც. კოტემ, როგორც იქნა, შემთხვევის ადგილს მიაღწია. ხალხი შეჯგუფებულიყო და ყაყანებდნენ. ის შეჯგუფებულ ხალხში გაძვრა. შუა გზაზე ილინცურად გახიდულ საბჭოური ონ ტიპის, ჟანგისგან ნახევრად შეჭმულ მანქანას გადაანყდა. ყველაზე მეტად მისი გაოცება, რაც მანქანის იქით ხდებოდა, იმან გამოიწვია, შუა ხნის ბერის სამოსის მსგავს შავებში გახვეული კაცი მუხლებზე დამხობილიყო და მწარედ ცრემლმორეული მოთქვამდა:

— ეს რა უბედური დღე გამითენდა, ღმერთო! რა შევცოდე ამის ფასი. არადა რა კარგი დილა იყო, მზიანი, გაზაფხულის საოცარი დღე. დილით რაღაც ძალამ შემძრა, მუხლზე დავცემულიყავი, ცისკენ ამეპყრო ხელები და მეტლავლა, გმადლობთ, სამყაროს შემოქმედო, ამ სილამაზისათვის. მინდოდა, ყველას მოვხვეოდი, გულში ჩამეკრა, დამეკოცნა ყოველი ხე, ბუჩქი, ყოველი სულდგმული, ყოველი არსება, მე კი რა ჩავიდინე — სამყაროს ულამაზეს ქმნილებას,

ენით აუნერელ, ღვთის ხელით დახატულ პეპელას სიცოცხლე მოვუსწრაფე. ჯერ ისედაც ორიოდ დღეს ცოცხლობს. გინახავთ ამის მსგავსი სილამაზე? ხელისგულისოდენა, მართლაც ულამაზესი (ყოველ შემთხვევაში კოტეს მსგავსი არაფერი ენახა) პეპელა პლასტიკის პატარა გამჭვირვალე ყუთში ესვენა და ხანდახან ჯანსაღ ფრთას შეარხვედა ხოლმე. უცნობი კი მწარედ მოთქვამდა და თავს ახლიდა კოლოფს. კოტეს ლაპარაკის და მოძრაობის უნარი დაჰკარგოდა. ყვირილის ხმამ გამოაფხიზლა:

— ვინ არის ეგ დამთხვეული, მაჩვენეთ, — შეკრული წრე გაიშალა, ახლგაზრდები მოდიოდნენ ხმაურით და ბილნსიტყვაობდნენ. კოტემ ის ბიჭები შეიცნო, ცოტა ხნის წინ რომ ესაუბრა. — მაჩვენეთ ეგ გადარეული, ამდენი დრო, რომ დაგვაკარგვინა, ზღვა ხალხი მოგვაცდინა. პეპელას კი არა, ადამიანებს აღარ გლოვობენ ამდენს.

ქუდჩამოფხატულმა ქურთუკიანმა ბიჭმა მუხლზე დაცემულს შემოუარა, უნდოდა, ფეხზე წამოეგდო ძალით. თვითონაც ჩაიძუხლა და გახევდა — მუხლმოყრილის ცრემლიან თვალებში თითქოს სამყაროს სევდა იმზირებოდა. ველარც სიტყვები იპოვა და სათქმელსაც ველარ მოაბა თავი. ის რიხი და მრისხანება უკვალოდ გამქრალიყო. ხალხიც დამუნჯებულიყო. როდის, როდის ამოთქვა.

— ადექი, მეგობარო, ადექი, ნავასვენოთ და აგერ ზემოთ ფერდობზე ნაძვის ძირში დავასაფლავოთ. კონტინერს ხელი ფრთხილად მოჰკიდა, ზაფრანისფრად გადაქცეულ მგლოვიარე შავოსანს ილიაში ხელი ამოსდო და ფერდობს შეუყვანენ. როგორც იქნა, პატრულიც გამოჩნდა. ხალხი გამოცოცხლდა და თავიანთი მანქანებისკენ გაემართნენ. ხანში შესული მამაკაცი ბებრული ნაბიჯებით ნება-ნება მიდიოდა თავის მანქანისაკენ და ხმამალა ამბობდა:

— რას არ შეესწრება კაცი თავის სიცოცხლეში, ამნაირს არაფერს მოვსწრებივარო.

ამ ყაყანს, რუზრუზს, აქა-იქ სიცილ-ხარხარს, გინებას, სიგნალებს, აინუნშიც არ აგდებდნენ ფერდობს შესეული ფრთოსნები. ჭიკჭიკებდნენ, იქექებოდნენ მიწაში, ხტოდნენ ხიდან ხეზე და მათთვის ჩვეული ჯადოსნური გალობით სანუთროს მეტ ხალისს და ხიბლს სძენდნენ.

ფასანაურში ბიძასთან — დათო ქავთარაძესთან სტუმრობა გაახსენდა. მთებს შორის, არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობზე გასაფრენად გამზადებულ საპლანეტათშორისო ხომალდის მსგავსი უცნაური კონსტრუქციის სახლში ატარებდა ხოლმე ზაფხულს, როცა დრო ჰქონდა. კარგ ამინდში მზე თითქოს გარს უვლიდა სახლს და ცხოვლისმყოფელი სხივებით ამზეურებდა ყოველ ოთახს. ადრინა დილა იყო. წინა საღამოს დაიქადა, მზის ამოსვლას უნდა შევესწროო. აივანზე გამოსულს ბიძამისი უკვე ეზოში დახვდა.

— კოტეს გაუმარჯოს, კოტეს. ნახე რა დილაა, შეხედე ცას, ნახე, მზე როგორ დავანებულა მთის წვერზე, არაგვი როგორ შფოთავს, მოუსმინე ბუნებას და დატკბი მისი მშვენიერებით, — ბიძამისი ცნობილი მუსიკოსი იყო და დედაქალაქში პოპულარულ ანსამბლს ხელმძღვანელობდა, — აქამდე უნდა გენახა, გამთენიისას გარემო რომ შემგლისფერდება, ყურში ჩაგესმება ძალიან პატარა ჩიტის — ღობემძვრალას წრიპინი — წრიპ-წრიპ-წრიპ, იცი, რას მაგონებს ეს? სცენაზე გამოსული სოლისტის სიმღერას, ანსამბლის სხვა წევრები ყურადღებით რომ უსმენენ



და ელოდებიან თავიანთ სამღერ მელოდიას ან კიდეც, სასულე ხის ჩასაბერ საკრავთა ორკესტრში, პიკოლო რომ იწყებს თავის ჰანგს და დანარჩენი საკრავები გაფაციცებით ამზადებენ შესატყვის მუსიკას. ცოტა რომ კიდეც ინათებს, ბიჭო-გოგია გამორჩევა — ჩიტია ასეთი — და მეორე ხმას მიუსადაგებს. აღარც ტოროლა დააყოვნებს დიდხანს, აიჭრება ზეცაში და კრიმანჭულს შემოსძახებს. რამდენიმე მეტრის მოშორებითაც მსგავსი რამ ხდება, ოღონდ თანმიმდევრულად, არეულად კი არა, რასაც მომღერლები ორპირულს ეძახიან. ჯერ ერთი ჯგუფი მღერის, შემდეგ იქითა ჯგუფი პასუხობს და ასე გრძელდება, სანამ კიდეც სხვა ტემბრი და მელოდია არ შემოურთდება. გასაოცარი ისაა, რომ თუკი უცხო, განსხვავებულ მელოდიას მოისმენენ, შეწყვეტენ სტვენას, უსმენენ და მერე კვლავ აგრძელებენ ახლა უკვე ახალ მელოდიასთან შეწყობილ გალობას და ასე გრძელდება მეორე მხარესაც. შაშვი უფრო გამოკვეთილ და მრავალფეროვან ხმას შეუსაბამებს ხოლმე ამ ტკბილხმოვან ჟღერადობას. მერე დღის შუქი რომ მომძლავრდება, მერცხალიც იწყებს თავის ჭიკჭიკს და ასე ყოველ დილით სრულდება ღვთისგან ბოძებული უკიდევანო ჟღერადობა. — დათო ძია ცოტა ხანს შეყოვნდა, გახედა მთებზე აცურებულ მზეს და თითქმის ცრემლმორეულმა განაგრძო, — შენ კი, შენ კი დგახარ, გული ამოვარდნაზე გაქვს და ნეტარობ, გინდა გაუთავებლად უსმინო ამ ჯადოსნურ ჰანგებს, ფრთხილობ, შენი უნებლიე მოძრაობით არ დააფრთხო მგოსნები და არ შეანწყვეტინო სამოთხისეული გალობა. ხისგან გამოთლილი უნდა

იყო, გრძნობა რომ არ მოგერიოს კაცს!.. მომენატრე დათო ძია, არაფერი სჯობია შენთან მოლხენას! კოტე შლაგბაუმიან ჭიშკარს მიუახლოვდა, დაცვამ უცებ გახნა შესასვლელი. მძლოლმა ადმინისტრაციულ შენობასთან ლამაზად გაკრეჭილი გაზონების წინ გააჩერა მანქანა. გადმოვიდა, ცოტა ხანს შეყოვნდა, შეათვალიერა თეკლათის ქვით განწყობილი, არქიტექტურულად ლამაზად გადაწყვეტილი ნაგებობა და კიბეზე აირბინა. ზურგს უკან ნაცნობი ხმა მოესმა. უსიამოდ შეამცივნა. შემობრუნდა და გახევედა. ქალი ისეთი მომხიბვლელი ღიმილით უღიმოდა, ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ასეთი მომხიბვლელი არასოდეს ენახა. მგონი ნიშნისგებით მილიმის. — კოტე, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე ხარ დაბარებული. — აჰა, ესე იგი ყველაფერი დამთავრდა. ქალს ღიმილი არ შორდებოდა, — დაიმახსოვრე პირველმა მე გახარე, შენი საქმე გადაწყვეტილია, — მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, ნელი ნაბიჯებით წამოვიდა კოტესკენ, მიუახლოვდა და ლოყაზე ეამბორა. ისედაც გახევებული კოტე მთლად გაშემდა. ქალმა მხარზე ნაზად უბიძგა, — შედი, გელოდებიან, ფინანსურ დირექტორად გნიშნავენ. არ შემეძლო, პირველს რომ არ მეთქვა, — შემობრუნდა და ოდნავ შესამჩნევი მხრების ცახცახით თავის კაბინეტს მიაშურა. კოტეს ზღურბლზე გადასვლისას ბაბუა გამოეცხადა — უბრალოდ იცხოვრე შვილო, უბრალოდ, ბრალის გარეშე და წარმატებები თვითონ გიპოვის, არ უნდა მას ძებნა...



**მაყვალა
ზურაბაშვილი**

ჩვენ ფოთლები ვყოფილვართ

შემოდგომა იყო და
ხეს ფოთლები სცვიოდა,
ხე მარტოკა რჩებოდა,
მარტოობას ჩიოდა.

ჩამოსცივიდა ფოთლები, —
მწვანე, წითელ-ყვითელი,
ცივმა ქარმა დაბერა,
დარჩა, სულ მთლად, შიშველი.

ისევ, — გაზაფხულდება
და... ისევე, დათბება,
მოშრიალე ფოთლებით
მწვანედ შეიმოსება.

ჩვენც — ფოთლები ვყოფილვართ, —
წუთისოფლის დიდ ხისა
და... ვინ, როდის მოვწყდებით,
დავეცემით ხის ძირას...

თოჯინა

ყველა, — ბავშვობიდან მოვდივართ,
ლამაზნი ვიყავით მაშინ...
ბავშვობა ხელს გვიქნევს შორიდან,
ეხლა, აღარ ვართ ბავშვი.

მოვდივართ, ვიზრდებით, ვბერდებით,
ჭალარა გვერევა თმაში,
არასდროს ბერდება თოჯინა
და რჩება, ისევ, ბავშვი.

მესმის შორეული კისკისი,
ჟღურტული, როგორც — შაშვის,
დროს, მხოლოდ, თოჯინა აჩერებს,
და... რჩება, როგორც — ბავშვი.

გიტარა

გავჩუმდით, ერთხანს, მე და გიტარა,
ველარ ავუნწყვეთ ერთმანეთს ხმები,
გვიან გავიგე — მისი გულისთქმა, —
გადამითეთრდა, როდესაც თმები...

მღეროდა,... თუმცა, დაადუმეს და...
აღარ ისმოდა ლამაზი ხმები...

ისევ, ამღერდა და აჟღურტულდა, —
დარდს და სიხარულს გამიზიარებს,
ისევე, ის თუ, შემიმსუბუქებს —
ამდენ დარდსა და გულის იარებს:

და, თავის ტკბილი, ბულბულის ენით,
მძიმე ჭრილობებს გამიმთლიანებს.





აკაკი გელაშვილი



ფეფა

მე შენი სუნთქვის რითმებზე ვმღერი,
არ მლლის სიმღერა და შენზე ფიქრი.
არ ველოდები ამ გაზაფხულებს,
ახალგაზრდობას თითზე რომ გითვლის.

შენი ლოცვების მაგიურ ძალას
ფრთებგამოსხმული დავყავარ გზებზე,
არ ველოდები სუსხიან ზამთარს,
მის თეთრ ჭაღარას არ გითვლი თმებზე.

დარდიან სიტყვებს მიქარგავ სულში,
იმედებს მაქსოვ – სევდის დამკარგავს,
რა განსაცდელშიც არ უნდა ვიყო,
დედაშვილობა არსად არ მკარგავს.

ებრაელი თქმულება

ებრაელების ცნობილ ფოლკლორში
არის თქმულება, ძალზედ პატარა:
მოსე მწყემსს შეხვდა ვრცელ უდაბნოში
და მასთან ერთად დღე გაატარა.

სალამო დადგა, მონველეს ცხვრები
და მაშინ, როცა ცას მთვარე ავსებს,
მწყემსმა ბრტყელ ქვაზე ჭურჭელი დადო
საუკეთესო ჯიშის რძით სავსე.

„ეს ღმერთის რძეა“ – აუხსნა მოსეს,
„საჩუქრად ვწირავ, უფლისა ხდება,
კრძალვით მოვდივარ დილით ამ ქვასთან
და ცარიელი ჭურჭელი მხვდება.“

მოსემ მიმართა: „ჩემო ძმობილო,
რძეს რატომ დაღვეს? ღმერთი სულია!
ნულარ ეცდები, ხედავ, ისედაც
ფუჭ მცდელობაში დრო გასულია.“

არ დაიჯერა მისი სიტყვები,
ბუჩქებში დადგა ჭურჭლის დარაჯად,
მწყემსი ელოდა მოსვლას უფლისას
და მთვარის შუქზე დაუდარაჯდა.

ამ დროს უეცრად გამოჩნდა მელა,
უცებ დალია რძე და გაიქცა,
დამნუხრდა მწყემსი, ძღვენი მის თვალწინ
მელიის საზრდოდ რომ გადაიქცა.

„მართალი იყავ, ღმერთი სულია,
ეჰ, მისი სახე გულზე მეხატა,
მხოლოდ რძე მქონდა, ამით შემეძლო
ეს სიყვარული გამომეხატა.“

უფალმა მოსეს ხილვაში უთხრა:
„თუმც არ მჭირდება რძე დამელია,
მოსე, შენ შეცდი! მადლიერებით
მე გამოგზავნე ძღვენთან მელია.“

მწყემსს მე ვმადლობდი სიყვარულისთვის,
რადგან გულწრფელი იყო ეს ძღვენი,
ვარ ჭეშმარიტად სული ზეცაში,
ნეტავ არ გეთქვა, ეს რატომ ჰქენი?“

კა

ჩემს საყვარელ უფროს დაიკოს

ვისაც შენთვის გულში არ ჩაუხედავს,
არ უნახავს იასამნის ფერები,
ვისაც შენი თვალები არ უნახავს,
დარჩენია ია მოუფერები.

ვისაც შენი ღიმილი არ უნახავს,
ატმის ყვავილს ვერასოდეს იხილავს,
ვისაც ნაზი მიმოზები არ უყვარს,
მათსავით ნაზს შენც ვერასდროს გიხილავს.

გაზაფხულის ყვავილობას გადარებ,
ენძელების სითეთრეში იწყები,
ვინც კი გნახავს იასამნის ფერებით
აბა, როგორ, როგორ დაავინყდები?

ვისი გრძნობების დავიჯერო,
ამის თუ იმის?
გავფერმკრთალდები
ღრუბელივით,
წვეთივით წვიმის...
ახლა ბუნების
მწვანე ფონი
ჩემს სევდას არღვევს,
ხეთა ჩეროში
შევერწყები
ფოთლების ძარღვებს...
ვის დავუჯერო,
რომ ვუყვარვარ,
იმას თუ ამას?



ამდენი სიტბო, გასაცემი,
გულით რომ დამაქვს,
ვის ვუწილაღო?
ვის მივანდო?
არ ვიცი, არა,
ბუნებას ვმადლობ,
ფოთლის ძარღვებს
რომ მიმაბარა...
ვისი გრძობების დავიჯერო,
მითხარით ჩქარა...

თითები

თქვენი თითები...
მკრთალნი...
ფაქიზნი...
სწორხაზოვანი...
ზუსტად ისეთი,
ხატებზე
წმინდანებს რომ აქვთ...
მიუწვდომელნი...
შორს დარჩენილნი...
დაღონებულნი...
მსუბუქნი...
თეთრნი
როგორც ნაზი
ბაბუაწვერა,
ერთი შებერვით
სამყაროში
რომ იფანტება...
და იფანტება
ჩემი ფიქრნიც,
როცა მათ ვხედავ
მავედრებლებს
მაცხოვრის ხატთან...
მადლობა უფალს,
ეს თითები
ჩემ „ლოცვანზე“
შენახებიან...

იგავი

ერთ ძველ იგავში ასე წერია:
კაცი იესოს წინაშე წარსდგა,
ნაფეხურების სახით ქვიშაზე
მთელი თავისი ცხოვრება ნახა.

იესომ უთხრა: „ხედავ, შენს კვალთან
ნაფეხურების რიგია ერთი,
ეს მე ვიყავი, ცხოვრების გზაზე
თან დაგყვებოდი მორწმუნეს გვერდით.“

უეცრად კაცი ძლიერ აღშფოთდა:
„განსაცდელის დროს რატომ მტოვებდი?!
აქ ნატერფალი მხოლოდ ერთია
ნიშნად, რომ ჭირში ვერა გპოვებდი.“

იესომ ტკბილად გასცა პასუხი:
„გზა ნავალია ერთ-ერთის ფეხით,
რადგან ცხოვრების მძიმე წუთებში
დაგატარებდი აყვანილს ხელით.“

იესო ტკბილო

იესო ტკბილო, ჩემი განცდა ხარ,
დავმონებვიარ სიყვარულს შენსას,
ჩემი ფიქრები და გულის ფეთქვა
განადიდებენ სამებას ერთარსს.

მინდა გრძობებში გულწრფელი ვიყო
და გულზე შენი სახე მეხატოს,
შენდობისათვის, წყალობისათვის
წმინდა ცხოვრებით გადამეხადოს.

ლექსი

ჩემი ნაფუნჯარი ლექსი,
მხოლოდ ერთხანობით მოცლა,
ჩემი ფიქრისფერი სიტყვა,
ცრემლებდადებული ლოცვა.
პნკარედ-პნკარედების ხიბლი,
ამურდაპყრობილი მზერა,
ფუნჯი, საღებავი, ტილო,
სიტბოგაუკრთობი კერა.
ჩემი ნამეხარი მუხა,
დროგადალახული ხიდი,
თვალეზმჩვეული მზე და
უფლის სიყვარული დიდი.

მამა

**„გაფრინდენ ჩემი ბუდის მერცხლები,
სახლის კუნჭულშიც კარგად ვეტივი,
და იმ ნატვრისთვალს, მე რომ ვეძებდი,
სხვები ეძებენ თავგამეტებით.“
ფრიდონ გელაშვილი**

სულსპეტაკი და გულბავში მამა
მოულოდნელად გამისუდარდა,
მე დამაობლა თვემ თებერვლისამ
და უმამობა მექცა სულ დარდად.

ცხოვრება მაშინ იოლი იყო,
თან ვიგულეზბდი როდესაც მამას,
მოგონებებით დაღლილ თვალთაგან
ტკივილნარევი ცრემლები მნამავს.

* * *

ახალგაზრდას და მაინც ჭალარას,
მამი, გნატრულობ გადამეტებით
და იმ ნატვრისთვალს, შენ რომ ეძებდი,
ახლა მე ვეძებ თავგამეტებით.

მამიდა

ძალიან რომ მიყვარს,
სულ რომ მენატრება,
ეს როგორ არა ვთქვა,
ეს როგორ დავმალე,
მამიდა — ბუნების
ლამაზი ქმნილება,
მამიდა — სულის და
სხეულის მალამო.
ტაშისკრის მზე ათბობს





მის წმინდა სამყოფელს,
ლეღვის ხე მწიფდება,
ჩემს ჩასვლას ნატრულობს,
სული ველარ უძლებს,
გულში ხმა შემოდის:
— მამიდა მოგელის,
მამიდა გნატრულობს!

ბუნება ლამაზობს,
უნდა რომ მეც ვნახო,
მიხმობს და ვხვდები რომ
ეს არის რაც მინდა:
ვესტუმრო, გავათბო,
გამათბოს ალერსით,
ეს არის რაც მინდა
— მამიდა, მამიდა!

მინდორში

**ვუძღვნი ჩემს შუათანა დას —
თიკას სიყვარულით!**

მინდორი ყვავილებს მიაქვს,
ლივლივებს რამდენი ფერი,
ქათქათა წვივებს მზე გსუსხავს
სხივების შუქით და ჩქერით.

ბალახი ცოცხალი, ნაზი,
ფეხს როგორ დაადგამ ტანზე?
კალია სიმშვიდეს გიფრთხობს,
ხტება წამიდან წამზე.

ყვავილებს ვერ დაკრეფ, ვერა,
არ დასევდიანდენ ხელში,
ისევ მზემ დაგსუსხოს მხრებზე,
ისევ მზის გულზე და ჩქერში.

* * *

ქვიშხეთის ემბაზი —
აღდგომის ტაძარი,
სულს რაც ეფერება,
სულისთვის რაც არის.
ქვიშხეთის აღდგომა —
ტაძარი ნაქარგი,
ვედრებით გამთბარი,
რა კარგი, რა კარგი!
აქ ფრესკა ხმიანობს,
აქ ლოცვა ცას სწვდება,
ამხელა სიყვარულს
ღმერთი თუ გასწვდება.
მინდა აქ დაჩოქილს
უფალი მწყალობდეს,
ანგელოზების გუნდი
კი გალობდეს.
ქვიშხეთის ტაძარო,
კოპნიავ, ლამაზო,
ჩემს გულს და სიყვარულს
ამ ლექსით გთავაზობ!

* * *

ამ სამყაროდან იმ სამყაროში
გადანაცვლება
როგორ მალეა...
გამჭვირვალეა ჩემი სულის
შეყვარებული,
გამჭვირვალეა...
სასუფევლის ადამიანი მინდა
გავხდე,
ჩემი ვალია...
სანთელი დნება და შანდალიც
ნასანთლარია...
დაბნნილი სკვნილი
ჩამოლოცვად
მაჯას აბია
და საზედაო ასოებიც ერთურთს
გაბმია...

.....
როგორ ტკივილად შემომყრიხარ
ჯვარზე ვნებული...
გამჭვირვალე ხარ ჩემი სულის
შეყვარებული...

* * *

შენ სახეზე ანგელოზი ბრწყინავს,
ისეთი ხარ თითქოს ფრთები გქონდეს,
თავს დავხრი და სწორედ მაშინ მიმზერ
და ვთვლი წამებს შეგეყარო ოდეს.

შენ სახეზე ანგელოზი ბრწყინავს...

ჩემო მამულო

ჩემო მამულო, ვტირივარ შენზე,
შენი წარსული სისხლად იცლება,
მიზნად ვაქციე წინაპრებისგან —
ჩემი სამშობლო არ გაიცვლება!

ვტირი ქართველთაც, რომ გაასახლეს
და ქრისტეს რწმენა გადაუვიწყეს,
ვტირი ვაჟკაცებს, მკერდდაღენილებს,
მათ ამ გამირობას ვინ დაუვიწყებს!

ისევ იმედი მაცოცხლებს გულმკვდარს,
იმედი ბოლოს კვდებაო, უთქვამთ,
ჩემი სამშობლოს გამთლიანება
გადამქცევია ლოცვად და სულთქმად!

როცა აფხაზეთს და სამაჩაბლოს
ფეხით მოვივლი და მოვილოცავ,
ქრისტეს ხსენებით, მუხლზე დაჩოქვით,
ამ დაბრუნებას შენ მოგილოცავ!

მერე ახდება ნატვრად ქცეული
ერთი სიზმარი ჩემი და სხვისიც,
ყველა ქართველი ქალის ოცნება
თავგანწირვაა და აი, ისიც:

თამარის დროშა მიჭირავს ხელში,
ტანზე მაცვია კაცის სამოსი,
ბრძოლისას ღმერთი წამით არ მტოვებს,
მტრის და საკუთარ სისხლში ამოსვრილს!



ასე, დიაცი, მანდილმობსნილი,
ვდგავარ დარაჯად ჩემი ქვეყნისა,
მისი დიდება და განახლება
სისხლისგან დაცლილს მაინც მეღირსა!

ჩვენს პატრიარქს

ჩვენო პატრიარქო,
ჩვენო საფიცარო,
თქვენით ვმშვიდდებით
და მხოლოდ
თქვენით ვხარობთ.
მხოლოდ თქვენ ერთი ხართ
საქართველოს მრწამსი,
როგორ გვინდა ყველას
ვიყოთ თქვენი მსგავსნი.
ღმერთმა გადღეგრძელოთ
ერის დამლოცველო,
ჩვენო სახატე და
ჩვენო სამლოცველო.

წმიდა თამარს

წმიდაო თამარ,
ნეტავ ვიყო
მოზაძავ შენდა...
ვიყო ლამაზი,
შენდა დარად,
სულით და ხორციით...
ფერხთ არა მეცვას
და მეტეხის ტაძრის კედელთან
მიყრდნობილ ვიყო
სამშობლოზე
გოდება-ლოცვით.
თმაგასაშლელი სანუხარი
მიმქონდეს ღმერთთან,
ლალეებს ვწირავდე ხახულის ხატს
მუხლდრეკა-კოცნით
და მსგავსად შენდა,
წმიდა თამარ,
ათასმნათობო,
ვიყო ლამაზი
როგორც სულით
ასევე ხორციით.

წმიდა მარიამ მაგდალინელი

იესუ ქრისტე, ძეო ღვთისავ,
მე მოძღვრად მერგე,
ხოლო ბოროტნი ღალადებდნენ:
— ჯუარს-აცუ ეგე!

რაბბუნი, მხსნელო, უბინობა
ჩემ სულში ნერგე,
ყოველნი კი გაიძახოდნენ:
— ჯუარს-აცუ ეგე!

შვიდი ეშმაკი განმიდევნე
და გადაგეგე,
ეს ეშმაკები ხროტინებდნენ:
— ჯუარს-აცუ ეგე!

არ შემოგეხე ახალაღმდგარს
როს მოგეგეგე,
ყურში კი მაინც ჩამესმოდა:
— ჯუარს-აცუ ეგე!..

წმიდა დედოფალი ქეთევანი

*ეძღვნება ჩემს ბავშვობის მეგობარს –
ქეთევან ლომსაძეს*

მოიღეს შამფურნი და
შესხნეს ცეცხლსა შინა,
დედოფლის სანამებლად,
დედოფლის დასაშინად.
მუხლნი მოიყარნა,
ზე ალაპყრნა ხელნი,
ფერმკრთალთა ლანვებზე
დასცვივდა ცრემლნი.
წმიდა ღმრთისმშობლისა
ხატი აღმოილო,
რომელიც სამშობლოდამ
შირაზს ნამოილო.
შენევნა შეჰვედრა...
ძნელია სათქმელად,
მაგრამ სატანჯველის
მზა იყო დათმენად.
ტარიგი ქრისტესი
ზეცისა იყო ღირსი,
ვითარცა ანგელოზის
ბრწყინვიდა პირი მისი.
მტანჯველთა განაშიშველეს,
განურთხეს ხელნი,
მარნუხით აწამეს
წმიდად სანატრელი.
ხარობდნენ ბოროტნი,
ეშმაკნი, ავნი,
დახლიჩეს ძუძუნი,
დაჰგლიჯეს მკლავნი.
მოიღეს ქუაბი
და ცეცხლზე გაახურეს,
წმიდასა ქეთევანსა
თავზე დაახურეს.
გაისმა ლოცვად,
შეჰვედრა სული თვისი,
ადიდა ქრისტე ღმერთმა
ღვანლი მისი.
წამებით შეიქნა
ბოროტი გათელილ,
ბრწყინვალე გუამსა ზედა
მოვიდა ნათელი.
ყოველთა იხილეს,
ადიდეს უფალი,
თქვეს: ეს არს ჭეშმარიტად
წმიდად დედუფალი!





მაია ღიაკონიკა



მეტროში

დაღლილი და გასავათებული ვიყავი. მეტროში ჩავედი, მუხლები მეკვეთებოდა, თვალეში ნისლი მედგა, სიცხე სულს მიხუთავდა. ხელების ცეცებით მივიკვლევდი გზას, მატარებელი ახალი გასული იყო. ბაქანზე დავდექი, ხალხი ნელ-ნელა ემატებოდა, მალე იქაურობა მგზავრებით გაივსო. რატომღაც უცნაური ფიქრი ამეკვიატა: ნეტავ როგორ იკლავს თავს ადამიანი? ახლა რომ მატარებელს ჩავუვარდე, ჩემი ცხოვრებაც დასრულდება, მერე წარმოვიდგინე, რომ დაიწყებოდა იმის გარჩევა, ძალით ჩავუვარდი მატარებელს, თუ შემთხვევით. ტელევიზორშიც გამოაცხადებენ ამ ამბავს, შეიძლება იმიტაციაც მოვახდინო, ვითომ შემთხვევით გადავვარდი, ფეხი რალაცას წამოვკარი, რომ თვითმკვლელის სახელი მაინც არ მქონდეს, მაგრამ შეცვლის ეს რამეს?! ნეტავ ვის ვატყუებ, მალლა ღმერთს არაფერი ეშლება, ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის, — ვმსჯელობდი ჩემთვის. გამახსენდა რომ თვითმკვლევები ჯოჯოხეთში ხვდებიან, ამიტომაც ყოველგვარი სურვილი დავკარგე ჩემი თავისთვის ზიანი მიმეყენებინა, აქაც მეყოფა ტანჯვა, საკმარისია, — ვიფიქრე და მატარებლის ვაგონში შევაბიჯე. ვილაც ღვთისნიერმა კაცმა ადგილი დამითმო, ვაგონის კუთხეში დავჯექი და დამნაშავესავით მივიკუნჭე. ასეთი უცნაური ფიქრებისთვის თავს გავუბრაზდი. მიკვირდა, რომ მუდამ ოპტიმიზმით სავსემ, წლებთან ერთად, სიცოცხლის ხალისი დავკარგე... შემდეგ გაჩერებაზე ქალი შემოვიდა, ბრმა იყო, ისეთი გულშიჩამწვდომი ხმით შემოსძახა სევდიანი სიმღერა, რომ თვალში ცრემლი მომანვა. დავაკვირდი, თანმხლები მოხუცი ქალი ალბათ მისი დედა იყო. ეს ბრმა ქალი მსოფლიოს საუკეთესო სცენებზე უნდა იდგეს და იქ მღეროდეს, ის კი... ფულს აგროვებს საქმლისთვის. — გავიფიქრე და გული მომიკვდა. ყველა თავის ჯვარს ატარებს,

ესაა ჩვენი ბედი. თავს ძალა დავატანე და ნელ-ნელა გამოვფხიზლდი. ვაგონში მყოფებს გადავხედე. ჩემს წინ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი შვილებთან ისხდნენ. კაცი ამაყი იყო, ქალიშვილებს ესიყვარულებოდა, ცოლს ცოტა ბრძანების კილოთი ელაპარაკებოდა, თითქოსდა შემომხედეთ, რა მაგარი კაცი ვარო. ისიც მორჩილად პასუხობდა. ბავშვების, განსაკუთრებით პატარას ქცევებმა გამახალისა, სინათლე მოჩანდა მის თვალეში. მეორე გოგონას სახეს ვერ ვხედავდი. მერე სხვებს გადავხედე, დაახლოებით 80 წლის ქალბატონი შვილთან ერთად იჯდა. საოცრად მონესრიგებული იყო, ფრჩხილებიც კი მოვლილი ჰქონდა, ვერცხლისფერი ლაქი ესვა. სუფთა, სუფთა, ლამაზ ვეფხვისფერებიან ბლუზაში გამონყობილი — თვით სიცოცხლე იჯდა ჩემს წინ. მის თვალეში ისეთივე სინათლე მოჩანდა, რომელიც ცოტა ხნის წინ ბავშვის თვალეში შევამჩნიე. ასეთი დედის გვერდით მოხუცის ქალიშვილი ამაყი იყო. მივხვდი, რომ ტყუილად არ შემოვედი ამ ვაგონში, ღმერთმა მიკარნახა, როგორ ვიცხოვრო. მარადი ბავშვობა, აი, რა არის ბედნიერი ცხოვრების საწინდარი. ბავშვების თვალეში შევხედოთ ყველაფერს და მივხვდებით, რა საოცარია ეს ქვეყანა, რომელიც ღმერთმა გვისახსოვრა, რა მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანის სიცოცხლე და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ მას. გვქონდეს მომავლის რწმენა ბავშვებივით და ჩვენს წინ აყვავდება ბედნიერების ყვავილები. მივიხედ-მოვიხედე, ყველა ადამიანი სხვადასხვა ყვავილს მივამსგავსე, მოხუცი სწორედ რომ წითელი ვარდი იყო, მასავით კეთილშობილი. პატარა გოგოები იები იყვნენ, დედა კი — ისამანი. მთელი ვაგონი სურნელებით გაივსო და მეც წამოვდექი, გავისწორე ფრთები, დიახაც, ფრთები და პეპელასავით გამოვფრინდი ვაგონიდან.



მხატვარი ზვიად მექვაბიშვილი





ნუნუ კამუკაშვილი

საქართველო

მზე გვეფერება ციდან,
ლიმილს გვიგზავნის მთვარე,
მოხატულ მამულს შვენის, —
ნალკოტი — არემარე.

ვესათუთებით ზურმუხტს,
ვაზებს, ჯეჯილს თუ, კორდებს,
ამ ულამაზეს მხარეს —
სულ, მშვიდი გული ჰქონდეს.

გვსურს მომავალი ლალი,
მის სიერთაგულეს ვამბობთ,
ყოველთვის, — მზეს და მთვარეს —
შორით ვუგზავნით ამბორს

ზღვაზე

ნაიყვანეს ზღვაზე ნიკა,
გაიხარა ბიჭმა — გულით,
საცურაო ბალიშიც აქვს
და... ნაპირზე, დავლურს უვლის.

მერე, — წყალში შევიდა და
ეფერება ზღვას, — ხელებით,
გულით მინდა დავინახო —
ზღვის: დიდრონი ცხოველები.

ნიკა, ნაპირზე გამოდი,
რა ხანია, გელოდებით,
ზოოპარკში ნაგიყვანთ და
იქა ნახე, ზღვის ლომები.

მზე — წხრათვალა

დაიმაღლენ ღრუბლები და...
გამობრწყინდა მზე — ცხრათვალა,
მთელ ქვეყანას რომ აშუქებ, —
შენი სხივი ვინ დათვალა?

ან, ცხრა თვალით, როგორ გვხედავ,
როგორ გვიცნობ, სათითაოდ?...
მაინც, მჯერა, რომ გვიყურებ,
მილიონი თვალთაო.

მასეც არის, — თქვა მზემ — ნაზად,
ვხარობ, როცა გიცქერთ კარგებს,

და... დღის ბოლოს, დავფიქრდები;
ვიტყვი: „დღეს მე ვის რა ვარგე“...

მთვარე

დღისით ვერ მოჩანს მთვარე,
მოივერცხლება — ღამე,
და... სურს ვარსკვლავებს უთხრას,
თურმე, — რამდენი, რამე...

მათთან, ერთად, რომ ხატავს
და აჩირადდნებს ტატნობს,
სულ, ყველა, — ერთად, ცის და...
მინის სიმშვიდეს ნატრობს.

მოოქროვილი გულით,
ხელს უწვდის დიდ — მზეს მნათობს;
სულ, ერთად იყვნენ, — ყველა, —
არავინ დარჩეს: მარტო...

„ფერიცვალობა“

„ფერისცვალება“ — დღეს,
ფერს იცვლისო — ბუნება,
მთა და ბარი სამოსის
გამოცვლასო უნდება.

შემოდგომის სურნელი
გარეშემოს ედება;
მწვანე — ყვითლით იცვლება, —
მერე... ყავისფერდება.

სიცხე წარსულს ჩაბარდა,
შემოდგომის ქრის — სიო,
და მზე — გველამუნება, —
სიყვარულის ღირსიო.

მზე და მთვარე

მზე და მთვარე საუბრობენ,
სიომ უთხრა: — სალამი!
ორივე ხართ — სანატრელი, —
კეთილი და ალალი.
მთელ ქვეყანას ეფინება —
მადლი, — სხივთა დალალის.



— შენც კარგი ხარ, სასურველი,
ჩვენო, წყნარო, ნიავო,
ქარად არ გადიქცე და... გთხოვთ:
სულ, სიმშვიდით იარო.

შემოდგომის ჰეპელა

შემოდგომის სიომ ჰკითხა —
ფრთახატულა პეპელას:
გაზაფხულზე სად იყავი? —
რომ არ ფრენდი შენ ველად?..

შემოდგომის ბუნება
სულ სხვა ფერებს გვთავაზობს,
მეც მსურს, ეს სილამაზე,
უფრო გავალამაზო.

სკოლისაკენ

მზემ აჯობა ნისლებს
და შორს გადარეკა,
სკოლაში მიდიან:
გვანცა, გიგა, ეკა.

გულით უყვართ წიგნი,
მშობლიური — ენა,
გულს რომ აატოკებს
და დაატკობს სმენას.

შეჰხარიან დღეებს, —
ლამაზსა და მზიანს...
და... თილისმად დააქვთ:
სიტყვა, — „აი, ია“.

ელენე


ბათუმიდან გვესტუმრა:
ცუგრუმელა გოგონა,
თავის კარგი მოქცევით, —
გაგვაოცა, — როგორა...

ლხენა გნებავთ? — ინებეთ, —
ცეკვაშია გართული,
სიმღერები? — უსმინეთ, —
ენატკბილი, — ქართული.

ჯერ, სულ, პატარაა და...
ცალს არ უდებს, — ტოლებს,
თავის ცეკვა-სიმღერით
გაოცებულს გვტოვებს.

ახლა... ბებოს ბოსტანი —
წამში მოინახულა,
ბებო, კიტრიც, ლობიოც,
ლამის, ცამდე ასულა...

მოიტანა — სარწყავი,
წყალი ასვა ნარგავებს,
მემრის, მაშინ, გენვევით, —
ნარგავებს რომ დარგავენ.



ილუსტრაციების ავტორი
ნათელა (ნათია) შალამბერიძე

ხატვაც მინდა ვისწავლო,
ჩემო, კარგო, მამიდა;
ლარნაკები, დოქები
მოიტანა მარნიდან.

ნადიკვარზე, — თოჯინა
დაჰყავს ყოველ — საღამოს,
ეტლით დაასეირნებს, —
დედიკო არ დაღალოს.

ამბობს: გავაცისკროვნე,
დღე, თუ, წამი, — ყოველი,
გასახარად, ყველასი —
სიყვარულად მოვედი.

სკოლა გვიხმობს

სკოლა გვიხმობს, გვეძახის,
ხმანკრიალა ზარი,
დღეა მართლაც, ლამაზი,
და მზიანი დარი.

წიგნი გვაცნობს — ბუნებას
და ცხოვრების სიბრძნეს;
მე, წიგნების, ერთგული,
მეგობრობა ვიგრძენ.

წიგნებს ვესაუბრები, —
დღეც ხალისით თენდება,
ცოდნას მოსდევს — სიკეთე, —
ქვეყნის ბედნიერებაც...



მზე

დაიბანა მზემ პირი, —
თავი გაილამაზა,
მიდის სამოგზაუროდ, —
გაუღიმა მთებს ნაზად.

ცისარტყელა გაფინა,
ახლა, დალალებს ინწავს,
სიხარულით აავსებს —
მადლიან დედამიწას.

სამკაული აისხა:
ძონისა და ლალისი...
ყველას მოეფერება, —
სათუთად და ხალისით.

შემოდგომა

თვალში შედის ყურძენი, —
დამნიფდება მალე,
გვიცინიან მტევნები,
არ ვუჯერებთ თვალებს.

მზე, თუ, დააცხუნებდა,
წვიმას ვთხოვდით ღრუბლებს,
და, ხან, იცრემლებოდა —
ზეცის მკერდი — უბე.

ჰოდა, არ დავაკელით —
ვენახს გამრჯე ხელი,
მალე, რთველი გვექნება,
უკვე, სტუმრებს ველით.

ჩვენს სიხარულს იგებს და...
თავს ინონებს ქვევრიც;
შემოდგომას მოჰყვება:
ჩურჩხელებიც, — ბევრი.

ნამგალა მთვარე

— დედა, რატომ ეძახიან
მთვარეს, ხან დროს, ნამგალას? —
წვიმა რომ არ მოდის, მთვარე
გვალვამ ხომ არ დაგვალა?

მათე, მთვარე, ხან, სავსეა,
ხან, ჰგავს — ნამდვილ ნამგალას,
მამინ, კარგად ვერ აშუქებს,
ვერ ანათებს ცამრგვალსა.

— პაპა, შენ რომ ნამგლით ვაზებს —
უსუფთავებ ნიადაგს,
თურმე, მთვარე, ხან დროს, იცი?
იმ შენ ნამგალს მიაგავს.

ზამთარი

ფიფქი მოდის, მოფრიალებს,
დაიფარა ცა — ფიფქებით...
ზეცა გზავნის ფიფქს — უამრავს,
ზამთრის პირზე, — ჩაფიქრებით.

ვისაც — ფიფქი არ უნახავს,
ვინც — ერთი წლის, გახდა — ახლა, —
გამოდით და დაინახეთ:
ზამთარმა რა — გაგვახარა.

გვიხარია ბავშვებს, როგორ,
სარკმელთან ზის, უკვე, ფისოც,
ფიფქს ვერ დავთვლით, მაგრამ ვიცით,
საოცრება არის ცისო.

როცა — უხვად, დაიდება
თოვლის — თეთრი საფარველი,
ვითამაშებთ, — დასახატად,
გამზადდება — მთა და ველიც.

ბესო – ხევსურეთში

გადაევლო ბესო ლურჯას,
გააქროლა აღმა-დაღმა;
ხევსურეთში მოვედიო, —
რას მიქვია: ახლა, დაღლა?..



სურათს უღებს — კობტა — კოშკებს,
კიდევ მოვალ, — ასე ამბობს,
ამ მთებს არწივები შევინს, —
და უგზავნის ბესო — ამბორს.
ბარში ჩავალ და ვაჩუქებ —
ჩემს მეგობრებს ლამაზ ალბომს...

და-ძმა, როცა მოიზრდება,
ნამოვიყვან, ამას ნატრობს...
ბესოს სახლში ელოდება —
მამის ნაჩუქარი ავტო.



მზემ შეუკერა ნაზ იას —
 ლურჯი, დაღანა — სამოსი,
 — აბა, ლურჯთვალავ, კოკრები
 მალლა, მზის გულზე ამოსვი.
 ვინც დაგინახავს, მაშინვე,
 გული სიამით ევსება;
 ნიგნები გაალამაზეს
 იაზე, — ნაზმა ლექსებმა.
 დარჩი, რა, ჩვენთან, იაო,
 ცა გიძღვის ცვარის აღმასებს;
 მარტი, აპრილი ჩვენთან ხარ, —
 მაისიც გაალამაზე.
 — შემდეგ, გაზაფხულს გენვევით,
 ვარდიც იშლება, ტიტებიც...
 პეპლებიც აცეკვდებიან, —
 ტყეც დამშვენდება — ჩიტებით.

ვესალმებით გაზაფხულს

ვესალმებით გაზაფხულს, —
 განახლებას ბუნების,
 მე და ჩემი ძმაიკო
 ბალის მოვლას ვუნდებით.

ყვავილები დავთესეთ,
 ვუვლით, ვესათუთებით,
 უქმად არ გვინდა ვიყოთ, —
 არც დღე... და არც წუთები.

ბოსტანიც გვაქვს პანია,
 ჩითილებიც დაირგო;
 ბებომ ერთად შეგვაქო, —
 დაიკო და ძმაიკო.

თავს იწონებს დეკემბერი, —
 მე დავინყე ზამთარიო,
 თუკი — მოვა თოვლი, — ბევრი,
 აგერ, ციგაც მზად არიო...

ზამთარი

ცა უკერავს, — ფიფქებს სამოსს,
 და, რა სამოსს — ქათქათელას,
 გამოგ ზავნა სამეფლისოდ, —
 თოვლი, ლამის, დადგეს — მთებად.

უხარია: დიდ-პატარას, —
 სასწაული, — ზამთრის ცისა,
 ზამთარო, არ გამოსცალო,
 ერთიანად, — თოვლის ქისა...

დეკემბერი, იანვარი,
 თებერვალი, — ზამთრის ბოლო,
 ჩვენ თამაში არ გვწყინდება
 და მაშინაც, მოდი, თოვლო.

მოკითხვის ბარათს უგზავნის —
 ენძელა, — ყოჩივარდას,
 შენი მოსვლა და დანახვა —
 რა რიგად, გამიხარდა.

ვის ატანს გულის ბარათებს?
 ცელქ და ონავარ სიოს,
 ყვავილებთან რომ დაფრინავს, —
 მათ უცვლელ ფოსტალიონს.

შლის ყოჩივარდა ბარათს და
 სიამით იწყებს კითხვას...
 გიყვარდეს: ერთმანეთითო, —
 დიდხანს, ძალიან დიდხანს.

ჩვენი წიგნი — დედაენა

აი, ია და გაიხსნა —
 დედაენის ცოდნის კარი;
 დედაენა, — ჩვენი გულის
 საოცნებო, — სანუკვარი.



ჩვენი, დიდი, იაკობი,
 ჩვენთვის წერდა: დედაენას;
 გვისახსოვრა საგანძური, —
 და... გვანვია — აღმაფრენას.

მეზღაპრე ზექა

მე, როცა, ზღაპარს ვიგონებ,
 ტყიდან მოვიხმობ ციყვუნებს,
 კურდღლებიც მოვიპატიჟე, —



იმედიანად მიყურეს.
 როცა, მე, ზღაპარს ვიგონებ,
 ტყიდან მოვიხმობ, — შველ-ირემს,
 სალამურს ავახმინებ, —
 ახლოს მოვიდნენ, ვშველი მე.
 დათუნაც გამობაჯბაჯდა,
 ჩანს მიატოვა ბუნაგი;
 კარგი სიზმარი ვნახეო, —
 მგელი ვერ მოვა, — მსუნაგი.
 აი, სირბილი ნახეთო,
 გამოჩნდა ბურთი-ზღარბუნა,
 ალბათ, შეჯიბრი ეგონა, —
 სანახაობა გვარგუნა.
 მოფრინდნენ — ჩიტი-გვრიტები,
 ბულბული, იადონები;
 პეპლებიც გამოფარფატდნენ, —
 ფრთებზე ყვავილის კონებით.
 — აბა, მიაბბეთ, თუ, როგორ
 გამოიარეთ ზამთარი,
 მინდა, თქვენს მეგობრობაზე
 დავწერო ლექსი, ზღაპარი.
 — ერთმანეთს ბალახს ვუწვდიდით:
 შველი, ირმები, ნუკრები...
 ზამთარი მალე გავაო, —
 არ შეშინდეთ და ნუ კრთებით.
 — ჩვენ, კი, ფრინველნი, დავბრუნდით,
 გზაში — ერთმანეთს ვშველოდით;
 მოვედით და გავიხარეთ
 ჩვენი ლამაზი მდელითი.
 — ჩვენ, აქ ვიზამთრებთ, რა უშავს,
 ბელურები და შაშვეები,
 დაგვტრიალებდნენ, ზრუნავდნენ
 ჩვენზე, — გულთბილი ბავშვები.
 და... ზღაპრის წერა დავინწყე,
 მეგობრობაზე, შველაზე,
 მზესავით ბრწყინავს სიკეთე,
 შვება რომ არის — ყველაზე...

ზამთრის მზე

მზე გვეფერება, ზამთრის მზე,
 ბრილიანტებში ჩამჯდარი;
 ააციმციმა ფიფქები, —
 ნახად დალოცა ზამთარი.

მამალი და ლომა

მთელი წელი იამაყა —
 მამლაყინნამ, — თავის წელით;
 ახლა, ძაღლის წელსა ხვდება,
 სიხარულით, განა წყენით.

შენი წელი, ჩვენო ლომავე,
 ჩვენზე მეტად, გახარებსო,
 გმადლობთ, გმადლობთ, მამლაყინნავ,
 შენც გილოცავ, ახალ წელსო.

გაზაფხულოდა

მარტი დადგა და გაზაფხულს
 გაუშლია ლალად ფრთები;

აზურმუხტდა მიდამო და
 აფერადდა მხრები — მთების.

მსურს დაეხატო საოცრება:
 ეს ხედები, ეს ფერები,
 ჩიტებს, პეპლებს და ყვავილებს, —
 ყველას, ერთად, ვეფერები.

შემოდგომა გვესტუმრა

შემოდგომა გვესტუმრა:
 ვაშლით, მსხლით და ატმითა,
 ჩვენი გული სავსეა —
 სიხარულით, ნატვრითა.



ვაზები, ხომ, სიუხვით
 და ბარაქით დატვირთა,
 პატარები გავერთეთ:
 შემოდგომის ხატვითა.

ვიქნებითო ფხიზლები

ასე გვითხრეს, ეს წელი, —
 არის წელი — ძაღლის,
 პატრონის ერთგულება
 არასოდეს დაღლის.
 ეზო-კარში სიმშვიდეს
 და სიკეთეს ნატრობს,
 თვალებით ერთგულებას
 ეფიცება — პატრონს.
 ლომია თუ, ბათურა,
 ბროლია თუ, მურა,



სახლ-კარზე და ეზოზე
დღენიადაგ ზრუნავს.
გამოსულან — ლეკვებიც, —
ნახეთ, როგორ ვიზრდებით,
გულით გვაიმედებენ, —
ვიქნებითო ფხიზლები.

წისკარი და მზე

წისკარმა მზეს გადასძახა,
რომ მიყვარხარ, — ვამბობო;
მე ჩავდივარ, შენ მოდიხარ, —
ველარ ვასწრებ ამბორსო.

— შენ, წისკარებს რომ გამიხსნი,
მზე ვარ, ამოვბრწყინდები...
მეც მიყვარხართ, ყველა, ყველა,
სულ სიყვარულს გპირდებით.

მოვიარე: მთები, ზღვები,
ველ-მინდვრები, გორები...
სიხარული რომ მოგიძღვნათ, —
გულით გეამბორებით.

ბებია და ზამთარი

— როდის წავა ეს ზამთარი? —
დაიჩივლა ბებიათ,
— ბებო, თოვლში თამაშობა
ხომ არ დაგვიწყებია?



ნიკას სურვილი

თეთრი ფისო მაჩუქე, —
ნიკამ უთხრა პაპიკოს;
პირს იბანს, თმას ივარცხნის, —
სილამაზით თავს იმკობს.

ეს ფისო და ლეკვები
როგორ მორიდდებიან?..
ნიკა, შეგანუხებენ, —
ჩაერია ბებიამ.

რომელიმემ, თუ, მაინც,
ჩხუბი, წყენა, იკადრა,
შევარიგებ, მაშინვე,
დაამშვიდა ნიკალამ.

ქრისტიანული პოეზიის VIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი უნდა გამოგზავნონ, ამა წლის 15 აპრილის ჩათვლით,

ელექტრონულ მისამართზე:

festivali2011@mail.ru

festivali 2011@yahoo.com

ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

მთავარი პრიზი — წმინდა ნინოს ჯვარი,
პრიზი — წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი,
პრიზი — წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.

ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და გაიცემა საფესტივალო პრიზები.

საფესტივალოდ გამოგზავნილი ლექსები დაიბეჭდება კრებულად.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, სალიტერატურო ჟურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

ფესტივალი ჩატარდება 2018 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 46 44 29

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი

ცირა აფციაური

რაც ხელისგულზე არ იკითხება...

უძველნი მეგობრებს



საავადმყოფოს ეზო ორ ბოშა ქალს გაუპიროვნებია და კლინიკიდან გამოსულთ რამდენიმე ღარიად გვპირდებიან გვითხრან რა იკითხება ჩვენ თვალებსა თუ ხელისგულებზე, რა გველის მომავალში. ტყავიდან ძვრებიან რომ ჩვენი ნდობა მოიპოვონ. ორი წელია არ ვეპუები მათ და თვალგაცეცებული ვუსხლტები ხელიდან. ჩემგან განსხვავებით, ხშირად ვხედავ ისეთებსაც ამ შარლატანების ნაბოდვარს რომ ისმენენ და ისედაც ბარაქაგამქრალნი ორიოდ ღარს კიდევ ატანენ ქარს. ყველას თავისი ფსიქოთერაპია აქვს, მე ჩემი. მკითხავ-მჩხიბავები კი არა მსოფლიო მედიცინაა ჯერჯერობით უძღური იმის საპროგნოზოდ რა მელის, რადგან წერამწერალმა გარკვევით ჩამინერა ფორმა # 100-ში რომ ვარ III სტადიის ონკოდაავადებული და აქ ყველაფერი დღესავით ნათელია, მომავალი კი ღამესავით შავი და ბნელი.

დავეხსენ „ბედისმაცნეებს“ და წინანდლის ქუჩით მეტროსკენ დავუყევი გზას. უსაშველოდ ცხელა. გზის ამ პატარა მონაკვეთზე ე.წ. დახლებსა, სკამ-მაგიდებსა თუ ბორდიურებზე გვერდიგვერდ აწყვია წინდა, საცვალი, ყვავილი, ყველი, ოჯახიდან გამოტანილი ჭურჭელი თუ სანვრილმანო და დიდი მცდელობაა საჭირო დისტანციის დასაცავად რათა რამეს არ გამოედო და საყიდელი არ გაგიხდეს. გულსაკლავია ამ ქალების ყურება ზამთარ-ზაფხულ ქუჩაში რომ სხედან ღვთის შეგონებით შთაგონებულები — „ხელი გაანძრიე და გეშველებო“. ზოგჯერ იქნებ მთელ დღეს ვერაფერი გაყიდონ, მაგრამ „გულზე ხელებს ხომ არ დაიკრეფენ“, „ჯანს საიქიოში ხომ არ ნაიღებენ“ ცდილობენ ოჯახს შეეხიდონ. ღმერთმა გაძლება მისცეთ.

ამ მიდამოებში მათხოვრებიც არიან (სად აღარ...). ერთი აწონილი ახალგაზრდა კაცის ნათქვამი პირველი შეხვედრისას — ნამალზე ფული მაკლდებო — ისეთი წრფელი მომეჩვენა, რომ სიმცირისათვის მოვუბოდიშე კიდევ. შემდეგზე რომ იგივე ტექსტი წარმოთქვა და მეც თვალში უკეთ გამოვიხედე, წარბშეკვრით ვუთხარი, რომ მისგან განსხვავებით, ფული მე მართლაც წამლისთვის მჭირდებოდა. უხმოდ გამეცალა და სხვა აბუეტს დაუწყო ძებნა.

სიცხისგან სუნთქვა ჭირს, მაგრამ მეორადი ტანსაცმლის მაღაზიის ფასადზე გამოკიდულ მსოფლიო ნაწარმ-ნაცვამს მაინც ვათვლიერებ

თავაღერებული. ის იყო შიგ შესვლა გადავწყვიტე, რომ უცებ საოცრად გულში ჩამწვდომი ტემბრის ხმა შემომესმა:

— როგორ კარგად გაქვთ შერჩეული კაბა, ქალბატონო, თქვენი თვალების ფერთან.

დავიხედე და იქვე, მაღაზიის ვიტრინის დაბალ კედელზე უხერხულად ჩამომჯდარი ადამიანი მომმართავდა. ეს იყო ხანდაზმული ქალბატონი ნატიფი სახითა და მეტყველი ცისფერი თვალებით, სუფთად, ფაქიზად ჩაცმული — შუაზე გაყოფილი ქათქათა თეთრი თმით. სამონყალოდ გამონვდილი გამხდარი ხელიც ისე მოკრძალებულად ედო მუხლზე ბევრი ვერც კი მიხვდებოდა მის გასაჭირს. წამით გავოგნდი, თვალი ვერ მოვაშორე მის სალუქსახეს, ხელით კი ჩანთაში დავინყე ქექვა საფულეს გასახსნელად. მან კი:

— არა უშავს, ქალბატონო, თუ არ გაქვთ, სხვა დროს იყოს, როცა გექნებათ. — მითხრა და დავრწმუნდი, რომ ცოდვა-ბრალიან წუთისოფელს მისი სული მთლად ვერ დაეთრგუნა და დაებეჩავებინა.

ცოტა მოვშორდი და საფულეში ჩავიხედე. მხოლოდ ათლარიანი კუპიურა მქონდა. მივდექ-მოვდექი და არავინ დამიხურდავა. ბოლოს „დიროლი“ ვიყიდე და აჩქარებით ავბრუნდი უკან. როცა დამინახა, შეწუხდა.

— ამ სიცხეში ჩემი გულისთვის ამობრუნდით ქალბატონო. ღმერთმა დაგლოცოთ, სხვა რა გითხრათ. იცით, დედაჩემი წერეთლის ქალი იყო, დიდი ესთეტი. ჩვენ რუსთაველზე ვცხოვრობდით. ქალთა და ვაჟთა სკოლები რომ შეერთდა მე I ვაჟთაში მოვხვდი, იქ დავამთავრე. კარგი კლასი გვქონდა. ერთმანეთის ოჯახებში ვსწავლობდით ბევრ რამეს: ქცევის წესებს თუ სუფრის გაშლას, ვსაუბრობდით ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ბევრს, ძალიან ბევრს ვკითხულობდით. იცით, ქალბატონო, უნდა დამიჯეროთ, ბედს არ ვემდური, მისი მაღლიერი ვარ რადგან ძალიან კარგი მეგობრები მყავდა, ძალიან — თქვა და იმ წუთს მის ცისფერ თვალეში ბედნიერების სხივიც კი გაკრთა. არ მომჩვენებია, ნამდვილად ასე იყო.

ვიდრე ეს ადამიანი თავისას მიყვებოდა და შიგადაშიგ მეც ვურთავდი ვითომ სანუგეშო, მაგრამ ობმოკიდებულ სიტყვებს, თუმც ბოლო წინადადების წარმოთქმის შემდეგ მივხვდი, რომ ეს მას სრულიად არ სჭირდებოდა. ცხოვრების სიმუხთლესა და დაუნდობლობას ვერ წაეშალა მისი გე-



ნეტიკური კოდი, დარჩენილი იყო წარსულისა და ამაღლებულის ოლიმპოზე და მყოფადს ზემოდან უყურებდა. სამონყალოდ განვდილ ხელს ის, უბრალოდ, არ ამჩნევდა.

დავემშვიდობე და ჩემ მეგობართან გავსწიე. მეგობართან, რომლის უსაზღვროდ მაღლიერი ვარ, რადგან პირველ კლასში მისულს ჩამჭიდა თავისი თბილი ხელი და აგერ სამოც წელზე მეტია მოვდივართ სხვათა მიმართ თანაგრძობითა და თანალმობით ერთიანნი. ჩვენთვის მეგობრობა მძლავრი რელიგია, მეგობრებთან ურთიერთობა კი ერთგვარი განსანმენდელია.

დავუფერე ახალგაჯობილს — ბედს არ ვემდურიო რომ თქვა, რადგან მე ბედისწერა აუცილებლობად მიმაჩნია და მნამს ყველა ჩემი მეგობარი ჩემთვის განკუთვნილი დიდი საჩუქარია. მე მათი

სიცოცხლით თანავარსებობ და ვინ იცის, იქნებ ამიტომაც პირისპირ შემომხვდარმა სიკვდილმაც უკან დაიხია. ის მარტო იყო, მე არაერთი.

ამასობაში მოვედი კიდეც. მჭადის სუნი გართავ გამოდის. მიყვარს მჭადი, განსაკუთრებით მარინას გამომცხვარი. მასზე მისი ხელი აჩნევია, ახლა უკვე დიდი და უფრო თბილი ხელი. დავჯდებით სატრაპეზოდ და გავიხსენებთ ჩვენთვის მნიშვნელოვანსა და დაუვინყებელს. ყველას, ვინც ჩვენთან ერთად თანაარსებობენ, იყვნენ და მყოფადშიც არიან. შევავსებთ ერთმანეთის მეხსიერებას, ვიმოგზაურებთ წარსულში მყოფადის გავლით.

18. 08. 2016



პაუფის ობთი ლოქსი



მალხაზ მაჭავარიანი

ყოვლის შემოქმედს

I
შემოდგომაზე მჩუქნი გაზაფხულს,
სიხარულს მჩუქნი მზიანი სევდით...
შენით შევყურებ ზეცას, არნახულს,
მზის დედამიწას ჯვარცმულის ბედით —
დავყურებ... და: მაქვს უთვალავ ფერით
ქვეყანა — ესეც შენგან და შენით,
შენს თბილ ხელშია სიცოცხლე ჩემი
ანუ შენივე გადასარჩენი...

II
სასჯელის დროს ჩანს აქ შენი სახე?! —
სახე სასტიკი და ლმობიერი
ჩანს: სასჯელის დროს თითქოსდა ვნახე
ნამით — უცნობი შენი იერი...

და შეუცნობელ მზით დამამუნჯე,
მთლად დამაბრმავე ბნელში ნათელით...

და ასე უძლურს, გულის საუნჯედ
ღრმად ჩამისახე მხსნელი სახელი.

III
გმადლობთ შენ, ქრისტე — ტკბილო იესო,
რომ ბოროტისგან მიხსენ და, სულით —
ბერს გამახსენე ბავშვობის ეზო
ციცინათლებით გაბრწყინებული...
და კიდეც: მწუხრად ჩურჩული ქარის,
ლურჯ სიჩუმეში დედის ძახილი.
შენ კი მეჩვენე ჯვარზე თუ ჯვართ —
ნაგვემ-ნაცემი და თავდახრილი...
გმადლობ შენ ქრისტე — ტკბილო იესო,
რომ შემინყალე ბერი... და სულით —
კვლავ გამახსენე ბავშვობის ეზო
ციცინათლებით გაბრწყინებული.





ჯულია დონაღდსონი

პრინციესა მირორ-ბელი და მზრინაპი ცხენი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ #4, 2017 წელი.

თავი მეორე

ჯადოსნური გურთი

აბა, შენ იცი, ელენ, მაინცდამაინც ბევრ ყვითელ ბარათს ნუ დააგროვებ, — ურჩია ლიმილით მამამ.

ამაზე ლუკს, ელენის უფროს ძმას გულიანად გაეცინა. ელენმა კი უბრალოდ გაიღიმა.

— იქნებ ფეხბურთი საერთოდ არც ვითამაშო. სხვა სპორტის სახეობის ამორჩევა შეიძლება.

სპორტულ-გამამხნეველ ცენტრში მიდიოდნენ. მამა და ლუკი კედლის ჩოგბურთის თამაშს აპირებდნენ. ელენმა კი „ოთხი სახეობა უფასოდ“ ამოირჩია, რაც ნიშნავდა, რომ ყოველგვარი გადასახადის გარეშე სპორტის ოთხ სახეობაში შეეძლო ბედი ეცადა.

— კედლის ჩოგბურთის მესამე დარბაზში ვიქნებით. მომაკითხე, თუ რომელიმე მსაჯთან გაუგებრობა გაქნება, — გაეხუმრა მამა.

ლუკსაც მეტი რა უნდოდა, კიდევ გაიღრიჭა.

— მამი, მგონი მე მომიწევს ამის გაკეთება. ისე დაგამარცხებ, რომ ელენის დაცვის თავი ნამდვილად არ გაქნება.

მამა-შვილი აქ ელენს დაშორდა. მიდიოდნენ და ჩოგბურთს მხიარულად მიიქნევდნენ.

გოგონამ გადაწყვიტა პირველად შესულიყო იმ დარბაზში, რომელსაც „რვა წლის და ზევით“ ერქვა. აქ სიმძიმეების აწევას ვერ შესძლებდით, როგორც დიდ დარბაზში, მაგრამ თქვენს განკარგულებაში იყო ბატუტი და კიდევ სარბენი და ველოსპორტის ბილიკები.

ელენმა თავისი ბარათი ერთ ახალგაზრდა დაკუნთულ ყმანვილს გადასცა. იმან ერთ-ერთი სახეობა გადაახაზა და ბარათი ელენს დაუბრუნა.

სპორტდარბაზი თითქმის სავსე იყო, მაგრამ ელენმა იპოვა თავისუფალი სარბენი ტრენაჟორი. მეთვალყურე მჩვენა, როგორ უნდა ევარჯიშა, რადგან ელენი ამას პირველად აკეთებდა.

რა უცნაური შეგრძნება იყო ერთ ადგილას სირბილი. გოგონამ ის-ის იყო, გაიფიქრა, ახლა კი სწორად ვაკეთებო, რომ ხმა შემოესმა.

— არასწორად აკეთებ!

ელენი ისეთი მონდომებით ვარჯიშობდა და მთელი ყურადღება ისე ჰქონდა მიპყრობილი ფეხებზე, ხანაც სიჩქარის მაჩვენებელ პატარა ეკრანზე, რომ არც კი შეუმჩნევია, დარბაზში ამდენი სარკე თუ ეკიდა კედელზე. ამ ხმამ ისე გააოცა, რომ სირბილი შეწყვიტა.

მისი ანარეკლიც ზუსტად იმ დროს შეჩერდა. ოღონდ, რა თქმა უნდა ეს მართლა მისი ანარეკლი კი არ იყო; ეს პრინციესა მირორ-ბელი გახლდათ!

— მირორ-ბელ, აქ რას აკეთებ?

პრინციესა თავის ტრენაჟორიდან გადმოხტა და

სარკიდან სპორტდარბაზში გადმოცოცდა.

— ჯადოსნურ ბურთს დავდექ. ხომ არ გინახავს?

ელენმა მიმოიხედა. ვერანაირ ბურთს ვერ ხედავდა. შვებითაც ამოისუნთქა. ჯერ არავის შეემჩნია სარკის პრინციესა. ყველა ვარჯიშობდა.

— რა ჯადოსნური ბურთი? — ჰკითხა ელენმა.

— სწორედ ის, რომელიც ჩემმა ბოროტმა ჯადოქარმა ნათლიამ გადამიგდო. ისევ არ ისვენებს. ძველი ოინები გაიხსენა და ყველანი გააქვავა ჩემს სასახლეში.

— შენ გარდა, — შენიშნა ელენმა.

— ჰო, მართალია. მეც მიპირებდა გაქვავებას. მაგრამ, ბედად ვიცოდი ის ჯადოსნური სიტყვები და მისი ჯადო შევაჩერე.

— რა სიტყვები?

— კარგი რა, ნულარ მაყოვნებ. ხომ გითხარი, ჯადოსნური ბურთი უნდა ვიპოვო! — პრინციესა გაღიზიანებული ჩანდა.

— წესიერად მაინც არ მიხსნი, რა მოხდა, — უსაყვედურა ელენმა.

— ჰო, კარგი, კარგი. მოკლედ, იმ ბოროტმა ჯადოქარმა მოისროლა ეს ბურთი და განაცხადა, რომ მაშინ გაცოცხლებოდნენ გაქვავებულები, როცა ბურთს უკან დავუბრუნებდი. ერთი უნდა გაგეგო, როგორ ტრაბახობდა!

— რატომ ტრაბახობდა?

— იმიტომ, რომ ყველამ იცის, თითქმის შეუძლებელია მის ჯადოსნურ ბურთს დაენიო. უკვე რამდენი დღეა, მის დევნაში ვარ. ტყეები და მთები გადავიარე, მაგრამ სულ სადღაც ჩემ წინ მიგორავს, ვერ ვწვნივ. ახლა კი, საერთოდ, ვეღარც ვხედავ.

მირორ-ბელმა დარბაზს თვალი მოავლო და სახე გაუბრწყინდა.

— აჰა! — წამოიძახა და დაკუნთული მეთვალყურისაკენ გაემართა.

— იცოდე, ვერ გამაცურებ! — ჯიქურ მივარდა, მალე ახტა და მკლავზე ხელი დაუტყაპუნა.

— აბა, აბა, მორჩი ახლა! როგორ იქცევი? — გაუნყრა ყმანვილი.

— პრინციესებს ასე არ მიმართავენ! და თანაც, ვაჟბატონო, მე კი არა, თქვენ როგორ იქცევი! აბა, ერთი თქვენი სახელო აინიეთ!

— არ გინდა, გაჩერდი, მირორ-ბელ! იცოდე, შენ გამო აქედან გაგვაგდებენ.

— კი მაგრამ, თუკი ვხედავ, რომ სახელოს ქვეშ მალავს ჯადოსნურ ბურთს!

— რა გჭირს, ეგ ბურთი კი არა, მისი მკლავის კუნთებია, — გაეცინა ელენს.

მეთვალყურემ ამის გაგონებაზე მართლაც აიკაპინა სახელო. ეტყობოდა, რომ ერთობოდა და თანაც გაუხარდა კიდევ, თავისი მუსკულატურის გამომზეურების საშუალება რომ მიეცა.





მირორ-ბელზე ამან დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა და ახლა დაჟინებით მეორე მკლავის ნახვა მოითხოვდა. ოო, მეთვალყურე უკვე მოთმინებას კარგავდა. ალბათ ფიქრობდა, ეს გოგონები მამასხარავებენო.

— ეი, თქვენ ორნი, რატომ არ მოუსვამთ აქედან? სხვა გასართობი ნახეთ, — უთხრა მკაცრად და უცებ ეჭვმა გაურბინა გონებაში. — თქვენი ბარათები შევამოწმე?

ელენმა თავისი გაუნოდა, სარკის მზეთუნახავმაც ამოიღო ბარათი სპორტული შარვლის ჯიბიდან. მეთვალყურე დაჟინებით დააშტერდა.

— რა საოცარია, ნანერი მთლად უკულმა ამ ბარათზე.

ელენმა ჩაიჭყიტა პრინცესას ბარათში და რა თქმა უნდა, აღარ გაუკვირდა, სარკეში არეკლილი უკულმა დაბეჭდილი ნარწერა რომ დაინახა. „ოთხი სახეობა უფასოდ“ კი არ ეწერა, არამედ: დოსაფუ აბოხას იხთო.

— ყველაფერი მშვენივრადაა, რას ერჩით ჩემს ბარათს. ეტყობა, სკოლიდან მეტისმეტად ადრე გამოგიყვანეს და წერა-კითხვაც ვერ ისწავლეთ ხეირიანად, — თავი უკმაყოფილოდ გააქნია და ელენს ჩაულაპარაკა, — ცარიელი კუნთებია, სამაგიეროდ ტვინის ნატამალი არ გააჩნია.

ამის გაგონებაზე ელენმა ხითხითი ვერ შეიკავა. მეთვალყურე კი გაბრაზდა!

— დაიკარგეთ აქედან! — უყვირა ბავშვებს.

ელენმა პრინცესას ხელი ჩაბლუჯა და სთხოვა, იქნებ ფეხბურთი გვეთამაშაო.

— რა, რა თქვი, ფეხბურთი? აბა, წავედით, უკვე იმედი მომეცა.

ელენმაც შვებით ამოისუნთქა, რაკი პრინცესა დაკუნთული მეთვალყურის მარცხენა მკლავის შემონმებას შეელია. სპორტდარბაზიდან გამოვიდნენ და კიბეს ჩაუყვნენ.

ფეხბურთის სათამაშო დარბაზში ჟოლოსფერ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ქალი დახვდათ. მან ბავშვებს კეთილად გაუღიმა და თამაშის წესები აუხსნა.

— სწორედ ორი მოთამაშე გვაკლდა. იმედია, წინააღმდეგები არ იქნებით, თუ სხვადასხვა გუნდში მოხვდებით.

ქალმა გოგონების ბარათებს სწრაფად გადაავლო თვალი. შემდეგ ელენს ლურჯი სამკლავური მისცა, პრინცესას — ნითელი და აუხსნა, სად უნდა დამდგარიყვნენ. ბოლოს ბურთი მოედნის შუაში დადო.

მირორ-ბელი იმედგაცრუებული ჩანდა.

— ეჰ, ესეც არ აღმოჩნდა ჯადოსნური ბურთი. ზომითაც უშველებელია და ფერთაც სხვა არის. სხვაგან მომიწევს მოძიება.

— დარჩი, ნუ ნახვალ, რა. შენს გუნდს ერთი მოთამაშე მოაკლდება, იცოდე.

მირორ-ბელმა მხრები აიჩეჩა. ჟოლოსფერ სპორტულფორმიანმა სასტვენს ჩაჰბერა და ყველა დაიძრა. მაშინვე შეტევაზე გადავიდნენ. ერთ-ერთმა თანაგუნდელმა მირორ-ბელს ბურთი გადაანოდა. იმან კიდევ ხელში დაიჭირა „მადლობა, მაგრამ მე რაში გამომადგებაო“ და მიუხედავად ჟოლოსფერფორმიანის გამწარებული სტვენისა ელენს გადაუგდო. თანაგუნდლებიც უკმაყოფილო შეძახილებით დაესხნენ თავს:

— რას შვრები, შე გამოთავყვანებულო!

— არ იცი, რომ უფლება არა გაქვს ბურთს ხელით შეეხო!

— იმათ მხარეზეა, იმათ სასარგებლოდ თამაშობს!

პრინცესა შოკში იყო. აღშფოთებულმა ჟოლოსფერფორმიანთან მიიბრინა.

— აქაურობას მგონი თქვენ განაგებთ. დიდი ბოდში, მაგრამ იქნებ მომახსენოთ, როგორ სჯიან თქვენთან იმათ, ვინც სამეფო ოჯახის წევრს უხეშად

დაელაპარაკება? მაგალითად, მამაჩემის სამეფოში ასეთ თავხედს მთელი წლით სამეფო ბაღების გამარგვლას მიუსჯიდნენ.

ჟოლოსფერფორმიანმა შეკითხვა პასუხის ღირსად არ ჩათვალა და ლურჯებს ანიშნა, ბურთი ჩამოანოდეთო. პრინცესას კი — შენს ადგილზე დაბრუნდიო, უთხრა.

— ერთი მითხარით, თავი ვინ გგონიათ? — გაგულსდა პრინცესა.

— მწვრთნელი ვარ.

პრინცესას სიცილიად არ ეყო ქალის ნათქვამი.

— მწვრთნელი ხართ? მაშ სად არის თქვენი კარეტა ექვსი თეთრი ბედაურით? ჩვენს სასახლეში მწვრთნელებიც კი ასეთი კარეტებით დადიან. ვერც თქვენს მეეტლეს ვხედავ!

ჟოლოსფერფორმიანმა ისე შეხედა პრინცესას, ელენს შეემინდა, ახლა კი დაიფრენს აქედანო და მეგობრის დაცვა სცადა.

— აპატიეთ რა. მგონი ცხოვრებაში ფეხბურთი არასოდეს უთამაშია.

შემდეგ კი პრინცესას დაყოლიებაც მოახერხა, რომ თამაშს დაჰბრუნებოდა.

— ბურთი ფეხით უნდა ითამაშო და მხოლოდ თანაგუნდელებს გადაუგდო ან კიდევ აი, იმ კარში ისროლო, ანუ გოლი გაიტანო.

ელენმა ხელით ანიშნა საით უნდა გაეტანა ბურთი, მაგრამ მირორ-ბელს არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა.

ჟოლოსფერფორმიანმა სასტვენს ჩაჰბერა და თამაში განახლდა. ლურჯფორმიანებმა ჯერ ერთი ბურთი გაიტანეს, მალე მეორეც მიაცილეს. ახლა ნითელფორმიანებმა ჩაიგდეს ბურთი. ერთმა მათგანმა პრინცესას გადაანოდა.

— ო, ოღონდაც მაგას არა! — აღმოხდა ერთ ნითელფორმიანს. მაგრამ უკვე გვიან იყო. პრინცესამ მთელი ძალით გაგზავნა ბურთი საკუთარ კარში.

— არის! — შესძახეს ლურჯფორმიანებმა. ნითელფორმიანები კი გაცოფებულები თავს დაესხნენ პრინცესას.

— შე მართლა გამოშტერებულო!

— რა ქენი? საკუთარ კარში გაიტანე ბურთი?

— გააძვევთ აქედან!

პრინცესა კი კიდევ ერთხელ გაეშურა საჩივლელოდ ჟოლოსფერფორმიანთან.

— არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ მოვიტმინო ეს არასერიოზული შურიანობა.

— ეს შურიანობა არ არის! — შეეპასუხა თანაგუნდელი.

— აბა, მაშ რა არის! მე ხომ მხოლოდ ის გავაკეთე, რაც ჩემამდე ორმა მოთამაშემ გააკეთა; ბურთი ბადეში გავგზავნე. მაგრამ საქმე ის არის, რომ არ გყოფნით ვაჟკაცობა აღიაროთ, რომ ჩემი დარტყმა ბევრად უფრო ძლიერი და მოხდენილი იყო, ვიდრე მათი. რა ჩემი ბრალია, თუ დანარჩენები ფეხს ვერ მიწყობენ!

— კი მაგრამ, ეს არასწორი სვლა იყო. ბურთი ლურჯ კარში უნდა გაეტანა!

— ეგლა მაკლია, მაგ სულელური წვრილმანებით დავიტვირთო გონება. წავედით, ელენ. თქვენ კი ნაკლული გუნდებით მოგიწევთ თამაში!

ელენს ეს აზრი მოეწონა და რალა დაგიმალოთ, — დანარჩენებსაც.

— რამდენი დრო დავკარგეთ ტყუილად, — ამოიოხრა პრინცესამ. — იქნებ, ვერც ველარასოდეს ვიპოვო ჯადოსნური ბურთი. მაშინ ჩემი მშობლები და ყველა მსახური სამუდამოდ გაქვავებული დარჩება. თუ ასე იქნება, მაშინ შეიძლება შენთან გადმოსვლა მომიწიოს.

ელენს ეს აზრი დიდად არ დაუჯდა ჭკუაში. პრინცესას ერთი უბრალო გამოჩენაც კი დიდაურზაურს იწვევდა. ბედმა გაუღიმა და პასუხის გაცემა აღარ



დასჭირდა. პრინცესა უცებ ერთ კართან შეჩერდა და მიაყურადა.

— ერთი ნუთით! მეჩვენება თუ აქაც ბურთის ხმა მესმის? რა ხდება შიგნით?

— აქ ოთახის ჩოგბურთს თამაშობენ. — მიუგო ელენმა. მათაც შეეძლოთ თავიანთი ბარათით ეთამაშათ ჩოგბურთი, მაგრამ საფეხბურთო გამოცდილების შემდეგ ელენს გული აღარ მიუწევდა პრინცესასთან ერთად სათამაშოდ. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, პრინცესამ გადანყვეტილება მიიღო და კარიც შეაღო. იქ კი სიცოცხლით სავსე, თეთრ საჩოგბურთო ფორმაში ჩაცმული ქალი შეეგებათ.

— მოზრდანი! ესეც თქვენი ბარათები! რა მშვენიერია! ახლა შეგვიძლია წყვილებში ვითამაშოთ. ძალიან კარგი! — ორივე ახალმოსულს ჩოგნები გადასცა და იქ მყოფი გოგონები გააცნო — ჯეიდი და აილსა. შემდეგ ელენს ჰკითხა, თქვენ ორნი ერთ მხარეს ითამაშებთ თუ საპირისპირო მხარეები იქნებითო.

ელენმა სასწრაფოდ მიუგო, ერთ მხარეს ვითამაშებთო. ფეხბურთის საშინელი თამაში ჯერ კიდევ თვალწინ ედგა.

იატაკზე ჩოგბურთის ყვითელი ბურთები ელაგა. სარკის მზეთუნახავი გულმოდგინედ ამონებდა თითოეულ მათგანს.

— ფერით კი ჰგვანან ჯადოსნურ ბურთს, მაგრამ ესენი ძალიან ხაოიანი არიან და არც ხელიდან დასხლტომას ლამობენ, — თქვა ნალვლიანად.

ამასობაში მხიარულმა ქალმა კიდევ ერთხელ გაიცინა გულიანად და გოგონებს შესთავაზა:

— მოდი, სანამ სერიოზულად დავიწყებთ თამაშს, ცოტათი გავხურდეთ და გავხალისდეთ. შენ დაიწყე პირველმა, მირორ-ბელ!

— რა თქმა უნდა, სწორი გადანყვეტილებათა, — აიღო პრინცესამ ბურთი და ელენს გადაუგდო.

ჯეიდი და აილსა აკისკისდნენ. მხიარულმა ქალმა კი გაოცებისგან წარბები მალლა აზიდა!

— მე არ უნდა მომანოდო ბურთი, — გააფრთხილა მეგობარი ელენმა.

— ვითომ რატომო? ამჯერად ხომ ერთ გუნდში ვართ? ასე არ არის? მაშ, რა ხდება? ნელანდელ სულელურ თამაშში ბურთი ჩემი გუნდლებისთვის უნდა გადამეცა. ახლა რაღა ხდება? ერთხელ და საბოლოოდ ამიხსენი როგორ ვითამაშო. მოცლილი კი არ ვარ.

ელენი ის იყო აპირებდა აეხსნა რა განსხვავება იყო ფეხბურთსა და ჩოგბურთს შორის, რომ პრინცესას სახე გაუბრწყინდა. დასტაცა ბურთს ხელი და პირდაპირ ჩოგბურთის ბადეს სტყორცნა.

— არის! გოლი გავიტანე! — აჭყიპინდა სიხარულით. ჯეიდიმაც და აილსმაც მოილხინეს ამის შემხედვარეებმა. მაგრამ მხიარულმა ქალმა შენიშვნა მისცა გოგონებს, ნუ დასცინით, რაც შეუძლია ცდილობსო და მერე პრინცესას ურჩია, ეცადე ცოტა უფრო მალლა დაუმიზნო და მაშინ სწორად გამოგივაო.

— კი მაგრამ, ბადეს ზევიდან რომ გადაევილო ბურთი, ეგ ხომ გოლი აღარ იქნება.

— აბა, ჩოგბურთში გოლების გატანა ვის გაუგია. უნდა ეცადო, რომ ბადის ზევიდან გადაანოდო ბურთი მონინალმდევე მხარეს და ასევე იქიდან მონვდილი ბურთი ისევ ბადის მეორე მხარეს გაგზავნო.

— რა ამბავია ამდენი წესი! რა მარტივად და ადვილად ვითამაშობ საკუთარ სახლში. ავადგებ ჩემს ოქროსფერ ბურთს და თავად ვიჭერ! არც ამდენი გუნდია საჭირო, არც გოლის გატანა და არც სხვადასხვა ფერის გუნდები, კი, ისეც ხდება, რომ ბურთი გუბურაში ჩამივარდება ხოლმე. მაგრამ მაშინვე რომელიმე ბაყაყი დამიბრუნებს ბურთს, მეც ვაკოცებ და ისიც მშვენიერ პრინცად გადაიქცევა ხოლმე.

მხიარულ ქალს ამჯერადაც გაეცინა, მაგრამ ნაკლებად გულიანად. ცოტა შეფიქრიანებული ჩანდა.

— აი, რას გეტყვით, გოგონებო. მგონი თქვენ მცირე გოლფი უფრო მოგეწონებათ. ბევრად უფრო მარტივი თამაშია.

— მშვენიერი აზრია, — აიტაცა ელენმა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ჩოგბურთის უხერხულობისგან თავი დაეღწია. პრინცესასთან თამაში აღარ უნდოდა და როგორც კი გარეთ გავიდნენ, მეგობარს უთხრა:

— იქნებ ჯადოსნური ბურთი ისევ შენს სამეფოში დაბრუნდა. ხომ არ ჯობია დაბრუნდე და იქ მოძებნო?

— დარწმუნებული ვარ, სადღაც აქ არის. — იხტიბარს არ იტყვია პრინცესა. — ეს ახალი თამაში რაღაა? აქაც ბურთი ხომ არ არის საჭირო?

უკვე მისაღებში იყვნენ გასულები. ელენს გული უსკდებოდა, აქაც თავი არ შეირცხვინოსო.

— კი, აქაც ბურთი გვჭირდება, მაგრამ...

რეგისტრატორმა ყური მოჰკრა მათ საუბარს და დაარიგა, როგორ წასულიყვნენ მცირე გოლფის სათამაშო მოედნამდე. ერთი სული ჰქონდა პრინცესას, სანამ გოლფის ბურთს დაინახავდა. ელენს გაუსწრო და წინ გაავარდა. ჩაფიქრებული მეგობარი უკან გაჰყვა.

გოლფის მოედნის მეთვალყურე იორივს ბურთის დასარტყმელი ჯოხები და ბურთები გადასცა. ელენმა შვებით ამოისუნთქა, როცა დაინახა, რომ მარტო ორნი ითამაშებდნენ. სარკის მზეთუნახავი კი უკვე მერამდენედ აღმოჩნდა იმედგაცრუებული. ოდნავადაც კი არ არის ეს ბურთი ჯადოსნურიო, ჩიოდა. მერე მინაში ჩარჭობილი პატარა მეტალის დროშებით დაინტერესდა, რომლებსაც ზედ ნომრები ეწერა.

— რა საოცარია! — წამოიძახა პრინცესამ, — ჩვენთან სამეფოს დროშა სასახლის თავზე ფრიალებს და ზედ ლომი და მარტორქაა გამოსახული. თუმცა შეიძლება, ბოროტმა ჯადოქარმა ჩვენი ჩამოხსნა და თავისი საშინელი დროშა დაჰკიდა.

— რა ახატია მის დროშას? — ჰკითხა ელენმა.

— რადა, ობობა და ასფეხა. და მაინც, ის დროშაც კი სჯობია ამ სულელურ პატარა დროშებს.

— მაგრამ ამ დროშებს ხომ სხვა დანიშნულება აქვთ. თამამისთვის გვჭირდება. რათა უკეთ შევამჩნიოთ ბურთის ჩასაგდები ორმოები. — სცადა ელენმა ახსნა.

პრინცესა არ უსმენდა. იდგა და გოლფის ჯოხს ჩოგბურთის ჩოგანივით აქეთ-იქით იქნევდა.

— არა, ასე მალლა არა. ბურთი მოლზე უნდა დადო და მერე ჯოხი ჰკრა. — დაარიგა ელენმა.

— აბა, დაიძარიო. ჩვენც გვინდა თამაში. — მოესმათ ზურგს უკან, სადაც სამი ბიჭი ელოდებოდა თავის რიგს.

— მოდი, გინდა ჯერ მე ვცდი. შენ კი ყურადღებით მიყურე. ისე, იცოდე, მეც არ ვარ დიდებული მოთამაშე. — აჩქარებით მიუბრუნდა ელენი მეგობარს.

შემდეგ ფეხები განზე დაანყო. ჯოხი ჯერ უკან მოიქნია და შემდეგ კოხტად გაგზავნა ბურთი. თვითონაც გაუკვირდა, როცა დაინახა, რა ახლოს მივიდა ბურთი მიზანთან. თუ ბედი გაუღიმებდა, მეორე დარტყმით უკვე ორმოში უნდა მოეთავსებინა. კმაყოფილმა ელენმა ისიც კი გაიფიქრა, ამ მოუთმენელ ბიჭებზე ალბათ კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეო.

სარკის მზეთუნახავი რაღას აკეთებდა ამ დროს? იმის ნაცვლად, რომ თავისი ბურთისთვის მიეხედა, ელენის ბურთს გაეკიდა და როცა მიაღწია, ჯოხი მოუღერა და უკან, ელენის მიმართულებით დაარტყა. ბურთი ელენს აცდა და ერთ-ერთ მოუთმენელ ბიჭს მოხვდა.

— ხომ არ გაგიჟდი, რას აკეთებ? — დაიღრიალა ბიჭმა და მუხლზე იტაცა ხელი.

— რას და, ბურთი თავის ადგილას დავაბრუნე. ჩემი აზრით, მაგარი ნასროლი იყო! ელენმაც ვერ მოახერხა ჩემკენ გამოეტყორცნა. ასე რომ, ერთი ქულა ჩემ სასარგებლოდ!





— არა, ასე არ არის! — ელენს თავადაც გაუკვირდა, ისე დაუყვირა პრინცესას. — ნეტავი ერთხელ მაინც მომისმენდე ყურადღებით! ეს გოლფია, ჩოგბურთი კი არ არის! უნდა ეცადო, ბურთი აი იმ ორმოებში ჩაადგო!

— კარგი რა, ელენ, ბოლოს და ბოლოს, ყელში ამომივიდა! — პრინცესაც გაგულსდა და იმანაც აუნია ხმას, — უნდა მოგახსენო, რომ უკეთესი წარმოდგენა მქონდა შენზე. აბა ეს რა არის, ხან ერთ სულელურ თამაშს მათამაშებ და ხან მეორეს. თან ამ წესებსაც ისე ცვლი, როგორც შენ გსურს! არადა, იცი, რომ ახლა ჯადოსნურ ბურთს უნდა ვეძებდე.

— არა, არა ხარ მართალი. აღარ მინდა შენთან თამაში. ეს ისედაც შენი იდეა იყო.

— მე კი მეგონა, ჩემი მეგობარი იყავი, — წამოიძახა პრინცესამ. პირველად მათი ნაცნობობის მანძილზე, ელენს მოეჩვენა, რომ მის თვალებში ცრემლი შენიშნა. ვერ დაადგინა, ეს მართლა ასე იყო თუ არა, რადგან პრინცესამ გოლფის ჯოხი დაადგო და სირბილით გაემშურა დასასვენებელი ცენტრის მთავარი შესასვლელისკენ.

— ეს რა ხათაბალა ვინმე ყოფილა, — თქვა მუხლნატკენმა ბიჭმა.

მეორე ბიჭს კი ელენი შეეცოდა და შესთავაზა, თუ გინდა, ჩვენთან ითამაშეო.

— არა, იყოს. ნავალ, შევეურიდგები, — უპასუხა და თამაშის აღჭურვილობა მეთვალყურეს დაუბრუნა.

ელენი ისევ მისაღებში შევიდა და რეგისტრატორს ჰკითხა, ჩემი მეგობარი ხომ არ გინახავთო.

— მეგობარი? მე კი შენი ტყუპის ცალი მეგონა. კი, აქ იყო ერთი წუთის წინ. ცოტა განერვიულებული ჩანდა. ახლა სულ პატარების გასართობ ოთახში შევიდა.

ელენს გული დაუძიმდა. ეს ოთახი ყველაზე პატარებისთვის იყო. სანამ მათი დედიკოები და მამიკოები სპორტით ერთობოდნენ, აქ მათ შვილებს ყურადღებას აქცევდნენ და უვლიდნენ. ნეტა რა დარჩენოდა პრინცესას ამ ოთახში?

ეს მაშინვე გაარკვია, როგორც კი ოთახში შევიდა. თითქმის იმწამსვე, პატარა, მსუბუქი, ლურჯი ბურთი მოხვდა. მას მეორე, ამჯერად წითელი მოჰყვა.

პრინცესა უამრავ პატარა ბურთში ჩამჯდარიყო და თავბრულამხვევი სისწრაფით ისროდა ბურთებს. რამდენიმე ახალ ფეხადგმული ბავშვი ამ სანახაობით ისე მოიხიბლა, რომ პრინცესას მიჰბაძეს. სხვები გარშემო დარბოდნენ და პრინცესას გადმოყრილ ბურთებს აქეთ-იქით ისროდნენ. ბავშვებს ეტყობოდათ, რომ კარგად ერთობოდნენ. ცუდ დღეში მომვლელები იყვნენ. ერთი მათგანი პრინცესას ეჩხუბებოდა, მეორე კი რომელიც პატარას პამპერსს უცვლიდა, შესვლისთანავე დაეტაკა ელენს.

— შენი დაა ეს გოგო, ბურთებში რომ ზის? იქნებ შენ მაინც დაგიჯეროს და შეწყვიტოს ბურთების სროლა.

— ჩემი და არ არის, მაგრამ შევეცდები გავაგებინო, — ელენი პრინცესას მიუახლოვდა.

— როგორც იქნა! დიდება შენს გამოჩენას, ელენ! — მეგობრულად შეხვდა პრინცესა. ეტყობოდა, აღარ ახსოვდა წელანდელი წაკინკლავება. — იცი, ეს ბოროტი ჯადოქარი კიდევ უფრო ცბიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. ამკარაა, რომ ის ბურთი ამ ბურთებში შეურიდა და ჰგონია ვერ ამოვიცნობ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ვიპოვი. ეს ყვითლები გადასაყრელია, — თქვა და რამდენიმე აქეთ-იქით მოისროლა. ერთი ბურთი პატარა ბიჭის მუცელზე, პამპერსს რომ უცვლიდნენ, მსუბუქად დაემუა. პატარამ ის გახარებულმა ჩაბლუჯა და მხიარულად აჭყლოპინდა.

— იცი, რას ვფიქრობ? ჯადოსნური ბურთი ალბათ

ძირში მოჰყვა. მომიწევს ყველას ამოყრა, სანამ იმას ვიპოვი.

— მირორ-ბელ, ნუთუ ვერ ხვდები, რომ უნდა შეწყვიტო ბურთების სროლა? აქ ჩვენი ადგილი არ არის, ხომ ხედავ, საბავშვო ოთახია.

— და ვინ თქვა, რომ ასე უნდა მოვიქცე? აქ ვერც მეფეებს ვხედავ და ვერც დედოფლებს. მხოლოდ მათ აქვთ უფლება, რომ მითხრან რა როგორ გავაკეთო.

— კარგი რა, ის მაინც აღიარე, რომ მეტისმეტად დიდი ხარ აქაურობისთვის, — ელენმა აღარ იცოდა, საიდან მოევლო.

— ყოველ შემთხვევაში, მშობლების თანხმობის გარეშე ბავშვებს არ ვიტოვებთ, — დასძინა ერთ-ერთმა მომვლელმა, რომელსაც გულზე ღიმილის სიმბოლოიანი სამკერდე ნიშანი ეკეთა და ზედ სახელიც ეწერა — ტრეისი.

მირორ-ბელმა ისე შეხედა ტრეისის, თითქოს არ სჯერა, რომ ქალს კიდევ ვერ გაუგია რა ხდებაო.

— ეს შეუძლებელია! როგორ მოვლენ, როცა ჩემი მშობლები გაქვავებული არიან. წელანაც ხომ გითხარით.

ამ დროს ერთი პატარა პრინცესასთან მიხობდა და ცალ ფეხზე შემოეხვია. გართობა და თამაში უნდოდა. პრინცესამაც არ აწყენინა და კიდევ გადმოუყარა ბურთები.

სასონარკვეთილი ტრეისი ელენს მიუბრუნდა. იმედი ჰქონდა, ამას უფრო გავაგებინებო.

— სად არიან თქვენი მშობლები?

— მამაჩემი ჩოგბურთის სათამაშო დარბაზშია. მაგრამ ის მხოლოდ მამაჩემია, ჩვენ დები არ ვართ, — დაამატა საჩქაროდ.

პატარა ისევ ნიოკობდა და ახალი ბურთების გადმოყრას ლამობდა. პრინცესამ მას ამჯერად ყურადღება აღარ მიაქცია. ელენთან ჰქონდა საქმე.

— ამდენ ხანს არ უნდა გეთქვა, რომ მამაშენსაც მამაჩემივით დარბაზი აქვს ან რამდენი კარისკაცი ჰყავს?

— ეს სამეფო დარბაზი არ არის! სათამაშო დარბაზია და იქ მამაჩემი ლუკთან ერთად თამაშობს, ჩემს ძმასთან.

— ეჰ, — ნირნამხდარი ჩანდა პრინცესა. ერთი-ორი ბურთი კიდევ გადმოყარა, მაგრამ ძველებური მონდომება გამქრალყო. მერე უცებ ფეხზე შემოხვეულ პატარას სტაცა ხელი, განზე დასვა და თავადაც ამოხტა ბურთებიდან.

— როგორც ჩანს, თავიდანვე მცდარ კვალს ვადექი, — ამის თქმა და მისი გარეთ გავარდნა ერთი იყო.

რამდენიმე პატარა გამოეკიდა, ტირილი მორთეს. როდესაც ტრეისიმ კარი ჩაკეტა ყველაზე აქტიურმა პანამ ახლა ელენის ფეხი ჩაბლუჯა. თითქოს მოელოდა, რომ ახლა ელენს უნდა გაეგრძელებინა ბურთების სროლა.

— ბოდიშს გიხდით, რომ შეგანუხეთ. — უთხრა ელენმა ტრეისის.

— რას ვიზამთ, ხომ გაგიგია, ოჯახის წევრებს არ ვირჩევთ. როგორებიც გყვანან, ისეთები უნდა ავიტანოთ.

ელენმა ხელი ჩაიქნია. მიხვდა, აზრი არ ჰქონდა იმის მტკიცებას, რომ მირორ-ბელი მისი ნათესავი არ იყო. ადგა და ტრეისის მიმოფანტული ბურთების უკან ჩაყარა მიეხმარა. პატარების ტირილმა იმატა. ის უფრო ბევრად მოეწონათ, როცა მირორ-ბელი აქეთ-იქით ისროდა ბურთებს.

— ახლა კი ჯობია წავიდე, — თქვა ელენმა, როცა ბოლო ბურთი დადო თავის ადგილას. პრინცესას ამბავიც აფიქრებდა, ნეტავი სად წავიდოდაო, მაგრამ ამჯერად გადანყვიტა, აღარ მოეძებნა. ნავალ და ჩემებს მოეძებნო. როგორც კი გავიდა, დერეფანში დახვდა ორივე.

— აი, თურმე სად იმალები, — უთხრა მამამ.



— უკან დაგვიბრუნე, — ლუკი გაბრაზებული ჩანდა.

— არ მესმის, რა გინდათ.

— ვერ ხვდები, ხომ? ჩვენს ბურთზე გელაპარაკები. ის ყვითელი ყველაზე კარგი იყო.

— მე რომ არ მაქვს?

— აბა, რა უყავი?

— არაფერიც არ ვუყავი, რადგან არც მქონია.

— როგორ არა! შენ არ იყავი რომ შემოვარდი და ნაგვართი?

— არა, ეგ მე არ ვიყავი. ეს ნამდვილად პრინცესა მირორ-ბელი იქნებოდა. იცით, ის იმ ჯადოსნურ ბურთს ეძებდა, რომელიც მისმა ჯადოქარმა ნათლიამ მოისროლა და...

— კარგი, რა. მოკეტე, — ახლა მამას მიუბრუნდა ლუკი, — როგორ უყვარს ყველაფრის გაზვიადება!

მამა კი არაჩვეულებრივად კარგ ხასიათზე იყო.

— ელენს უბრალოდ წარმოსახვის საოცარი უნარი აქვს. თანაც, ეგ ბურთი ჩვენი ხომ არ იყო. რომ შევედით სათამაშოდ, იქ დაგვხვდა.

— ვიცი, სადღაც საბავშვო სპორტდარბაზში დამალა. თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ დავინახე, როგორ შევიდა იქ, — არ უნდოდა ფარხმალის დაყრა ლუკს.

ელენი მიხვდა, რომ პრინცესა სპორტდარბაზში გაქცეულიყო. ნეტა მართლა ჯადოსნური ბურთი ხომ არ იპოვა? ასე იყო თუ ისე, სპორტდარბაზის რომელიმე სარკიდან უკვე გადასული იქნებოდა თავის სამეფოში ბურთთან ერთად. მაგრამ გოგონა ხვდებოდა, რომ ამის თქმა სწორი არ იქნებოდა. ეს კიდევ უფრო გააბრაზებდა ლუკს. ასე რომ, საუბრის თემა შეცვალა.

— ჰო, მართლა, ვინ მოიგო თამაში?

ლუკს სახე მოელუშა. ეჰ, ეტყობა, ესეც არ უნდა ეკითხა ელენს.

— მე! — თქვა მამამ მხიარულად.

თავი მესამე

ზღვის ურჩხულის გამოქვაბული

გეყოფა, რა არის ამდენი თამაში, — მოუთმენლობა დაეტყო ელენს. მისი უფროსი ძმა კი კიდევ ერთ მონეტას აგდებდა, თავის საყვარელ, სათამაშო მანქანაში.

— როგორ ფიქრობ, მოენონებათ ბებიასა და პაპას, თუ მთელ იმათ ნაჩუქარ ფულს ამ სისულელეზე გაფლანგავ?

— სულაც არ ვფლანგავ. აი, ნახე, თუ არ მოვიგებ!

ერთიანად დაძაბულ ლუკს სახე უბრწყინავდა.

— ვერ ხედავ, სულ ცოტაც და ეს მონეტების გროვა დაბლა ჩამოცვივა და მთელს მე მოვიგებ! აი, ნახავ, შემდეგ ცდაზე თუ არ მოვიგო!

მაგრამ ვერ მოიგო, ვერც შემდეგზე და ვერც იმის შემდეგზე.

უკვე ერთი კვირა იყო, რაც ელენი და ლუკი ბებიასა და პაპასთან ერთად ზღვისპირას ისვენებდნენ. მოხუცები ახლა ნავით სეირნობდნენ; ბავშვებსაც არ დასწყვიტეს გული, თითოს ათ-ათი გირვანქა მისცეს, რაც მოგენონებათ, იყიდეთო.

— დავიღალე, აღარ შემიძლია ამდენი ლოდინი, სულ შენ დაგდევი კუდში. თუ აქ ამდენ ხანს დარჩები, მალაზიისთვის დრო საერთოდ აღარ დამრჩება. არ დაგავინცდეს, ამ საღამოს სადღაც მიგყავართ, ხვალ კი შინ ვბრუნდებით, — წუწუნებდა ელენი.

— მოდი, იცი რა ვქნათ? ნადი შენ სადაც გინდა და ერთ საათში აქ შევხვდეთ. — შესთავაზა ლუკმა. ელენი მაშინვე დათანხმდა, თუმცა იცოდა, რომ ძმას მარტო არსად უნდა გაეშვა.

სანაპიროზე ორი საჩუქრების მალაზია იყო. ელენი ერთგან შევიდა, ბრწყვილა კალმების მთელი შეკვრა და ბლოკნოტი იყიდა. ბლოკნოტზე მომდომარი სელაპი ესხატა წარწერით: „საუკეთესო სურვილებით“. ფული საღაროსთან გადაიხადა და ნავაჭრი ზურგჩანთაში ჩაალაგა, სადაც მზისგან დამცავი კრემიც ელო.

ექვსი გირვანქა კიდე დარჩენოდა და აბა გამოიცანით, რა ქნა? რა თქმა უნდა, მეორე მალაზიაში შევიდა. იქ ათასნაირი სუვენირი იყიდებოდა. თვალი დაგრჩებოდათ თევზების, კიბორჩხალებისა თუ ზღვის ცხენების დეკორატიულ ფიგურებზე. აქვე ნახავდით გაკრიალებული ნიჭარებით მოპირკეთებულ პატარა ზარდახშებს. მეტისმეტი სიძვირე იყო, მაგრამ ელენს მარტო თვალიერებაც ძალიან სიამოვნებდა. ერთ კუთხეში მშვენიერ სარკეს მიაგნო. ჩარჩო მოვარაყებული ჰქონდა ნიჭარებითა და ქალთევზას რელიეფური გამოსახულებით. თითქმის ათი გირვანქა ღირდა. როგორ ინანა ელენმა, ნეტა პირველ მალაზიაში არაფერი მეყიდაო. ფიქრობდა, ხომ არ დავაბრუნო ნაციდი ნივთები უკანო, რომ სარკის უკან ხმა გაისმა:

— ეს შენა ხარ? ძლივს არ გიცანი ამ ჭორფლებში?

— მირორ-ბელ! — ელენს ძალიან გაუხარდა მისი ხმის გაგონება. მთელი არდადეგები არ ენახა თავისი მეგობარი. თუმცა გრძნობდა, რომ სადაც მირორ-ბელი იყო, ხიფათიც იქვე იყო.

— შენც ბლომადა გაქვს ჭორფლი! — მიუგო ელენმა.

— რა გჭირს, ელენ! ესენი ხომ ხალებია! — უპასუხა პრინცესამ და სარკიდან, როგორც წყლიდან, ისე ამოყვინთა. თავდაყირა გადმოვიდა, ხელებზე იდგა და ფეხები ჰაერში ჰქონდა აშვერილი.

მალაზიის გამყიდველი ეტყობა ხმაურმა დააეჭვა. მიატოვა კლიენტი და წარბშეკრული გამოაემართა გოგოებისკენ.

— აქ თავდაყირა სიარული არ შეიძლება. ვაითუ, რაღაც გაგიტყდეთ!

— ეს თავდაყირა კი არ იყო, არამედ ჩაყვინთვა ვცადე. აქ გარშემო იმდენი ზღვის არსებაა, რომ ძალაუნებურად ჩაყვინთვა მომიხდა. თავგზა აებნევა კაცს თქვენს მალაზიაში. სხვასაც რომ იგივე სურვილი არ გაუჩნდეს, გირჩევთ ესენი აალაგოთ თაროებიდან და ნაცვლად ხმელეთის ბინადარნი გამოფინოთ.

— იქნებ ნახვიდე და ზღვის სანაპიროზე ითამაშო? — არ დაიშურა რჩევა გამყიდველმაც.

— რაღაც „თქვენი უდიდებულესობა“ ვერ შემომესმა. თუმცა კარგი იდეა მომანოდეთ, ამიტომ ამჯერად მიპატიებია. ნავედით, ელენ.

ელენმა „ბოდიშო“ ჩაულაპარაკა გამყიდველს და მირორ-ბელს გაჰყვა. სანაპიროზე გავიდნენ. სამი ბავშვი ქვიშაში თამაშობდა. მირორ-ბელი მათთან მივიდა.

— ძალიან მეეჭვება, აქ რაიმე საგანძური იპოვოთ. ზღვის ურჩხულმა ის ალბათ გამოქვაბულში დამალა და ეტყობა, ძალიან ფხიზლადაც დარაჯობს, — პირდაპირ მიახალა ბავშვებს. იმათ პასუხად ვერაფერი უთხრეს. მხოლოდ გაოცებულები უყურებდნენ.

— ისინი საგანძურს კი არ ეძებენ, ქვიშის კოშკს აშენებენ, — უთხრა მირორ-ბელს ელენმა.

— რა სისულელეა! როგორ შეიძლება ქვიშისგან კოშკის აშენება? ეს მაინც ვიცი, თავადაც ხომ კოშკში ვცხოვრობ.

— მე კი მეგონა, სასახლეში ცხოვრობდი.

— ეგ ზამთარში. ზაფხულში კი ზღვისპირა კოშკში ვცხოვრობთ. ის თეთრი ხალასი მარმარილოთია აგებული და სპილოს ძვლის ქონგურები ამშვენებს, — მირორ-ბელი ბავშვებს მიუბრუნდა, — ზღვასთან ასე ახლოს მაინც არ გირჩევთ მშენებლობას. ვერ ხვდებით, რომ ზღვის მოქცევისას ტალღები დაანგრევენ?

— მერე რა, ჩვენ მაშინ უკვე სახლებში ვიქნებით, — თქვა ერთმა ბავშვმა.





— რაო, რაო? კოშკი გინდათ ააშენოთ და იქ ცხოვრებას არ აპირებთ? — მირორ-ბელმა თავი დანანებით გაიქნია და ელენს მიუბრუნდა, — ჯობია, ნავიდეთ აქედან, ამ სანყლებს არაფერი ეშველებათ.

— ნიჟარები ხომ არ მოვქებნოთ? — შესთავაზა ელენმა. სანაპიროს მიუყვებოდნენ. ერთ მხარეს ზღვა იყო, მეორე მხარეს საჩრდილობელი ქოლგების მწკრივი.

მირორ-ბელს პასუხი არ გაუცია. უცბად არც აცხელა, არც აცია და უახლოეს ქოლგასთან მხედრული ნაბიჯებით გაემართა. ქოლგის ქვეშ ქალი და კაცი თვლემდნენ.

— ნება მიბოძეთ, — განაცხადა. შემდეგ დამსვენებლებს გადააბიჯა და ქოლგა დაქცა.

— ეი, რას აკეთებ? — წამოჯდა ქალი.

— რას ჰგავს თქვენი საქციელი? არ წვიმს, თქვენ კი ქოლგა ტყუილად გაქვთ გაშლილი.

— აბა, მოუსვი აქედან, — კაცი უკვე ფეხზე იყო.

— მოუსვი რა სათქმელია, მე პრინცესა გახლავართ!

— აღშფოთდა მირორ-ბელი.

ელენმა მკლავზე მოქაჩა მეგობარს. მირორ-ბელიც დაემორჩილა და გაჰყვა, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა, რომ ხმამაღლა არ ეთქვა:

— ნეტა გამაგებინა, ეს სანაპირო საგანგებოდ სულელებისთვის ხომ არ არის განკუთვნილი.

— სულელები სულაც არ არიან, — დატუქსა ელენმა, როცა უკვე ცოტა მოშორებით იყვნენ, — უბრალოდ, მზისგან რომ არ დაინვან, ქოლგას ეფარებიან. სწორედ დროზე გამახსენდა. მზისგან დამცავი კრემი უნდა წავისვა, — ელენმა ჩანთა გახსნა და პატარა ბოთლი ამოიღო.

— აი ეს მზისგან კარგად დამიცავს, — ელენმა შეამჩნია, რომ პრინცესასაც ზუსტად მისნაირი ჩანთა ჰქონდა, — შენც ხომ არ გაქვს ჩანთაში მზისგან დამცავი კრემი?

— ზუსტად მასეთი არა, — მიუგო მირორ-ბელმა და ჩანთა გახსნა. ელენმა მეგობრის ჩანთაში ჩაიჭყიტა ისეთივე ბრჭყვიალა კალმები და ბლოკნოტი დაინახა, თვითონ რომ იყიდა ცოტა ხნის წინ.

— ეს მე ზღვის ურჩხულებისგან დამიცავს, — მირორ-ბელმა კრემი კისერსა და მკლავებზე წაითხაპნა.

— არა მგონია, აქ ზღვის ურჩხულების არ უნდა გვეშინოდეს, — გაეცინა ელენს.

— შენს ადგილას ასეთი დარწმუნებული არ ვიქნებოდი, — იღუმალი ხმით უთხრა პრინცესამ. თვალები მოჭყუტა და ზღვას გახედა. — ახლა არ ჩანან, თუმცა რამდენიმე შეუხედავ ქალთევზას კი ვხედავ აი, იმ კლდეზე. კუდები, არა უშავს, როგორც წესია ისეთი აქვთ. მაგრამ თმა? რატომ არა აქვთ გრძელი, ოქროსფერი თმა?

ელენმაც გაიხედა და სიცილი აუტყდა.

— ეგენი ქალთევზები როდი არიან. სელაპები ვერ იცანი?

— ქალთევზები მაინც სულ სხვაა. არასოდეს მოგბეზრდება მათი ყურება. ჩვენი ზღვისპირა კოშკის გარშემო კლდეები სულ ქალთევზებითაა მოფენილი.

— არ თამაშობ მათთან? — ჰკითხა ელენმა, თუმცა დიდად არ სჯეროდა მირორ-ბელის ნათქვამის.

— ხანდახან. მაგრამ მათთან კარგად ვერ გაერთობი. სულ თმის ვარცხნაში არიან, — მირორ-ბელი წამით შეყოვნდა და მერე დასძინა, — ერთმა მათგანმა დაბადების დღეზე ჯადოსნური სავარცხელი მაჩუქა.

— რითი იყო ეგ სავარცხელი ჯადოსნური? — ჰკითხა ელენმა.

— როგორ ვარცხნილობასაც ინებებდი, ისე დაგვარცხნიდა თმას. ფერსაც სურვილისამებრ შეგიცვლიდა. ერთხელ მენამული ფერის კულულები მქონდა, ფეხის კოჭებამდე მწვდებოდა.

— კიდევ გაქვს ის სავარცხელი?

— კარგი რა, ელენ. რა ამბავია ამდენი შეკითხვა?

კარგი, თუ ძალიან გაინტერესებს, გეტყვი, რომ ზღვის ურჩხულმა მომპარა ის სავარცხელი.

— მაშ, ზღვის ურჩხულები თმისგან არიან?

— რასაკვირველია. რას წარმოვიდგენდი, რომ შენ ეს არ გეცოდინებოდა.

გოგონები სანაპიროს ბოლომდე გავიდნენ. იქ უკვე უშველებელი ქვები ეყარა და ხალხიც უფრო ცოტა იყო. ზღვიდან გამოირიყული წყალმცენარეებით მძივები გააკეთეს და ერთი გვირგვინიც მირორ-ბელისთვის.

— რა ცუდია, რომ შენც ჩემსავით გვირგვინს ვერ დაიდგამ. თუ გინდა, რომ შენც პრინცესა გახდე, ერთადერთი გზა არსებობს: პრინცს უნდა გაჰყვე ცოლად.

გზა განაგრძეს. ამ სიშორეზე ელენი ნამყოფი არ იყო. სანაპირო ზოლს მიუყვებოდნენ და ახლა უფრო და უფრო დიდ ლოდებზე უწევდათ გადახობება. პატარა ყურეს მიაღწენ. პრინცესამ მეორე მხარეს მიანიშნა.

— შეხედე, აი იმ კლდის ქვეშ შესასვლელს ხედავ? ეგ გამოქვაბულში შედის. ნეტავი მანდ ბინადრობს ზღვის ურჩხული? ხომ არ გინდა ჩემი დამცავი კრემი გინილადო?

— კარგი, მომეცი, — არ ვანყენინოო, უარი ვერ უთხრა მეგობარს. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ზღვის ურჩხულები არ არსებობდნენ. იქნებ მირორ-ბელის სამეფოში იყო ერთი-ორი, მაგრამ აქ, ამ სანაპიროზე მათი არსებობა ნამდვილად არ სჯეროდა ელენს.

გამოქვაბული ცარიელი და ერთი ბენო აღმოჩნდა. იმედი გაუცრუვდათ, როცა ვერაფერი ნახეს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კონსერვის ქილას და ლიმონათის ბოთლს.

— ზღვის ურჩხულის არავითარი კვალი არ არის, — ჩაილაპარაკა ელენმა.

— როგორ არა! შეხედე ამ ბოთლს! — პრინცესა ალტაცებული დაჰყურებდა ლიმონათის ცარიელ ბოთლს. — არ იცი, რომ ლიმონათი ძალიან უყვართ? თუ არ დალიეს, ლორწოვანი კანი აღარ ექნებათ!

— აკი თმით არიან დაფარულებიო? — შეეპასუხა ელენი.

პრინცესას პასუხი არ გაუცია. ვერ მიხვდებოდი, პასუხს აარიდა თავი თუ მართლა ვერ გაიგო შეკითხვა. გამოქვაბულის კედელზე რალაც წარწერებს აკვირდებოდა მთელი გულისყურით. ელენიც მიუახლოვდა და ნახა, რომ უამრავ ადამიანს თავიანთი სახელები ამოეჭრათ კედელზე.

— ერთი ამას შეხედე! — პრინცესამ დაკლაკნილ ასოებზე მიუთითა. ასე ეწერა: ს. ყუთი 1. 8. 0. 1.

— ეს რაღაა? — ჰკითხა ელენმა.

— ვერ ხედავ? ეს მინიშნებაა. ასო „ს“ „საგანძურს“ უნდა ნიშნავდეს.

— მე კი ვფიქრობ, რომ „ს“ „სალის“ ან „სემს“ ნიშნავს, — შეეპასუხა ელენი.

— იმ სანყალს უკუღმა დაუნერია, — პრინცესა მირორ-ბელმა ყური არ ათხოვა ელენის ნათქვამს, — მაგრამ მაგათგან არ უნდა გაგიკვირდეს! დიდი განათლებით არ გამოირჩევიან! მაგას არა უშავს, მაგრამ ერთი ამ ციფრებს შეხედე, ელენ! ეს ძალიან საყურადღებოა. საგანძურის ყუთის ადგილმდებარეობაზე მიგვანიშნებენ.

— მე კი ვფიქრობ, რომ ეს ციფრები უბრალოდ თარიღს აღნიშნავენ. 2001 წლის პირველი აგვისტოა, ანუ დღე, როცა ეს წარწერა გაკეთდა.

— არაფერი მაგის მსგავსი! — დამცინავად ჩაიქირქილა პრინცესამ, — ეს წარწერა იმას გვეუბნება, რომ ერთი ნაბიჯი ერთი მიმართულებით უნდა გადავდგათ, მერე რვა ნაბიჯი სხვა მიმართულებით და იმ ადგილას ერთი ფუტის სიღრმეზე მინა უნდა ამოვთხაროთ.

ელენი წარბშეჭმუნილი და დაეჭვებული



უსმენდა. ეს პირველად როდი იყო, რომ მირორ-ბელი ასე გატაცებით საუბრობდა განძეულზე. გაახსენდა მეგობრის მონაყოლი ძაღლზე, რომელსაც „პრინცი ძვირფასი თათი“ ერქვა და მირორ-ბელის თქმით, ყნოსვით აგნებდა ოქროსა და თვალ-მარგალიტებს, მაგრამ ჯერჯერობით თავი ვერ ესახელებინა.

— ცხვირ-პირი ნუ ჩამოგტირის, ელენ! შენ კიდევ უფრო მეტად უნდა გიხაროდეს, ვიდრე მე! მე ისედაც წარმოუდგენლად მდიდარი ვარ! მაგრამ ერთი ნუთით დაფიქრდი, ეს საგანძური როგორ შეცვლის შენს ცხოვრებას!

ამან ელენს ლუკი და სათამაშო აპარატები გაახსენა.

— მიშველე! ჩემი წასვლის დროა. ლუკი ინერვიულებს და თანაც ბებია და პაპაც უკვე დაბრუნდებოდნენ. არ მოდიხარ?

— რა თქმა უნდა, არა! ნუთუ ასეთ შანსს ხელიდან გავუშვებ? ახლა სწორედ შესაფერისი დროა საგანძური მოვძებნო, როცა მას ზღვის ურჩხული არ დარაჯობს!

— იცოდე, ფრთხილად იყავი, მირორ-ბელ! — თქვა ელენმა და მერე თავისი თავი გაკიცხა, ზღვის მონსტრები სინამდვილეში ხომ არ არსებობენ.

— ჩემი დარდი ნუ გექნება. ხომ არ დაგავინყდა, დამცავი კრემი მისვია. მაგრამ იცი რა მაცოცხლებს, ამოდენა საქმე მე როგორ შემომატოვებ! დაფიქრდი, შეიძლება ჯადოსნური სავარცხელიც იყოს დამალული საგანძურთან ერთად. ხომ გინდა, რომ გქონდეს ასეთი სავარცხელი?

მაგრამ ელენის დაყოლიება შეუძლებელი აღმოჩნდა. რაკი თქვა, გააკეთა კიდევ. გადახობდა ისევ ლოდებზე და სანაპიროს გაუყვა აჩქარებული ნაბიჯებით. როცა დათქმულ ადგილას მიაღწია, დაინახა, რომ ლუკი მოუთმენლად სცემდა ბოლთას სათამაშო აპარატების წინ.

— მადლობა ღმერთს, გამოჩნდი. რომ დაკარგულიყავი, უფროსები წამდვილად გადაირეოდნენ.

— მაპატიე, რომ გალოდინე. მირორ-ბელი შემხვდა და დრო როგორ გავიდა, ვერ შევამჩნიე.

— კარგი რა, გაჩუმდი მაინც. არ მოგებრდა არარსებულ ვილაცას გადააბრალო შენი ცუდი საქციელი? — არ ცხრებოდა ლუკი.

ელენი კი მიხვდა, რომ მაინცდამაინც შასაფერისი დრო არ იყო, გამოეკითხა მოიგო თუ არა რაიმე სათამაშო აპარატით. თუმცა ლუკის გამომეტყველება იმაზე მიუთითებდა, რომ არ გაუმართლა.

ნაშუადღევს ბებია და პაპამ ბავშვები ჩიტების ნაკრძალში წაიყვანეს. შემდეგ კი, შინ რომ ბრუნდებოდნენ, კაფეში შეიარეს და იქ ივანშემეს.

— რაღაც ძალიან წყნარად ხარ, ჩემო პატარა, — მოეფერა ბებია ელენს.

— გადაიღალა, — დაასკვნა პაპამ.

სიმართლე კი ის იყო, რომ ელენს მეგობარზე ფიქრი არ შორდებოდა. თავს არწმუნებდა, კარგად იქნებო. ნეტა ისევ გამოქვაბულშია თუ თავის სამყაროში დაბრუნდაო. ელენი თითქოს მოელოდა, რომ ბანაკში დაბრუნებულს მირორ-ბელი იქ დახვდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

— ადრე დავიძინოთ, რომ ადრე ადგომა არ გავგიჭირდეს. წინ დიდი გზა გვაქვს, — განაცხადა ბებია, როცა ერთი ხელი ბანქოს თამაში დაამთავრეს. საღამოობით ყოველთვის თამაშობდნენ ხოლმე.

მაგრამ ელენის თვალებს რული არ ეკარებოდა. უსმენდა მოხუცების მშვიდ ფშვინვას და მირორ-ბელზე დარდი არ ასვენებდა. როგორ უნდოდა ვინმესთან საუბარი! ლუკის ნახვა გადაწყვიტა, რომელსაც კარავში ეძინა ხოლმე. ქურთუკი მოისხა და უხმაუროდ

გავიდა გარეთ. თითქმის სავესე მთვარე ანათებდა ღამის მონმენდილ ცაზე.

— ლუკ! — დაიძახა ხმადაბლა. შემდეგ ძმის კარავი ცოტაზე გაალო და ისევ დაიძახა. პასუხი არ იყო. იცოდა, გაღვიძებისთვის ძმა კარგ დღეს არ დააყრიდა. ამიტომ უკან დაბრუნდა. მაგრამ შინ შესვლის ნაცვლად, სანაპიროსკენ წავიდა, თითქოს ფეხებს თავად მიჰყავდათ, თვითონაც გაუკვირდა, ისე მივიდა თავიანთ პატარა ნავთან.

ელენი ზღვას გაჰყურებდა. შორს ჩანდა ის კლდეები, სადაც ამ დილით ის და მირორ-ბელი გამოქვაბულისკენ მიხობავდნენ. ახლა მოქცევა მაღალი იყო და ის დიდი ლოდები სანახევროდ მოჩანდა. ის ყურე კი, სადაც გამოქვაბული უნდა ყოფილიყო, მიუვალი ჩანდა მაღალი მოქცევის გამო. თუ მირორ-ბელი ჯერ ისევ გამოქვაბულში იყო, მაშინ ეს იმას ნიშნავდა, რომ იქიდან გამოსვლას ჯერჯერობით ვერ შესძლებდა. თან არც სარკე იყო იქ, რომ იმის დახმარებით დაეღწია თავი იქაურობისთვის.

ზღვიდან ნიავმა დაუბერა და ელენს გააჟრჟოლა. მეგობარზე ფიქრობდა. არც ქურთუკი აქვს მირორ-ბელს რომ თბილად იყოს. ან რას შეჭამდა გამოქვაბულში. თანაც თუ ზღვის ურჩხულების მართლა სჯეროდა, მაშინ რა დაზაფრული იქნებოდა. დაზაფრული, გაყინული და მშიერი!

უცბად ელენმა შენიშნა, რომ ტალღებზე რაღაც ტივტივებდა. ლიმონათის პლასტმასის ბოთლი აღმოჩნდა, რომელშიც! აშკარად რაღაც იდო. ეს კი უდავოდ ქალაქის ნაგლეჯი იყო!

გოგონამ პიჟამის ტოტები აიკეცა, ცივ წყალში შეაბიჯა და ბოთლს მისწვდა. მაშინვე მოხსნა სახურავი და რა თქმა უნდა, ბოთლში დაგორგლილი ქალაქი იდო! როდესაც ელენმა წერილი გაშალა და ბრჭყვიალა კალმით უკულმა ნაწერი დაინახა, მაშინვე მიხვდა, ვისგანაც იყო! აი რა ეწერა წერილში:

„მიშველეთ! ზღვის ურჩხულის გამოქვაბულში ვარ გამომწყვდეული! მხოლოდ მამაცი უფლისწული თუ გადამარჩენს! ჯილდოდ მიიღებს მამაჩემის სამეფოს ნახევარს და როცა სრულწლოვანი გავხდები, ჩემზე შესძლებს დაქორწინებას!

გკოცნით ბევრს,
პრინცესა მირორ-ბელი.“

— აი, გამოჩნდა! იქ არის! — დაიძახა ელენმა და კლდისკენ მიუთითა.

— ჯობია, რომ ეს რაიმე ხრიკი არ იყოს, — მიუგო ლუკმა, რომელიც გამალებული უსვამდა ნიჩაბს.

ელენის გასახარად, ბევრად უფრო ადვილი აღმოჩნდა ლუკის გაღვიძებაცა და დათანხმებაც, ვიდრე ეს წარმოედგინა. ლუკს ყოველთვის იტაცებდა თავგადასავლები და თუმცა მირორ-ბელის არსებობა ადრე არ სჯეროდა, ამ უკულმა დანერვილმა წერილმა დის მონათხრობში დაარწმუნა.

ზღვა მშვიდი იყო და მთვარე ნათელი. ასე რომ, სულაც არ გასჭირვებიათ იმ ყურემდე მიღწევა. ელენმა შვებით ამოისუნთქა, როცა შეამჩნია, რომ გამოქვაბულის წინ ქვიშის ზოლი დარჩენილიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოქვაბული დატბორილი არ იყო.

— შეხედე! — აღელვებული ელენი ადგილიდან ნამოხტა და ძმას გამოქვაბულისკენ მიანიშნა.

— დაჯექი, თორემ ნავი გადაბრუნდება! — ლუკი გამოქვაბულისკენ ზურგმექცეული იჯდა და ვერ ხედავდა რაზე მიანიშნებდა ელენი. გამოქვაბულის წინ მკრთალად მოჩანდა მირორ-ბელი.





— მირორ-ბეველ! — დაუძახა ელენმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

სულ რამდენიმე წუთიც და მირორ-ბელი უკვე ნავში იყო.

— სალამი, ელენ! — შემდეგ ლუკს მიუბრუნდა, — ჩემო უფლისწულო! ჩემო რაინდო!

— ის უფლისწული არ არის! ჩემი ძმია! — უთხრა ელენმა.

— მერე რა! როგორც კი ცოლად შემირთავს, უფლისწული გახდება! ასე არ არის, ჩემო მამაცო მხსნელო? — მირორ-ბელმა ლუკს ხელები შემოხვია, იმან კი მოუქნელად დააღწია თავი მის ხელებს. ამ დიდგილაობაში მირორ-ბელს წყალმცენარეებისგან გაკეთებული მძივი მოსძვრა და ლუკს მიენება. ბიჭმა მოიძრო და ზღვაში გადაუძახა.

— აბა, დანყნარდით ახლა, გოგოებო, — ლუკმა ნიჩბები მოიმარჯვა.

— რა საწყენია, რომ ზღვის ურჩხულის მოკვლის საშუალება არ მოგეცა! ნარმოდგენა არა მაქვს, სად შეიძლება გამქრალიყო! — უთხრა ლუკს მირორ-ბელმა.

როგორ უკვირდა ელენს, რომ მირორ-ბელს ამდენი დავიდარაბის შემდეგ ძველებური შემართება არ დაჰკარგვოდა. ისევ მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდა.

— იპოვე საგანძობი? — ვერ მოითმინა და ჰკითხა.

— მამაჩემის სამეფოს რომელ ნაწილს ისურვებ? — როგორც ჩანდა, მირორ-ბელს მხოლოდ ლუკთან სურდა საუბარი, — ერთი ნახევარი სულ მთებითაა დაფარული, მეორეში კი უამრავი ღრმა ტბაა.

ლუკმა არაფერი უპასუხა. მაგრამ ეს მირორ-ბელს შეაჩერებდა? ნავის ძირიდან ლიმონათის ბოთლი აიღო, რომელშიც მისი წერილი იდო და განაგრძო, — მამაჩემმა შეიძლება ერთი-ორი კითხვა დამისვას შენ შესახებ, მაგრამ აი ეს ბოთლი შენს თავდადებაში ყველაზე კარგად დაარწმუნებს.

ელენს ამდენის მოთმენა უკვე აღარ შეეძლო.

— სულაც მე არ ვიპოვე ეგ ბოთლი? ლუკი სად იყო მაშინ. ან რაც მე შენზე ვინერვიულე, ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს შენთვის?

მაგრამ მირორ-ბელის გონება მთლიანად საქორწილო სამზადისით იყო დაკავებული.

— ჩემი ვარაუდით, ათი წლით მოგვინვეს მოცდა. მანამდე შენ დროს ნუ დაკარგავ და უფლისწულს როგორც შეეფერება, ისე მოემზადე. მაგალითად, უნდა იცოდე, როგორ ინადირო დრაკონებზე და როგორ მოჰკვეთო თავი ტროლებს*. როგორ გირჩევენია, აქ მოემზადები თუ ჩემს სასახლეში წამოხვალ და იქ გაივლი შესაფერის წვრთნას?

— ამ წუთას მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ნაპირს მშვიდობიანად მივალწიოთ, — ელენმა ხმაზე შეატყყო ძმას, რა უხერხულად გრძნობდა თავს.

— ლუკს არ უნდა ახლა დაქორწინება. თავისი ბენდის გარდა ამჟამად არაფერი აინტერესებს, — სცადა მეგობრისთვის აეხსნა.

— მერე რა, ეგ ხელს არ შეგვიშლის. ლუკს შეუძლია ბენდი უფლისწულებისგან შექმნას. ახლავე სახელსაც მოვიფიქრებ. მაგ. „დრაკონთა გამჟღეტნი“ ან „პრინცესების მაშველები“ ან სულაც „სიმპათიური რაინდები“. ლუკ, რას იტყვი, ოქროს გიტარაზე დაკვრა არ გინდა?

— ეს ყველაფერი მეჩვენება თუ ცხადში ხდება? — თავისთვის ჩაიბუტბუტა დაბნეულმა ლუკმა.

მაღე ნაპირსაც მიადგინეს. მირორ-ბელმა კიდევ ერთხელ სცადა გადახვეოდა ლუკს, მაგრამ ბიჭი ამჯერადაც გაუსხლტა.

— გინდა ჩვენთან დაიძინე. ოღონდ იცოდე, ჩემად უნდა იყო, რომ ბებია და პაპა არ გავალვიძოთ, — შესთავაზა ელენმა მირორ-ბელს.

*სკანდინავიურ მითოლოგიაში: საშინელი შესახედაობის გოლიათები.

მირორ-ბელს ეს იდეა არ მოეწონა.

— მირჩევენია ვარსკვლავების ქვეშ დავიძინო. ასე ჩემი რაინდის კარავსაც ვუდარაჯებ. უცბად ზღვის ურჩხული რომ გამოჩნდეს შურის საძიებლად, ხომ უნდა მზად ვიყოთ.

— მაშინ აიღე ეს ჩემი ქურთუკი, თორემ შეგცივა, — უთხრა ელენმა.

ლუკმაც როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით შესთავაზა, გარეთ მე დავიძინებ, კარავი შენთვის დამითმიაო. მაგრამ მირორ-ბელი სასტიკ უარზე იდგა.

— შენ უკვე საკმარისად გამოიჩინე თავი, ახლა ჩემი გამირობის დროა.

— ჩაი გაგიცივდა, უკვე ხუთჯერ მაინც ვცადა შენი გაღვიძება, — უთხრა ბებია დილით ელენს.

გოგონა ლოგინში წამოჯდა და დაინახა, რომ ბებიას მისი ქურთუკი ეჭირა ხელში.

— გარეთ მიწაზე ეგდო, ამ დილით ვნახე.

— მირორ-ბელიც იქ იყო? იცი, ვარსკვლავების ქვეშ აპირებდა ძილს, — თქვა აღელვებულმა ელენმა.

— მე მგონი, ისევ სანახევროდ გძინავს, — ჩაიცინა ბებია.

— ესეც ასე, — პაპა ხელების ფშვნეტით შემოვიდა, — ნავის ამბავიც მოვაგვარე. შენი ძმის იმედი მქონდა, მომეხმარება-მეთქი, მაგრამ რად გინდა, იმას ახლა ათი ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს.

— რას იტყვი, ელენ, აქ ხომ არ დავტოვოთ ლუკი? — იხუმრა ბებია.

ელენს ახლა ლუკის დარდი არ ჰქონდა. მეგობრის ბედი უფრო აღელვებდა. როგორც კი ჩაიცვა, გარეთ გავიდა. ზუსტად ამ დროს ლუკიც გამოიზღაზნა თავისი კარვიდან. თვალები ამღვრეული ჰქონდა უძილობისგან.

— ეტყობა, მირორ-ბელი წასულა, — უთხრა ელენმა.

წამით ლუკმა უაზროდ შეხედა, მერე თავი მოიფხანა და დაფიქრდა.

— რა უცნაურია, მირორ-ბელი დამესიზმრა. ვითომ ბოთლი გვქონდა წერილით და უნდა გვეშველა მისთვის.

— ეს სიზმარი არ ყოფილა! ეს ცხადში მოხდა! ახლავე გირჩენებ ბოთლსაც და წერილსაც! — აღშფოთდა ელენი. მერე კი გაახსენდა, რომ ორივე პრინცესამ წაიღო.

— შუადღე მშვიდობისა, ჩემო ბატონო, — პაპაც გამოვიდა გარეთ. თუმცა ელენმა იცოდა, რომ ჯერ მხოლოდ ათის ნახევარი იყო. — დროა, შენი კარვის დამლა დაინყო. სხვა ყველაფერი უკვე ჩალაგებულია.

პაპამ სიყვარულით შეავლო თვალი თავიანთ სამგზავრო ვაგონს და უცებ რაღაც არ მოეწონა.

— რა არის, რა მოხდა? — ჰკითხა ლუკმა.

— ვილაცას გვერდითა სარკე უწვალეხია. ნახეთ, როგორ არის გადაღრეცილი. ძალიან უცნაურია, ვის რაში დასჭირდა, ან ეს რაღაა? — ლაპარაკობდა და თან ასწორებდა.

— რა არის? — იკითხა ელენმა.

— გარშემო სულ წყალმცენარეები აქვს შემოხვეული, — მიუგო პაპამ.

*ინგლისურიდან თარგმნა
ნილო ქამუკაშვილმა*

(დასასრული შემდეგ ნომერში)





ნინო ტარყაშვილი

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია?

ყოველი დიდებული ნაწარმოები თავისი ეპოქის ბეჭდითაა დაბეჭდილი და ბუნებრივია, გამონაკლისი არც „ვეფხისტყაოსანია“. გასაოცარი ისაა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ერთის მაგივრად ორი საქართველოა წარმოდგენილი არაბეთისა და ინდოეთის სახით. არაბეთისა და ინდოეთის მეფეებს, ორთავეს, ძეების ნაცვლად მხოლოდმობილი ასულები ჰყავთ. რუსთველოლოგები იმაშიც თანხმდებიან, რომ, როგორც არაბი თინათინის, ისე, ინდოელი ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახის ქვეშ მეფე თამარი მოიხაზრება. პოემაში თამარ მეფე-დედოფლის შეფარვით ქებას გენიალური რუსთველი პოემის პროლოგშივე გვიდასტურებს: „მისი (თამარის-ნ.ტ.) სახელი შეფარვით, ქვემოთ მითქვამს, მიქია.“

პოემაში ავტორი ვრცელ ყურადღებას უთმობს არაბთა მეფის ასულის თინათინის გამეფებას. არაბთა მეფე, როსტევანი ნუხს მოახლოებული სიბერის გამო, რადგან არა ჰყავს მემკვიდრე ვაჟი. ჩანს მის სამეფოში ჯერ ქალის გამეფება წესად არ არის მიღებული. მეფის მასიამოვნებელი მსახურები გრძნობენ რა როსტევანის წინასწარგანწყობას, ერთ-ერთი მსახურის პირით სთავაზობენ, ქალი გაამეფოს. არგუმენტი ასეთია: „თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაზადია, არ გათნვით, იცის მეფობა, უთქვენოდ

გვითქვამს კვლა დია, შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.“

დავიმახსოვროთ, ეს მეფის მსახურთა ერთი ჯგუფის პოზიციანია, რომელიც როსტევანის წინასწარგანწყობას ეთანხმება და მის შესაბამისად არის გამოხატული. თუმცა საინტერესოა, იგივე გახლავთ თუ არა ავტორის – შოთა რუსთაველის პოზიციანია? ამ კითხვაზე ვიდრე პასუხის გაცემას შევეცდებოდეთ, მანამდე მასთან დაკავშირებული ერთი სხვა კითხვის დასმა მოგვინებს: საინტერესოა, რა მიზანს ემსახურებოდა ორი საქართველოსა და მეფე ქალის ორი მხატვრული სახის შექმნა ერთსა და იმავე პოემაში?

გავიხსენოთ მცირე რამ წარსულიდან: თამარი იყო პირველი მეფე ქალი საქართველოს ისტორიაში და მანამდე, არც წარმართული და არც ქრისტიანული მმართველობის დროს მეფედ ქალი არ უკურთხებიათ. ამდენად, თამარის გამეფების მომხრეებიც და მონინაალმდეგეებიც, ბუნებრივია, რომ მეთორმეტე საუკუნის საქართველოში მრავლად იქნებოდნენ და ეს პროცესი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ კარგად იკითხება. არსებულ ეპოქასა და რეალობაში ქალის გამეფება, მართლაც ქმნიდა გარკვეულ უხერხულობებს. მაგალითად, მეფე, როგორც წესი, ბრძოლის დროს ხმლით წინ მიუძღვოდა ლაშქარს და მეფედ კურთხევის დროს, სიმბოლურად, მას წელზე ხმაღს შემოარტყამდნენ ხოლმე. ქალი მეფე ბუნებრივია, ბრძოლაში ლაშქარს ხმლით წინ ვერ წარუძღვებოდა.

მეფეს იმდროინდელი კანონებით, ქვეშევრდომთან დაქორწინების უფლება არ ჰქონდა. თანამეცხედრე სხვა სამეფოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რაც სამეფო ოჯახს დინასტიური მმართველობის შეცვლის საშიშროების წინაშე აყენებდა, რადგან სამეფო ლეგიტიმაცია, როგორც ბიბლიურად, ისე ქართული სამართლის მიხედვით, მამის ხაზით გადადიოდა. ამას გარდა, მეფე პირველი კაცი იყო სახელმწიფოში და ბუნებრივია, ოჯახშიც. ქალი მეფის შემთხვევაში კი პირველი ადამიანი სახელმწიფოში, ოჯახში პირველი ვერ იქნებოდა. რადგან, ქრისტიანული შეხედულებით, ოჯახის თავი, ანუ უფროსი ნებისმიერ შემთხვევაში მამაკაცია.

ეს კი, გარკვეულწილად ძირს უთხრიდა იმ ზოგადმართლმადიდებლურ იდეოლოგიას, რაზედაც იდგა მონარქიული სახელმწიფო. ანუ, ქალი მეფე, ნაწილობრივ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უკვე წარმომადგენდა დემოკრატიის მონაპოვარს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ მამის, გიორგი მესამეს სიცოცხლეში აღსაყდრებული თამარის მეფობის საკითხი, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, კვლავ საცილოდ გაუხდიათ გიორგი მესამეს სიკვდილის შემდგომ, როდესაც სასულიერო იერარქთა და ერის დიდებულთა შეთანხმებით იგი უკვე მეორედ აკურთხეს მეფედ.

რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ თამარს-თინათინს ამეფებს, ხოლო თამარს-ნესტან-დარეჯანს კი ადედოფლებს. ინდოეთში მეფდება მისივე გვარის ქვეშევრდომი ტარიელი, რომელსაც მეფე ფარსადანი შვილად ზრდიდა. არაბეთში ქვეშევრდომები, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მეფეს ემლიქვნელებიან: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადიაო.“ ლომი, როგორც ცნობილია, ცხოველების მეფედ იწოდება და ზოგადად, მეფობის სიმბოლოა. ლომი არის გამოსახული ბაგრატიონთა სამეფო გერბზეც. თუმცა, რუსთველი წინასწარ ორაზროვნად გვაპარებს თინათინზე: „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდაო.“ თუ გავიხსენებთ, რომ თამარის მმართველობის ჟამს ჩამოყალიბდა ე. წ. შეზღუდული მონარქია, მეფე ვერ აღასრულებდა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, თუ დარბაზი არ შეინყნარებდა მას. უფრო მეტიც: გაჩნდა ტერმინი: „მეფობისა თანაზიარნი“. რომლითაც უკვე დიდებულებიც მოიხსენიებოდნენ. ასე, რომ რუსთაველის შეფარულ-ირონიული „არ ეღირსებოდა“, გარკვეულ დატვირთვას იძენს. საყურადღებოა, თინათინის სახელიც: რომელიც ათინათს, ანარეკლს ნიშნავს. თინათინი, ვფიქრობ, ანარეკლია ნესტან-დარეჯანისა, რომლისკენაც ავტორის უფრო მეტი სითბო და სიყვარული მიემართება. რადგან მას ქალის გადედოფლება, ვფიქრობ, უფრო სწორად მიაჩნია, ვიდრე გამეფება. ამიტომაც არიან პოემის მთავრი გმირები ნესტან-დარეჯანი და ტარიელი და არა



თინათინი და ავთანდილი. საინტერესოა, ისიც რომ რუსთაველი ნესტან-დარეჯანს ვეფხვს ადარებს და არა ლომს, რადგან ლომი კაცია, ტარიელია.

პოემასაც ჰქვია „ვეფხვისტყაოსანი“. ვეფხვისტყაოსანი რაინდი კი არის პოემის მთავარი პერსონაჟი – ტარიელი. საინტერესოა, კონკრეტულად რომელიმე ისტორიული პიროვნება მოიაზრებოდა ტარიელის მხატვრული სახის ქვეშ თუ შოთას ის მხოლოდ თავისი პოზიციის გამოსახატავად სჭირდებოდა? ამას შემდგომი კვლევა-ძიება გამოავლენს. საყურადღებო ფაქტია მხოლოდ, რომ რუსთაველი ეპილოგში ასკვნის: „ტარიელ მისსა რუსთაველსა“ მიქიაო. მისთვის ცრემლშეუშრობელსაო. კი მაგრამ, თუ ტარიელი ირთავს ნესტანს და ასე კარგად და მშვენივრად სრულდება ყველაფერი, რასაც პოემის ფინალი გვამცნობს, მამ რუსთაველს რაღად სდის ცრემლი შეუშრობელი? („გასრულდა ესე ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“). ვფიქრობ, იმიტომ, რომ ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ისტორია მხოლოდ სასურველი ისტორიაა, ანუ ის, რაც უნდა იყოს. მაგრამ რეალობა არის ის, რაც

გვაქვს მოცემული არაბეთის სამეფოს სახით. არაბეთში მეფობს თინათინი და არა ავთანდილი.

როგორც პროლოგიდან ჩანს, რომელიც, სავარაუდოდ, პოემის დასრულების შემდგომ არის დანერგილი, ოპონენტებმა რუსთაველს დაუნუნეს თამარის ქება. რაზედაც რუსთაველი პროლოგში პასუხობს; თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლითა ცრემლდათხეული, ვისნი ქებანი ვთქვანი მე არ ავად გამორჩეულიო. ანუ, რაც ვთქვი, ცუდად არ მითქვამსო. არც იმას უარყოფს, რომ პოემაში მეფე ქალი იქება.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა: ის, რაც არაბეთის სამეფოში ხდება, არის ის, რაც მოხდა ქართულ სინამდვილეში. ხოლო რაც ხდება ინდოეთის სამეფოში, არის ის, რაც უნდა იყოს. ამიტომაც სდის შეუშრობელი ცრემლი ავტორს ტარიელისთვის. ამიტომაც არქმევს ის პოემას „ვეფხვისტყაოსანს“. რაც შეეხება გამონათქვამს: „ლეკვი ლომისა სნორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, იგი არის არა რუსთაველის პოზიცია, როგორადაც აქამდე განიხილებოდა, არამედ მისი ერთ-ერთი პერსონაჟის, როსტევიან არაბთა მეფის მსახურის პოზიცია, რომელსაც შოთა რუსთაველი არ ეთანხმება.



საგაზათხულო განწყობისთვის

ბადრი სულაძე

მაია მიქია

* * *

დილა ცარცისფერი ნისლით გალახულა,
ნამებს ცრემლებივით აყრის ბალახ-ბულახს... —
დილა ტიროდაო?... როდის... სად ნახულა?...
ნუ გიკვირთ, ასე იცის გაზაფხულმა...

ალიონი

ისე ხვდება ალიონი
გაზაფხულის შემოსვლას,
ღამისაა, ატმის რტოც კი
ფანჯარაზე შემოსვას.
როცა დილა არემარეს
საპატარძლოდ შემოსავს,
მეც იმედით ვაღებ კარებს
და შევნატრი... შენს მოსვლას...

ნუში

კი არ აყვავდა, აფეთქდა
ეს მიამიტი ნუში.
არც თებერვალი აშინებს,
არც აგდებს აინუნში.
ნინ მარტია და ქარები,
ნასესხები და ლუში
ღრუბლების კორიანტელი...
მაინც აფეთქდა გუშინ,
ტოტებზე აიფრიალა
თეთრი ყვავილის რუში
და უცებ დათბა, იმედმა
შეიფრთხილა გულში,
როგორი საყვარელია
და სულელია ნუში.



მხატვარი ზვიად მექვაბიშვილი





ნანა რჩეულიშვილი

ვაჟა-ფშაველას ლირიკული პოეზიის ირგვლივ



ვაჟა-ფშაველას ლირიკულ პოეზიაში არაერთი ლექსი ატარებს ერთგვარი პოეტური აღსარების ხასიათს. საღვთისმეტყველო სწავლების მიხედვით „აღსარების თქმა ნიშნავს სიღრმემდე გახსნას, მთელი სულის გადმოღვრას“ (მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი). არქიმანდრიტ ნექტარიოს ანტონოპულოსის ქადაგებაში ვკითხულობთ: „აღსარებაზე უნდა გავაშიშვლოთ ჩვენი სული და თვალსაჩინო გავხადოთ მისი ჭრილობები“. აღნიშნულ განმარტებათა ფონზე ადვილად გასაგებია ის დიდი სურვილი, რომელიც ხშირად ეუფლებოდა ვაჟას, სურვილი გულში ნატარები განცდების ამოთქმისა და ამით გარკვეული შვების მიღწევისა. ღრმა რომანტიკული განცდებისა და მძაფრი რეალისტური აზროვნების სინთეზმა მის შემოქმედებაში თავიდანვე შექმნა მხატვრული განზოგადების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც, პირობითად, თუნდაც პოეტურ განდობას ვუწოდებთ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით (ალ.ნეიშანი), განდობა — აღსარებას, გა(მო)ტყდომას ნიშნავს. ხოლო ლექსიკონი ქართული განდობას „ხვაშიადის მოთხრობას“ უწოდებს. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟას განდობითი ხასიათის ლექსები მართლაც დაუფარავად ამჟღავნებენ პოეტის შინაგან სულიერ განცდებს და გამოტყეხილ ხვაშიადს.

„თავისი დროის სამშობლოს შემანევარ კაცს“ (თამაზ ჩხენკელი) მთელი სიცხადით ეხატა თვალწინ ნაკლოვანებით აღბეჭდილი საკუთარი ყოფა, ჩაკეტილი ფშავის გოროზი ბუნების ჩარჩოში. პოეტის ამ გაუსაძლის ყოფას საზოგადოებრივი გულგრილობა და უკეთურებაც რომ დაემატებოდა, ჯავრით სავსე გულს ამოათქმევინებდა-ხოლმე ნაღვლიან სიმღერას. აი, რას წერდა იგი ერთ პირად წერილში მიხეილ ლობჯანიძეს, ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მუშაკს: „ჩემთვის ...დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩინა, დაინიშნა და შემოიფარგლა, ხოლო ამ ოცის წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ არ იცის“ (რაზიკაშვილების მიმონერა, 2011.23).

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ამ ღრმად ინტიმურ ლირიკაში ვხვდებით ურთიერთსაინანადმდეგო იდეური პათოსით გამსჭვალულ ლექსებს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ პოეტის სიცოცხლის რომელ ეტაპზე დაიწერა ისინი. ფაქტია, რომ ერთმანეთის გვერდით იკითხება ლექსები, რომლებშიც პოეტი ცისა და მიწის მბრძანებლად მიიჩნევს თავს და ლექსები, რომლებიც ხატავენ დაღლილ-დაქანცულ, უღონო და უძალო ლირიკული გმირის ავბედით ყოფას. მაგალითად მოვიტანთ 1900 წელს დაწერილ ერთ ნაკლებად ცნობილ ლირიკულ ლექსს — „ვითომდა ვთიბდი ბეჯითად“, რომელიც გულგატეხილობის ნიშნითაა დაღდასმული და გვიმხელს ამაოდ დამამვრალი პოეტის სულიერ დაღლილობას. მოვიტანთ ტექსტს მთლიანად:

ვითომა ვთიბდი ბეჯითად

ცელს კი ვუსვამდი ბალახსა,
წინ მივიბრძოდი, მივთიბდი
დიყსა, ქუჩსა და შალაფსა.
მეგონა, ბევრი გავთიბე,
თავს კარგ მთიბელად ვსახავდი;
იმას რა მომაგონებდა,
თუ მთას უთიბსვე ვნახავდი!..
გავხედავ ნამუშავარსა,
ოფლით მორწყულსა მდელოსა,
ვუცქერი: თივა არსად სჩანს,
ქარს მტვერად გაუტანია
და სათიბეში ნიაღვარს
ლოდები მოუტანია.

ძნელი ასახსნელი არ არის ლექსის სიმბოლური შინაარსი. ვაჟას პოეზია ხომ ერთი საოცარი „მეტა-ფორაა“ მისი ამქვეყნიური ყოფისა და გენიალური აზროვნებისა. ლექსის ლირიკული გმირის პოზიცია ცხადად წარმოგვიდგენს ამაო გარჯით დაღლილი პოეტის სახეს. საგულისხმოა „ბეჯითად“ მშრომელი მთიბელის აქცენტირებული თვითშეფასებაც, რომ ის „კარგ მთიბელად სახავდა თავს“, თუმცა, — ამაოდ... მთა მაინც „უთიბი“ დარჩენილა, მოთიბული კი წყალს წაუღია. მის სამაგიეროდ, ავბედით ნიაღვარს ლოდები მოუტანია.

ეს ავბედითი ნიაღვარი დამანგრეველი ლოდებით ხშირად ჩანს ვაჟას პოეზიაში. მაგალითად, პოემა „გველისმჭამელის“ დასასრულს აღწერილმა ავისმომასწავებელმა დელგმამ შუალამისას „მოხეთქი ღვარები, გატეხეს, თუ სად ლოდების ხევებში იყო კარები...“ ეს კი, ცხადია, ცუდ დასასრულს ჰპირდება. პოემა 1901 წელსაა დაწერილი, ანუ, პერიოდში, როდესაც, როგორც მინდიას, ისევე ვაჟას ცხოვრებაშიც, ყველაფერი ინგრევა, ხდება თვითშეფასება და დგება უიმედო ფინალი — არაფერი!

არადა, ვაჟა ის პოეტი, რომელმაც დამბადებელს მაღლი უძღვნა პოეტად დაბადებისათვის, რადგან, მისივე აზრით, „სამშობლოს წყლულებს“ პოეტის სიტყვა უშველის, თუნდაც ეს „სიტყვა“ მანდილჩამოხეული (ანუ შეურაცხყოფილი), ვარმით ნაკვები, სნეული და გულგაგმირული იყოს. ტერმინი „სიტყვაც“ ხომ ფართო გაგებით იხმარება ვაჟას ლირიკაში. „სიტყვა გადვადე ერშია, სიტყვა, რა სიტყვა? — ეული“-ო, — ამბობს და თუმცა თვითვე გრძნობს საკუთარ უმწეობას, მაგრამ, საოცარი ისაა, რომ ამ წვა-დაგვით გაზრდილმა სიტყვამ თურმე იხარა, მარგალიტებით დამშვენდა, ოქროს ტახტზე დაბრძანდა და მთელი ქვეყანა გაანათა. პოეტი „ჩუმად იცინის“... კმაყოფილია, რომ მისმა საწყალმა „სიტყვამ“ ერის გულში დაიდო ბინა, მისსავე სანუგეშოდ. თუ რა იყო ვაჟას სიტყვა და რა ხიბლი ჰქონდა მას ხალხისათვის, მარტივად და შთამბეჭდავად გვიხსნის ქართული კრიტიკული აზროვნება:

კონსტანტინე გამსახურდიას აზრით „ვაჟამ გაგ-





ვისხნა ახალი და ახალი ძლიერი ტალღა ხალხის ხსოვნაში დაგროვილი მითოსისა, ახალი და ახალი მოტივებით გაამდიდრა მან ქართული პოეზია“ (გამსახურ-დია, 1963, 319).

ვახტანგ კოტეტიშვილმა შენიშნა ვაჟას ცხოვრებაზე: „ეს არ არის პიროვნული ცხოვრება. პიროვნული თემობრივია გადასული, თემი პიროვნებაში მოთავსებულია. რაღაც დიდი შეუღლებაა მომხდარი და აქვე იხსნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხასიათი. სად თავდება ვაჟა და სად იწყება ფშავი, — ძნელი გამოსარკვევია. თითქოს ფშავმა ვაჟას სახე მიიღო და ათასი ხმით სათქმელი, ათასი კაცის განცდილი, ვაჟამ გამოსთქვა...“ (კოტეტიშვილი, 1959, 581).

აკაკი განერელია ვაჟას ქართული მითოლოგიის უღრმესი ფესვებიდან ამოსულს უწოდებს და შენიშნავს: „მე-19-მე-20 საუკუნეების საზღვარზე (და მას შემდეგაც) ჩვენ არ ვიცით მეორე შემოქმედი, რომელიც ეგზოტ განუსაზღვრელი ფანტაზიითა და პოეტური ვიზიონით ყოფილიყო დაჯილდოებული. და არა მარტო ქართული მასშტაბით: მის ანალოგს ვერ ვპოულობთ უკანასკნელი საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაშიც“ (განერელია, 1966, 54).

ამ აზრს იზიარებს თამაზ ჩხენკელიც და ამბობს: „ვაჟას ფილოსოფიური განზოგადებით აქვს წარმოჩენილი კაცობრიული ვნებანი: პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთჭიდული, დაპირისპირება და კონფლიქტი... ადამიანის გარდაქმნა და ამაღლება დიონისური ექსტაზის მეშვეობით, ღმერთი და სამშობლო, სიცოცხლისა და სიკვდილის ანტინომიების შუქზე და-ნახული ბუნების სურათები და სხვა“ (ჩხენკელი, 1989, 219). ვაჟას ლირიკული „აღსარებანიც“ სწორედ ამ დაპირისპირებებისა და კონფლიქტების შედეგადაა შექმნილი. თუ ჭეშმარიტებასთან ახლოსაა ფრანგი ლიტერატურისმცოდნის, ანდრე მორუას, აზრი, ალფრედ დე მიუსეს პოეტური ხელოვნების ირგვლივ რომ წერს: „რანაირი ტკივილიც არ უნდა მიეყენებინა პოეტისათვის ამა თუ იმ გრძნობას, რანაირი სახიფათოც არ უნდა ყოფილიყო მისთვის, იგი არასოდეს არ მოისურვებს ნებით განიკურნოს იმ სატიკვარისაგან, რომელიც მის გენიას აწვდის საზრდოს“ (მორუა, 1983, 116), მაშინ, იგივე შეიძლება ითქვას ვაჟა-ფშაველაზეც. ასეთივე აზრია გამოთქმული ლექსში „ჩემი ვედრება“, რომელშიც ერთ-მნიშვნელოვნად ჩანს პოეტის დიდი სურვილი:

მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი.
ნუ დამასვენებ ნურასდროს
მამყოფე შეძრწუნებული,
მოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შენუხებული,
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა,
მაშინ ვარ თავისუფალი
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.

ზემოთ ნახსენებ ლექსში, „ვითომდა ვთიბდი,“ თუ საოცარ უსასოობასა და უიმედობას გამოხატავს პოეტი, 1912 წელს დაწერილ ლექსში, „მარტოობა“, უკვე საკუთარ ორსახეობას უჩივის, ორსახეობას შემოქმედისა და ადამიანისა, ერთ არსებაში გამთლიანებულს, ხან რომ სამყაროს მბრძანებლად ჩანს, ხან კი ჩვარივით უგრძნობი და უილაჯოა. არნივის, ვაჟას პოეტური მუზის ერთ-ერთი ძლიერი მეტაფორული სახის, სტუმრობა საოცარ ძალას ანიჭებს პოეტს:

როცა არნივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა
მხარზედა,
მეფისა მადგა გვირგვინი, ვზივარ სამეფო
ტახტზედა...

როცა არნივი წამივა, ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა.
როგორც ჩანს, „არნივი“ (ანუ, პოეტური მუზა),

გარკვეული დროის სასურველი სტუმარია. მხოლოდ მას შეუძლია პოეტის ავსება მაგიური ენერგიით. ეს მაგიური ძალის მომნიჭებელი ღვთაებრივი საწყისი ვაჟას არაერთ ლექსში ჩანს. მათ შორის, ამავე პერიოდში დაწერილ ლექსში — „ვინც მომამადლა მე დიდი მადლი“. ვაჟასთვის არ არსებობს უფრო დიდი მადლი და ძალი, თვინიერ შემოქმედისა. და ეს ძალა ღვთისაგან ნაბოძებ სამოთხის ხისგან გამოთლილ ჩანგშია, რომელიც „მკვდართ აღმადგენლადა“ მომართული:

ვინც მომამადლა მე დიდი მადლი
მკვდართ აღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,
ვინც ჩანგი მიძღვნა თვისი ნაკურთხი
მომჯადოები სამოთხის ხისა,
ვინაც დამნიშნა ერის აღმზრდელად, —
ჩემს ბედს ყოველმხრივ განაგებს ისა.

სიმღერას უწოდებს ვაჟა 1907 წელს დაწერილ ლექსს „სიყმე სიბერედ ვაქციე“, რომლის იდეური შინაარსი კვლავაც მიჰყვება უკვე მრავალგზის გამოთქმულ მოსაზრებას პოეტის ამო გარჯაზე, მისი „ჩონგურის“ მიძიმე ხვედრზე გულცივ საზოგადოებაში. თუმცა სწამს, რომ მტკიცედ დაიცვა ერთხელ არჩეული გზის პრინციპი — მართალთა ქებისა და ორგულთა ძრახვისა. აი, რას სწერდა პოეტი პეტრე უმიკაშვილს, ლიტერატორს, მთარგმნელს და ნიგენების გამომცემელს, ჩარგლიდან, 1894 წელს: „ხანდახან ჩემს თავს ვგმობ, რატომ მეც, როგორც სხვებმა, არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ უგორდი ლეკვივით დიდთა ამა ქვეყნისათა, არ ულოკე ფეხები, არ ველაქუცე, მაგრამ თავს იმით ვმართლულობ, არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება და არც ეხლა შემეძლიან, თუნდა რომ პირში ბალახი ამომივიდეს“ (რაზიკაშვილების მიმონერა, 2011.19). სიმართლის მსახურებამ კი პოეტს მტრად მოჰკიდა საზოგადოება, ცოდვად ჩაუთვალეს ნამუშავენი. რაკი აღსარება ცოდვის გამხელასაც გულისხმობს, ბუნებრივია, პოეტმა უნდა აღიაროს იგი, მაგრამ თვით ეს „ცოდვა“ ვაჟასთვის სხვა შინაარსს იძენს:

ვადიდე გმირთა სახელი, მკლავი და
სულით დიდობა,
დავძრახე ქვეყნის ორგული და
შეურაცხვეყ ფლიდობა...

ამას მითვლიან ცოდვადა, რაშიც მე მიჩნდა
გმირობა;

თავს დამჩხავიან ყორნები, გაუმართიათ ყრილობა. შევნიშნავთ, რომ იმდროინდელ მკაცრ ცენზურულ პირობებში, ადვილი არ იყო დაფარული აზრების თამამად გამოტანა თუნდაც მხატვრულ სახეებში. 1886 წელს გაზეთ ივერიაში იბეჭდებოდა ლექსი „სიმღერა“, რომლის დასაწყისიც („ერთხელც იქნება, მოვკვდები...“) კავკასიის საცენზურო კომიტეტის ნევრს, ლუკა ისარლოვს, გარკვეული მიზეზების გამო (ევზარხოსის შიშით — ურწმუნოება ჩანს ამ სიტყვებში) ამოუშალა. საქმეში, თვით ილია ჭავჭავაძის ჩარევის შემდეგ, სიტყვა „ერთხელც“ შეიცვალა სიტყვით — „როცა“ და ლექსიც ასეთი დასაწყისით დაიბეჭდა: „როცა იქნება, მოვკვდები“ (ყუბანიშვილი, 1961, 257). ასე იცვლებოდა ვაჟას ლექსებში ის თამამი აზრები, რომელსაც ცხოვრების მკაცრი სინამდვილე ბადებდა პოეტის გულსა და გონებაში.

დასკვნისათვის, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ლირიკულ ლექსებში, რომელთაც „ლირიკული აღსარებები“ ვუწოდებთ, ვაჟა ორმაგ განწყობას ამჟღავნებს. ის, როგორც პოეტი და შემოქმედი, თავს უფლის ხელდასხმულად მიიჩნევს, საუფლო საქმის მკეთებელია და მასთან საუბრის დროს გასაოცარ ძალმოსილებას აღწევს. ხოლო, ადამიანთა საზოგადოებაში თავს უძლურად და ამო გამრჯედ თვლის. როგორც ჩანს, პოეტსა და საზოგადოებას შორის გაჩენილმა დიდმა უფსკრულმა განაპირობა ის ცხოვრებისეული სიძნელეები, რომელთა შესახებ ასე დაუფარავად ჩიოდა თავის პოეტურ



სტრიქონებში. საგულისხმოა, რომ მან ამ აღსარება-განდობებითაც ვერ იპოვა საშველი და საფლავში ისე ჩავიდა გენიოსი პოეტი, ის რიტორიკული კითხვაც, ერთხელ

რომ წამოსცდა — „რა ვსწერო და რად ვსწერო?“ — სამუდამოდ პასუხგაუცემელი დარჩა ქართველი საზოგადოებისაგან.

ბიბლიოგრაფია:

1. გამსახურდია კ. (1963); რჩეული თხზულებანი, ტ.6, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
2. ვაჟა ფშაველა; (1977), ქართული პოეზია, ტ.9; გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი;
3. კოტეტიშვილი ვ. (1959), ქართული ლიტერატურის ისტორია, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
4. მორუა ა. (1963), ლიტერატურული პორტრეტები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი;
5. რაზიკაშვილების მიმოწერა (2011), ლიტერატურის მუზეუმი, თბილისი;
6. ყუბანიშვილი სოლ. (1961), ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (მასალები), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
7. ჩხენკელი თ. (1989), მშვენიერი მძლევარი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

კულტურული ცხოვრების ძღვენიცა



22 იანვარს თელავის თეატრში გაიმართა კისისხეველი მოზარდის 15 წლის ქეთი ყაჭიურის მხარდასაჭერი საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი შემოქმედებითი ძალები: ბენდი „ფიქრის ხიდი“, ბავშვთა მუსიკალური სტუდიები: „თელავი“, „მზიური“, „ანგელოზები“, ქორეოგრაფიული ანსამბლები: „მართვე“, „ჭადარი“, თანამედროვე ცეკვების სტუდია „ნიუ ლაიფი“, ფოლკლორული ანსამბლები: „ურმული“, „ალალე“, ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლისა და თელავის პირველი სამუსიკო სკოლის ბავშვთა გუნდები. კონცერტის ორგანიზატორია თელავის მუნიციპალიტეტის მერია, მხარდამჭერი — თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრი.



2018 წლის 30 იანვარს, თელავის მუნიციპალიტეტის მერი შოთა ნარეკლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, მერის მოადგილე გუგა გურაბანიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი და მერიის სამსახურების წარმომადგენ-

ლები სტუმრად ეწვივნენ ღვანლმოსილ იუბილარ ქალბატონს, თვითნასწავლ მხატვარს ელენე ლუხუტაშვილს და დაბადების დღე მიულოცეს. ქალბატონმა ელენემ სტუმრებს საკუთარი ნამუშევრების გალერეა დაათვალიერებინა და მადლობა გადაუხადა საიუბილეო ნობათისთვის.



თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი თუშიშვილმა და მერის მოადგილემ გურამ გურაბანიძემ თვითმმართველობის ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრა მოუწყვეს ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობს, ვერიკო ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატს ვენერა ფეიქრიშვილს, რომელსაც 75 წლის იუბილე მიულოცეს და მადლობა გადაუხადეს თელავის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებასა და ქართული თეატრის წინაშე განეული ღვანლისათვის. ხელისუფლების წარმომადგენლებმა იუბილარს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

დასასრული 64-ე გვ.





ნათია მჭელიშვილი



ამირანიანის „სამება“

(ბიბლიური სიმბოლიკა „ამირანში“)

ამირანიანის სხვადასხვა ვარიანტში ალგეთის მთა მეათეა ან მეცამეტე.

დევეების ოჯახის მამამთავარნი ცხრა ძმა დევი არიან.

„საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი“.

საკრალურ რიცხვთა სიმრავლით ამირანიანი მართლაც საინტერესოა.

განსაკუთრებული ინტერესი კი გამოიწვია წყვილსა და ერთში დამალულმა, უთქმელმა სამეულმა.

მეათესა და მეცამეტეზე, ცხრასა და შვიდზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, ამ რიცხვთა ბიბლიურ-საკრალურობა ეჭვგარეშეა და ისინი პირდაპირ, ხაზგასმით გვაქვს მოცემული. შემალულ შეფარულად სამია დასაწყისშივე მითისა: სულკალმახს ცოლი და ორი ვაჟი ჰყავდა, ხოლო უფროსი ვაჟი უცხოეთში გადახვენილიყო. უფროსი ვაჟის გადახვევნის გამო „სამება“ ირღვევა, საჭირო ხდება ორის ისევ დასამება, გასამება. ეს მესამე ცალი მითიურად ჩნდება ქალღმერთ დალის ნიალიდან.

ნაიყვანა სულკალმახ მონადირემ ოქროსავით ვაჟი შინ. დედობილმა დარეჯანმა შვილებზე მეტად შეიყვარა იგი. „სამება“ შედგა. სამეული ისევ გაერთიანდა, გამთლიანდა. ერთარსებად იქცა:

„ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა,

უსუპი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,

ამირან შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“.

შევხედოთ სამეულის ცალკეულ დამახასიათებელ ნიშნებს, როგორც ერთი პიროვნების თვისებებს:

გარეგნობით „ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა“, ჭკუა-გონებით — „ბროლის ციხესა თავ-ბოლო გამაგრებულსა“, ჯან-ღონით „შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა“: თითქოს სამი ძმა ერთი არსებაა, ყველა თვისებით შემკული.

როგორც აღინიშნა, ამირანი მოიაზრება სულკალმახის უფროსი ვაჟის ჩამნაცვლებლად. საინტერესოა როგორი ნიშან-თვისების მატარებელია იგი? რა იდეური როლი აკისრია სამეულში? ისიც ჯან-ღონის სიმბოლოა თუ სხვა რაიმე თვისების? შეცვალა თუ ჩაანაცვლა ამირანმა სულკალმახის უფროსი ვაჟი?

სანადიროდ წასულ ძმებს უცხო მთაზე კოშკი ხვდებათ, საიდუმლო და შეუვალი: „სადაც მზემან სხივი დაჰკრა, ამირანმა — მუხლი მგლისი“ იქ შეიბა

კოშკმა კარი და იღუმალების ფარდა გახსნა: „ლომი“, რომელიც კოშკში ასვენია, სწორედ ის ნიშანია, რაც პასუხს გვაძლევს ზემოთ დასმულ კითხვაზე. „ლომი“ ცამცუმი იმ უფროსი ძმის ვაჟია, ურომლისობამაც პირველქმნილი სამეული დაანყვილა.

ვნახოთ როგორია გარდაცვლილი ცამცუმი, უსუპის ძმისწული:

„კოშკში ლომი ნოლილიყო, გამნძრევ არვინ იყო მისი,

მარცხნივ რომ შუბი ეყუდა, ნვერით ცასა სწვდება ისი.“

ამ ლომ-გმირის ანდერძი გვამცნობს:

„სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი სხვისი,

მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა ერთი დევი ბაყბაყისი.“

ვგონებ, ცამცუმის ფიზიკური შესაძლებლობები განსჯას აღარ საჭიროებს; აქვე გავაანალიზოთ მისიაც: „სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე“ და „ჯავრი ჩამყვა ერთი დევი ბაყბაყისი“ მიგვითითებს იქით, რომ ცამცუმი დევთა დაუძინებელი მტერია. მას მხოლოდ ერთი დევის ჯავრი ჩაჰყვა, რადგან სხვა დევებს (მტერს) იგი ფიზიკურად გაუსწორდა (შემუსრა, გაანადგურა). ამირანიანის მისიაც სწორედ ესაა, იგი დევებთან მეტრძოლი გმირია. დევი კი ზოგადად ბოროტების, უნმინდურობის, უსულგულო ძლიერების სიმბოლოა. ცამცუმისა და ამირანიანის მისია და ფიზიკური ძალა ერთნაირია. ხოლო ცამცუმი სწორედ იმ უფროსი ძმის ვაჟია, რომლის ფუნქციაც გვანტერესებს. დიდი ალბათობით, ცამცუმი მამამისის მისიის გამგრძელებელი უნდა იყოს. დავიმონმებ ხალხურ სიბრძნეს: „კვიცი გვარზე ხტის“; „რაც მამა, ის შვილი“ და სხვა მისთანანი, რომლის ანალოგიც მრავალი ერის ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვება. აქედან გამომდინარე, ცამცუმი ღირსეული შვილია მამისა და ცხადია, ამირანიანის სახით სამეულს სწორედ ის შემადგენელი ნაწილი, დეტალი (გნებავთ, ელემენტი) უზრუნდება, რომელიც აკლდა უფროსი ვაჟის გადახვევნის გამო.

ყურადღასაღებია ის გარემოება, რომ ცამცუმი კოშკში ოჯახთან ერთადაა, ზოგ ვარიანტში მიცვალებულები უსვენია ირგვლივ, ხოლო ზოგში დედა და დები ან ცოლი ცოცხლები არიან და გლოვობენ მას. მამა კი არ ჩანს. თუმცა ანდერძი გვატყობინებს რომ მამა ცოცხალია ან ჯერ არ დამარხულა. („ვინც დედმამას დამიმარხავს...“).

ბუნებრივია, აქ მისი (სულკალმახის უფროსი



ვაჟის) ცოცხლად დაბრუნება ამირანის ფუნქციას დააკნინებდა, ორი ერთნაირი, ორი იდენტური ერთ კონკრეტულ ასპარეზზე ვერ იარსებებდა.

ცამცუმის ჯავრი ამირანმა იყარა და ბაყბაყ დევი დაამარცხა. გავეყვით დევის შიკრიკს ყამარ-ქალისკენ მიმავალ გზაზე: შიკრიკმა დაუსრულებლად ატარა ძმები, სანამ უსუპი (გონება) არ ჩაერია საქმეში. უსუპმა დანიშნა გზა და კვლავ ნიშანთან რომ მივიდნენ ამირანს უთხრა:

„ვერ გაგიგია, ამირან, არ გამარჯვების ნიშანი, მესამედ იქვე მოვედით, გუშინ რომ დავკარ ისარი.“

გაბრაზდა ამირანი და შიკრიკს შეუტია:

„შიკრიკო, გზანი გაიხვენი, თუ არ ხარ თავის მისანი, თორე აგილე გაგთაღე, რო საკიდობნი ფიცარი.“

ამირანი ისეთი გულის კაცია, ამ დაუფიქრებელ მუქარას უცილოდ შეასრულებდა და გზას უფრო გაართულებდა, მაგრამ მუქარამ შედეგი გამოიღო, შიკრიკმა ძმები ტრიალ მინდორზე გაიყვანა.

ამ ეპიზოდში კარგად ჩანს ამირანის გულფიცობა, დაუფიქრებლობა. ამირანს გამჭრიახობით არა მარტო უსუპი ჯობნის, რომელიც გონების, აზროვნების სიმბოლოა, არამედ ყამარიც. (გავისხენოთ ქაჯთ ხელმწიფისა და ამირანის ბრძოლა, სადაც ამ არამინიერი ღონის პატრონს ქალის რჩევა-ჩარევა, დახმარება ესაჭიროება: ყამარი მინიშნებას აძლევს: „დაბლა შემოჰკარ რბილოსა, ბოძნი რომ დაეჭრებიან, დარბაზნი დაეცემიან.“) მიუხედავად იმისა, რომ ამირანი ქალმერთის ნაშობია (ნახევრად ღმერთია) და ქრისტე ღმერთის ნათლულია, მას აქვს ნაკლებლოვნება: მისი ფიზიკური შესაძლებლობების ფონზე ასეთი მიაბიძობა, მიუხევედრელობა, გონებრივი მხარის სისუსტე უფრო კარგად იკვეთება.

დავუბრუნდეთ სამეულის ერთარსებობას, გავისხენოთ ამირანის მონოლოგიზებული დიალოგი ყამართან:

„მოვლენ და მეც აქ დავხვდები, ამ ჩემის გორდა ხმალითა,

უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა, სუყველას თავებს დაგიჭრი საყველპურიო დანითა,

მარტო გავუხდი ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა.“

ამირანი თავისთავს მესამეს უწოდებს, უსუპსა და ბადრის უპირატესობას ანიჭებს რაღაც ნიშნით, თუმცა ჩხუბსა და ომში მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს აღიარებს. ამირანის სიტყვები: „სუყველას თავებს დაგიჭრი, მარტო ვეყოფი ომითა.“ კიდევ უფრო ამძაფრებს სამი ძმის გადაჯაჭვულობის, ერთიანობის განცდას.

ქაჯთა ლაშქართან საომრადაც ამ თანამიმდევრობით ჩადიან ძმები: ჯერ უსუპი, შემდეგ ბადრი და ბოლოს ამირანი. საგულისხმოა, რომ თითოეული ძმის სიკვდილს ისე გრძნობს ამირანი, რომ მთქმელი, ამბის მომტანი არა სჭირდება. მკვდარი ძმების გვერდით თავს იკლავს ამირანი, მითი კი გვეუბნება:

„ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა ალგეთის ქალა გაექნა,

უძმოსა, უმამისძმოსა, ამირნს თავი მაეკლა.“

ეს „უძმობა“ არ ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა გმირს ძმები ჰყავდა და ეს ესაა დაეხოცა, არამედ სრულიად მარტო კაცზე ნათქვამს ჰგავს, რომელსაც ძმები არასოდეს ჰყოლია. აქაც იმ ნიშანს ვხედავთ უსუპი, ბადრი და ამირანი ერთი პიროვნება რომაა სამი ნიშნით.

ყამარი ამირანს სამყურა ბალახით აცოცხლებს, რითაც ამირანი მესამედ იბადება, ჩნდება, ცოცხლდება: პირველად დალის მუცლიდან, შემდეგ გველეშაპის მუცლიდან და ახლა გარდაცვლილი ცოცხლდება (მკვდრეთით აღდგება!).

დრო გავიდა და ამირანმა იქამდე მიიყვანა საქმე რომ დედამინაზე მარტო სამი დევი, სამი გარეული ტახი და სამი მუხალა დატოვა.


ამირანის ახირებას აყოლილ ნათლიას — ქრისტე ღმერთს — ჯოხის დარჭობა სამჯერ მოუწია და მესამედ უკვე იძულებული გახდა ღვთაებრივი ძალა გამოეყენებინა: ჯოხს უბრძანა: ფესვი გაიდგი და დედამინას სარტყლად შემოერტყიო.

მიჯაჭვულ ამირანს ბადრისა და უსუპის ნაცვლად ყორნის ნაშობი ფრთიანი ყურმა ჰყავს გვერდით.

საინტერესოა ამბის დასასრულიც: მთელი წელი ეჭიდება ამირანი იმ რკინის პალოს რომელზეც თავად არის მიჯაჭვული, და უკვე ამოგლეჯვაზე რომ მიდგება საქმე თავადვე ურტყამს დიდ უროს და ისევ მინაში აჭედებს. ასეთია უსუპის (გონების) გარეშე დარჩენილი კაცის ქმედება.

ბოლო ეპიზოდი მითისა კიდევ ერთხელ ამყარებს სამი ძმის ერთიანობის, მთლიანობის, სამთა ერთად ყოფნის აუცილებლობის ჰიპოთეზას. აქ ცხადად ჩანს უსუპისა და ბადრის გარეშე დარჩენილი ამირანის არამინიერი ძალა როგორ ხდება უუნარო, გამოუსადეგარი, და უფრო მეტიც: საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართული. ამირანი სრული აღარ არის, იგი მხოლოდ ნაწილია მთელისა და სწორედ ამიტომაა უძლური. მისი მარადიული მიჯაჭვულობაც აიხსნება არა იმით რომ იგი ქრისტე ღმერთის მიერ ჯაჭვითაა დაბმული, არამედ იმით რომ მას არ ძალუძს ამ ჯაჭვისგან გათავისუფლება. მისი მთავარი სასჯელი სწორედ გონების გარეშე დარჩენაა. ბადრისი და უსუპის ჩანაცვლება ყორნის ნაშობი ყურმათი, რაც საკუთარი გულზვაობით დაიმსახურა.

მხატვარი ზვიად მექვაბიშვილი





2018 წლის 15 თებერვალს თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდა თელაველი ფოტოხელოვანის გიორგი ჩეკურიშვილის (CHEKI Photography) პერსონალური გამოფენა. გამოფენას დაესწრო სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში — გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი თუშიშვილი, გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები. გამოფენაზე დამთვალიერებელმა ხელოვანის 80-მდე სხვადასხვა ჟანრის ფოტონამუშევარი იხილა: პეიზაჟი, პორტრეტი, სილუეტი, ურბანული ჟანრის ფოტო.



22 თებერვალს თელავის კულტურის ცენტრში გაიმართა გიორგი ჩეკურიშვილის პერსონალური ფოტოგამოფენის დახურვა, რომელშიც მონაწილეობდა მუსიკალური ბენდი „მუსიკის ქალაქი“. ღონისძიებას დაესწრო თელავის მუნიციპალიტეტის მერი შოთა ნარეკლიშვილი. აღსანიშნავია, რომ გამოფენამ აგრეთვე უმასპინძლა 9 წლის ლიკა ბალაშვილის მხარდასაჭერ საქველმოქმედო აქციას.

2018 წლის 28 თებერვალს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით თამაზ ანთაძის სახელობის სპორტული კომპლექსის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა Street Art-ის მასტერკლასი და ვორქშოპი, რომელსაც უძღვებოდნენ Georgian Street Art Federation — საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის დამფუძნებლები: ვასილ შურაძე, ლევან მიქელაძე და რამაზ ჩუთლაშვილი. ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები პედაგოგებთან

და სხვა დაინტერესებულ მონაწილეებთან ერთად გაეცნენ Street Art-ის თანამედროვე ტექნოლოგიების კომპიუტერულ პრეზენტაციას, პრაქტიკულად განახორციელეს შექმნილი ცოდნა და აუდიტორიაში საკუთარი ხელით დაამზადეს Street Art-ის პირველი პორტრეტული ნიმუშები, რომლებიც აღბეჭდეს მიმდებარე სარეაბილიტაციო კედელზე.



2018 წლის 1 მარტს, ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის ქართული სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „პაემანი წარსულთან“. პიესის ავტორია ფატი კიპაროიძე. სპექტაკლს ესწრებოდნენ: კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი შიოშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი თუშიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები.







2018 წლის 2 მარტს, თელავის კულტურის ცენტრში, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა პოეტ დავით მალრაძესთან. შეხვედრას ესწრებოდნენ თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ალექსანდრე საჩიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი გელა სამხარაული, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები და პოეზიის მოყვარული საზოგადოება. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის მსახიობებმა ნაიკითხეს პოეტის ლექსები. დავით მალრაძემ პასუხი გასცა დამსწრე აუდიტორიის საინტერესო შეკითხვებს, ისაუბრა საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე და სამომავლო შემოქმედებით გეგმებზე. შეხვედრაზე ქალთა კაპელამ „კახეთის ჰანგები“ შეასრულა საქართველოს ჰიმნი და სხვა საგუნდო ნაწარმოებები.





მხატვარი
ზვინაღ მექვაბიშვილი



ISSN 1512-3995



15123995